9 772298 095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

63

ფრილი

ფასი 2 ლარი

1134
2019

2019 / სექტემბერი

5 (283)

იოსიფ ბროდსკი

მარკუს ავრელიუსის პატივისცემამდე

სარჩევი

ესე 1 იოსიფ ბროდსკი | მარკუს ავრელიუსის პატივსაცემად
თარგმნა მალხაზ ხარბედიამ

პოეზია 16 ქეთევან ნათელაძე

22 გიორგი ლომსაძე

პროზა 24 დიმიტრი წიკლაური | ხომლის ჩიტები

34 ეკა ქევანიშვილი | ოცეს ძონძები

თარგმანი 38 სილვია პლათი | მერი ვენტურა და მეცხრე სამეფო
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

45 ხოსე ფ. ა. ოლივიერი | წყლულის თავდები
გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ბელა ჩეკურიშვილმა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსიფ ბროდსკი

მარკუს ავრელიუსის პატივსაცემად

თარგმნა მალხაზ ხარბედიამ

1

ანტიკურობა ჩვენთვის არსებობს, ჩვენ კი მისთვის - არა. არც არასდროს გვიარსებია და მომავალშიც არასოდეს ვიარსებებთ ანტიკურობისთვის. ეს ცოტათი უცნაური გარემოება ანტიკურობაზე განსჯებს გარკვეულწილად საფუძველს აცლის. ქრონოლოგიური, და ვშიშობ, გენეტიკური თვალსაზრისითაც, ჩვენს შორის მანძილი უზარმაზარია, რათა რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვივარაუდოთ: ანტიკურობას თითქოს არსაიდან ვუმზერთ. ჩვენი თვალთახედვა ისეა, გეგონება საკუთარ თავს ვუმზერდეთ მეზობელი გალაკტიკიდან. უკეთეს შემთხვევაში ეს მზერა სოლიფსისტური ფანტაზიაა, ხილვა. მეტზე ვერც გვექნება პრეტენზია, რადგან არაფერია უფრო განუმეორებელი, ვიდრე ჩვენი ქსოვილების უკიდურესად არამყარი ნაზავი. რა იქნებოდა ძველი რომაელისთვის ნაცნობი ახლა, ამ დროში რომ გამოეღვიძა? ნაცნობი იქნებოდა მაღლა ღრუბლები, ლურჯი ტალღები, დაწყობილი შეშა, ლოგინის ჰორიზონტალურობა, კედლის ვერტიკალურობა... მაგრამ სახეზე იგი ვერავის იცნობდა, თუნდაც შემხვედრნი სრულიად შიშვლები ყოფილიყვნენ. ჩვენს შორის რომ აღმოჩენილიყო, საუკეთესო შემთხვევაში იგი იმავეს განიცდიდა, რასაც ადამიანი - მთვარეზე გადასვლისას: რაა მის წინაშე - მომავალი თუ შორეული წარსული? პეიზაჟი თუ ნანგრევები? საბოლოო ჯამში ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს. სხვა ამბავი იქნებოდა, მხედარი რომ დაენახა.

2

105

მეოცე საუკუნე შესაძლოა პირველი საუკუნეა, რომელიც ცხენზე ამხედრებული ადამიანის ძეგლს ცოტათი გაოცებით უყურებს. ჩვენი საუკუნე ავტომობილის საუკუნეა, ჩვენი მეფეები და პრეზიდენტები მანქანებს მართავენ ან სხვებს დაყავთ მანქანებით. გარშემო თითოოროლა მხედარს თუ შეხვდებით, ცირკში ან დოღზე. შესაძლოა გამონაკლისს წარმოადგენს ბრიტანეთის პრინცი-კონსორტი ფილიპი და მისი ქალიშვილი პრინცესა ანა.

360054

მაგრამ ეს იმდენად სამეფო სტატუსს არ უკავშირდება, რამდენადაც სახელს, „ფილიპს“, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და phil-hippos-ს ნიშნავს, ცხენების მოყვარულს. უკავშირდება იმდენად, რამდენადაც ბოლო დრომდე მისი სამეფო უდიდებულესობის მეუღლე სამეფო გვარდიის კაპიტანი მარკ ფილიპსი გახლდათ, თავადაც შესანიშნავი ცხენოსანი. აქვე შეგვეძლო დაგვემატებინა ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჩარლზიც, პოლოს დიდი ტრფიალი. მემგონი სულ ეს არის. ჩვენ ვერ ვხედავთ დემოკრატიის ცხენზე ამხედრებულ ლიდერებს, ან თუნდაც იმ მცირერიცხოვან ტირანებს, ვინც დღემდე შემორჩა. არც მხედართმთავრები ჩანან, აღლუმებს ვინც იღებენ. მათი რიცხვიც სულ უფრო მცირდება. ჩვენს მხარეში მხედრები თითქმის მთლიანად გაქრნენ. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შემოგვრჩა ცხენოსანი პოლიცია და ალბათ არ არსებობს ნიუ იორკელისთვის უფრო დიდი Schadenfreude[1], ვიდრე იმის ჭვრეტა, თუ როგორ უწერს ჯარიმას ერთ-ერთი ასეთი უნაგირიანი ლოხინვარი[2] არასწორად დაყენებული მანქანის მძღოლს, მაშინ როცა მისი ბედაური მსხვერპლის, კანონდამრღვევის კაპოტთან ფრუტუნებს. თუმცა ახლა, ჩვენს დროში, როცა ბელადებს ან ეროვნულ გმირებს ვუდგამთ ძეგლებს, კვარცხლბეკზე მხოლოდ ორი ფეხი დგას. არადა გულდასაწყვეტია, ცხენი ხომ ბევრი რამის სიმბოლოს წარმოადგენდა: იმპერიის, სიმამაცის, ბუნების. ცხენიან სკულპტურათა მთელი ეტიკეტიც კი არსებობს; ასე მაგ. თუკი ცხენი ყალყზეა შემდგარი, ეს ნიშნავს, რომ მხედარი ომში დაეცა. თუკი ოთხივე ფლოქვი პოსტამენტზეა დამყარებული - მინიშნებაა, რომ იგი საკუთარ ლოგინში მიიცვალა. თუკი ცხენის ერთი ფეხი მაღლაა შემართული, იგულისხმება, რომ ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. თუ არც ისე მაღლაა - ე.ი. საკმაოდ დიდხანს იცოცხლა. ასე ვთქვათ, ჩორთით გაიარა ცხოვრება. ავტომობილით ასეთი რამ შეუძლებელია. თანაც ავტომობილი, თუნდაც „როლს როისი“ იყოს, არანაირად არ უსვამ ხაზს ვინმეს უნიკალობას და ბრბოზე არ აღამაღლებს ისე, როგორც ცხენი. რომის იმპერატორებს, მაგალითად, ხშირად გამოსახავდნენ ცხენზე ამხედრებულებს, მაგრამ არა გადაადგილების მათი საყვარელი საშუალების უკვდავსაყოფად, არამედ უპირატესობის აღსანიშნავად, რათა ცხადი გაეხადათ, რომ ეს ადამიანი მხედართა წოდებას ეკუთვნის, წარმოშობით მხედარია. იმ დროის ენაზე „მხედარი“, როგორც ჩანს, „წარჩინებულს“ ან „კეთილშობილს“ ნიშნავდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, equus[3] მხედართან ერთად კიდეც აუარება ალუზიით იყო დატვირთული. პირველ რიგში მას შეეძლო წარსულის განსახიერება ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ცხოველთა სამყაროს წარმოადგენდა, იმ სამყაროს, საიდანაც წარსული გამოვიდა. შესაძლოა საბოლოო ჯამში სწორედ ამას გულისხმობდა კალიგულა, როცა თავისი ცხენის სენატში შეყვანას აპირებდა. რადგანაც ანტიკურობამ, როგორც ჩანს, უკვე დაიჭირა ეს კავშირი. იმიტომ, რომ ანტიკურობა წარსულით უფრო მეტად ინტერესდებოდა, ვიდრე მომავლით.

3

წარსულსა და მომავალს ერთი რამ აქვთ საერთო - ჩვენი წარმოსახვა, რომლის მეშვეობითაც ვაგებთ მათ. წარმოსახვა ჩვენს ესქატოლოგიურ შიშზეა დაფუძნებული: შიში იმითაა გამოწვეული, რომ წინამორბედისა და მომდევნოს გარეშე ვარსებობთ. რაც უფრო ძლიერია ეს შიში, მით უფრო დაწვრილებითია წარმოდგენა კლასიკურ სიძველეებზე ან უტოპიაზე. ხანდახან - ძალზე ხშირადაც - ისინი ერთმანეთს ფარავენ, როცა, მაგალითად, გვგონია, რომ ანტიკურობაში იდეალური წყობა და აუარება სიქველე იყო, ანდა მაშინ, როცა ჩვენი უტოპიების ბინადარნი მარმარილოთი ნაგებ თავიანთ მოვლილ ქალაქებში ტოგებით შემოსილნი დააბიჯებენ. მარმარილოს, რა თქმა უნდა, წილად ერგო უცვლელი საშენი მასალა ყოფილიყო როგორც ანტიკურობისთვის, ისე უტოპიისთვის. საერთოდ, თეთრი ფერი ჩვენს წარმოსახვას უკიდურეს ზღვრამდე მსჭვალავს, როცა წარსულის ან მომავლის ვერსია მეტაფიზიკურ ან რელიგიურ ხასიათს იძენს. სამოთხე - თეთრია; ასევე გამოიყურება საბერძნეთიც და რომიც. ეს მიდრეკილება არა იმდენად ჩვენი ფანტაზიის ბნელი წყაროების ალტერნატივაა, რამდენადაც ჩვენივე არცოდნის მეტაფორა ან უბრალოდ იმ მასალის ანარეკლი, რომელსაც, როგორც წესი, ფანტაზია ფრთების გასაშლელად იყენებს, - ამ მასალას ქაღალდი ჰქვია. დაჭმუჭნილი ქაღალდი სანაგვისკენ მიმავალ გზაზე ადვილია ცივილიზაციის ნატეხი გეგონოთ, განსაკუთრებით, თუკი სათვალე მოხსნილი გაქვთ.

4

ეს ბრინჯაოს მხედარი პირველად ტაქსის ფანჯრიდან დავინახე, ოცი წლის წინ - შეიძლება ითქვას, წინა ინკარნაციაში. ახალი ჩაფრენილი ვიყავი რომში, სადაც პირველად მოვხვდი. სასტუმროსკენ მივდიოდი. იქ ჩემთვის ნომერი შეუკვეთა ერთმა ნაცნობმა. სასტუმროს სრულიად არარომაული სახელი ერქვა - „ბოლივარი“. რაღაც მხედრული უკვე იგრძნობოდა ჰაერში, რადგან დიდ libertador-ს[4], როგორც წესი, ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებულს გამოსახავდნენ. ომში დაიღუპა ბოლივარი? რაღაც არ მახსოვს. საღამოს

1. აქ: სეირი, სასეირო (გერმ.) - მთარგმნ. შენ.
2. უოლტერ სკოტის ბალადის გმირია - მთარგმნ. შენ.
3. ცხენი (ლათ).
4. განმათავისუფლებელი (ესპ.)

საცობში გავეჩხირეთ, სადგურის ბრბოსა და საფეხბურთო მატჩიდან გამოსული გულშემატკივრების ნაზავი იყო. მძღოლისთვის მინდოდა მეკითხა, კიდევ დიდხანს თუ მოგვიწევდა მგზავრობა და ჩემი იტალიური მხოლოდ ერთი მარტივი კითხვისთვის მეყო - „სად ვართ?". „პიაცა ვენეცია,"- ჩაიბურტყუნა მან და მარცხნივ გააქნია თავი. „კამპიდოლიო" - მარჯვნივ გააქნია თავი. კიდევ ერთი თავის გაქნევა: „მარკო აურელიო", ენერგიულად გამოთქვა მან, და ეს სიტყვები საცობსაც შეეხებოდა. მარჯვნივ გავიხედე. „მარკო აურელიო" - ჩემთვის გავიმეორე და ვიგრძენი, როგორ გამიდნა პირში ორიათასი საუკუნე იმპერატორის სახელის იტალიური ფორმის გამო. ადრე ამ სახელს ჩემთვის ყოველთვის ეპიკური ჟღერადობა ჰქონდა, არსებითად, იმპერიული, როგორც თავად ისტორიის მაჟორდომის მიერ გამოცხადებული, ცეზურით გაყოფილი მეხის გავარდნა. მარკუს! - ცეზურა - ავრელიუსი! რომის! იმპერატორი! მარკუს! ავრელიუსი! ასე გავიცანი იგი სკოლაში, სადაც მაჟორდომი ჩვენი ტანმორჩილი სარა ისააკოვნა იყო, ძალიან ებრაელი და ძალიან თვინიერი ქალი, ორმოცდაათს გადაცილებული ისტორიის მასწავლებელი. მთელი თავისი თვინიერების მიუხედავად, როდესაც რომაელი იმპერატორების სახელთა წარმოთქმის ჯერი დგებოდა, წელში გასწორდებოდა, დიდებულების შარავანდედით შეიმოსებოდა და ლამის გაჰყვიროდა. მისი მქუხარე ხმა ჩვენს თავებზე გადაივლიდა და სტალინის პორტრეტით შემკობილ ბათქაშჩამოცვენილ კედელს ეხლებოდა: გაიუს იულიუს კეისარი! კეისარი ოქტავიანე ავგუსტუსი! კეისარი ტიბერიუსი! კეისარი ვესპასიანე ფლავიუსი! რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი! და ბოლოს - მარკუს ავრელიუსი! გეგონებოდა, რომ ეს სახელები მასზე დიდი იყო, თითქოს შიგნიდან წამოიმართებოდნენ, რათა უფრო დიდ სივრცეში გაეღწიათ, ვიდრე მისი პატარა სხეული გახლდათ, ან ჩვენი კლასი, ქვეყანა, ანაც მთელი ის ეპოქა. იგი ტკბებოდა უჩვეულო ჟღერადობის მქონე უცხოური სახელებით, ხმოვანთა და თანხმოვანთა მოულოდნელი თანმიმდევრობით და ეს ტკბობა მართლა გადამდები იყო. ბავშვებს უყვართ ასეთი რაღაცეები: უცნაური სიტყვები, უცნაური ბგერები. ალბათ ამიტომ სჯობს ისტორია ბავშვობაში ვისწავლოთ. თორმეტი წლის ასაკში შესაძლოა ინტრიგას ვერ ჩაწვდე, მაგრამ უცნობი ბგერები სხვა, ალტერნატიულ რეალობაში გადაგიყვანენ. სწორედ ასეთ ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე „მარკუს ავრელიუსი" და ეს სხვა რეალობა უფრო ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე თავად იმპერატორის რეალობა. ახლა, როგორც ჩანს, ამ რეალობის მოშინაურების დრო მოვიდა, და ალბათ ამიტომ აღმოვჩნდი რომში. „ესე იგი მარკო აურელიო" - ვთქვი ჩემთვის და მძღოლს მივუბრუნდი: „საფაა?" მან მარმარილოს საფეხურების უზარმაზარ კასკადზე მიმითითა, რომელიც ზევით-ზევით მიიწევდა. სწორედ ჩვენს წინ იყო. და როცა მძღოლმა მკვეთრად მოუხვია, რათა კიდევ ერთი მილიმეტრით წაწეულიყო წინ მანქანების ზღვაში, სწორედ ამ დროს წამიერად მოვკარი თვალი პროჟექტორებით განათებულ ცხენის ყურებს, წვერიან სახეს და გამოწვდილ ხელს. შემდეგ ჩვენ ზღვამ ჩაგვყლაპა. ნახევარ საათში „ბოლივარის" შესასვლელში ერთ ხელში ბარგით და მეორეში ფულით, მძღოლს ძმური მადლიერებით აღვსილმა სახელი ვკითხე - ბოლო-ბოლო პირველი ადამიანი იყო, ვისაც რომში გამოველაპარაკე, თანაც სასტუმროში მომიყვანა და არც ისე ბევრი გამომართვა. მან მიპასუხა - „მარკო" და წავიდა.

5

ანტიკურობის ყველაზე ზუსტი და განსაზღვრული თვისება ისაა, რომ ჩვენ იქ არ ვარსებობთ. რაც უფრო ხელმისაწვდომია ანტიკურობის ნანგრევები და რაც უფრო დიდხანს ვაშტერდებით მათ, მით უფრო აკრძალულია იქ შესვლა. პირველ რიგში მარმარილო ამბობს თქვენზე უარს, თუმცა არც ბრინჯაო და პაპირუსი ჩამოუვარდებიან უარყოფაში. ჩვენამდე ნაწილობრივ ან მთლიანად მოღწეულნი, ეს ნივთები გვაოცებენ და გვაცდუნებენ თავიანთი დღეგრძელობით, განსაკუთრებით ნამსხვრევები, ნატეხები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობად უნდა ვაქციოთ - ამ ნატეხების დანიშნულება არც ყოფილა ჩვენამდე მოღწევა. ისინი თავისთვის იყვნენ და დღემდე თავისთვის არიან, რადგანაც ადამიანის მადა მომავლისადმი ისევე შეზღუდულია, როგორც დროის შთანთქმის მისეული უნარი, რასაც მაგალითად, გრამატიკა გვაჩვენებს ცხადად - მომავლის თემაზე განსჯების პირველი მსხვერპლი. საუკეთესო შემთხვევაში ამ მარმარილოების, ბრინჯაოების და პაპირუსების დანიშნულება იყო, თავიანთ მოდელებზე და შემოქმედებზე უფრო დიდხანს გაეძლოთ და არა საკუთარ თავზე უფრო დიდხანს. მათი არსებობა ფუნქციური იყო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაზღვრული მიზანი ჰქონდათ. დრო კალეიდოსკოპის ნამსხვრევები არაა, რადგან იგი წარმავალი ნაწილებისგან შედგება. და მიუხედავად იმისა, რომ იმქვეყნიური ცხოვრების იდეა ნივთებმა შთააგონეს ადამიანებს, ბოლო დრომდე მას არ აღიქვამდნენ ხელმისაწვდომ ვარიანტად. რაც არ უნდა იყოს, ჩვენს წინაშე აუცილებლობის ან პატივმოყვარეობის კვალია, ეს მოსაზრებები კი ყოველთვის შეზღუდულია ხოლმე. არაფერი არ არსებობს მომავლის გამო და ძველები, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევდნენ თავს ძველებად. და ჩვენც არ უნდა გამოვაცხადოთ საკუთარი თავი მათ ხვალინდელ დღედ. ჩვენ არავინ შეგვიშვებს ანტიკურობაში: იგი ისედაც მჭიდროდ იყო დასახლებული, შეიძლება ითქვას, ზედმეტად მჭიდროდაც. ადგილები აღარაა. ტყუილად უშენთ მუშტებს მარმარილოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

რომაელი იმპერატორების ცხოვრება წარმტაცი გვეჩვენება, რადგან ჩვენ თავად ვართ გატაცებულნი საკუთარი თავით. მსუბუქად რომ ვთქვათ, თავს პირადი სამყაროების ცენტრებად მოვიაზრებთ. ცხადია, ეს სამყაროები ზომით სხვადასხვაა, მაგრამ მაინც სამყაროებია და შესაბამისად ცენტრებიც გააჩნიათ. განსხვავება იმპერიასა და ოჯახს, მეგობართა წრეს, რომანტიკულ ურთიერთობათა ქსელს, პროფესიონალური გამოცდილების სფეროებს და ა.შ. შორის მხოლოდ მოცულობაშია და არა სტრუქტურაში. გარდა ამისა, კეისრები დროში ძალიან დაშორებულები არიან ჩვენგან და მათი მდგომარეობის სირთულე გასაგები გვეჩვენება, რადგანაც დრო თითქოს ორი ათასწლეულის პერსპექტივითაა შემცირებული, ლამის საბავშვო ზღაპრის მასშტაბებამდე, მთელი თავისი ჯადოქრობითა და ნაივურობით. მათი იმპერიები ჩვენი ჩანაწერების წიგნია, განსაკუთრებით საღამოს. ჩვენ ვკითხულობთ სვეტონიუსს, ელიუსს ან ფსელოსს და ვეძებთ მათთან არქეტიპებს, მნიშვნელობა არა აქვს რა გვაბარია, ველოსიპედების მაღაზია თუ ორი ადამიანისგან შემდგარი ოჯახი. რატომღაც უფრო ადვილია თავს კეისართან აიგივებდე, ვიდრე კონსულთან ან პრეტორთან, ან ლიქტორთან თუ მონასთან, თუნდაც ეს უფრო მეტად შეესაბამებოდეს ჩვენს რეალურ მდგომარეობას თანამედროვე სამყაროში. ეს არა თვითგანდიდებითა და ამბიციებით აიხსნება, არამედ კომპრომეტირებული სიქველეების, მანკიერებისა და თავის მოტყუების გადიდებული, გამოკვეთილი ნიმუშების მიმზიდველობით და არა ამ სიქველეების თუ მანკიერებების ბუნდოვანი, ენაბლუ მატარებლების გამო - სამეზობლოში თუ სარკის მიღმა. ალბათ ამიტომაა, მათ გამოსახულებებს რომ ვაკვირდებით, განსაკუთრებით კი მარმარილოს გამოსახულებებს. რადგანაც, საბოლოო ჯამში ადამიანის ოვალი სულ რამდენიმე რაღაცას იტევს. არაუმეტეს ორი თვალისა, მხოლოდ ერთი პირი; სიურრეალიზმი ჯერ არ გამოუგონიათ და არც აფრიკული ნიღბების მოდა იყო შემოსული (თუმცა, შესაძლოა არსებობდა კიდეც ეს მოდა და იქნებ სწორედ ამიტომ ეჭიდებოდნენ ბერძნულ ეტალონებს). ასე რომ, საბოლოო ჯამში თქვენ აუცილებლად ამოიცნობთ ერთ-ერთ მათგანში საკუთარ თავს. რადგან არ არსებობს კეისარი ბიუსტის გარეშე, როგორც გედი თავისი ანაკრელის გარეშე. გაპარსულები თუ წვეროსნები, მელოტები თუ კარგი ვარცხნილობით, ისინი ყველანი ცარიელი, გუგების გარეშე მარმარილოს მზერით გვპასუხობენ, როგორც პასპორტის ან პოლიციაში გადაღებული დამნაშავის სურათშია, როცა ვერ იგებ რა ჰქონდათ ჩაფიქრებული; და ამ სახეების მათსავე ისტორიებზე დადება აქცევს მათ ალბათ არქეტიპებად. თანაც ეს კეისრებს გვაახლოვებს კიდეც, რადგან იმის გამო, რომ ხშირად გამოსახავდნენ, ისინი, უეჭველია მიეჩვივნენ, რომ თავიანთი ფიზიკური რეალობისთვის ცოტათი გაუცხოებული თვალით შეეხედათ. ნებისმიერ შემთხვევაში ბიუსტი ან ძეგლი მათთვის იგივე იყო, რაც ჩვენთვის ფოტოგრაფია და ყველაზე „ფოტოგრაფირებული“ პირი, ცხადია კეისარი აღმოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, სხვებიც იყვნენ: კეისართა მეუღლეები, სენატორები, კონსულები, პრეტორები, სახელოვანი ათლეტები და ლამაზმანები, მსახიობები და ორატორები. ჩვენამდე მოღწეულით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანობაში მამაკაცებს უფრო ხშირად აქანდაკებდნენ, ვიდრე ქალებს, საიდანაც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა თუ ვინ აკონტროლებდა საფულეს და განსაზღვრავდა საზოგადოების ეთოსს. ორივე მაჩვენებლის მიხედვით, კეისარს კონკურენტი არ ჰყავდა. კაპიტოლიუმის მუზეუმში საათების განმავლობაში შეიძლება იფრატუნოთ კეისრების, იმპერატორების, დიქტატორების, ავგუსტუსების მარმარილოს პორტრეტებით გამოტენილ დარბაზებში. ეს ბიუსტები სხვადასხვა ადგილიდანაა ჩამოტანილი, იმ ადგილებიდან, რომლებიც ოდესღაც მათ მორჩილებდნენ და რაც უფრო ხანგრძლივი იყო მმართველობა, მით უფრო მეტი „ფოტოგრაფია“ რჩებოდა. მას გამოსახავდნენ ახალგაზრდობისას, მოწიფულობისას, დაჩაჩანაკებულს; ზოგჯერ ბიუსტებს სულ რაღაც 2 წელი აშორებთ. როგორც ჩანს, მარმარილოს პორტრეტების შექმნა მთელი ინდუსტრია იყო, და ხრწნის ხარისხის მრავალფეროვნების გამო იგი დამკრძალავ ინდუსტრიად იქცეოდა; საბოლოოდ ეს დარბაზები ერთგვარ ბიბლიოთეკად წარმოგვიდგება, სადაც თაროებზე თავის მოკვეთის მრავალტომიანი ენციკლოპედიაა ჩამწკრივებული. თუმცა ამ ენციკლოპედიის „წაკითხვა“ რთული ამბავია, რადგანაც მარმარილო სწორედ თავისი გაუმტარობითაა ცნობილი. გარკვეული თვალსაზრისით ფოტოგრაფიასთან (უფრო სწორად, იმასთან, რასაც ადრე ფოტოგრაფია წარმოადგენდა) მას კიდევ ის აახლოვებს, რომ იგი აბსოლუტურად მონოქრომულია. უპირველეს ყოფლისა ბიუსტები ყველას თეთრებად და ქერათმიანებად წარმოგვიდგენს. არადა ცხოვრებაში ზოგიერთი მოდელი - ყოველ შემთხვევაში, კეისრის ცოლები, რადგან ბევრი მათგანი წარმოშობით მცირე აზიელი იყო, - სულაც არ იყო ქერა. ამის მიუხედავად ჩვენ ლამის მადლობლები ვართ მარმარილოსი, რომ მასში საერთოდ არაა პიგმენტაცია, ისევე, როგორც ვემადლიერებით შავ-თეთრ ფოტოგრაფიას, რადგან ჩვენს ფანტაზიას, ინტუიციას ასხამს ფრთებს და თვალიერება თანამონაწილეობის აქტად იქცევა, როგორც წიგნის კითხვის შემთხვევაში.

7

და მართლაც, არსებობს თვალიერების წაკითხვად გადაქცევის ხერხები. ბავშვობაში მშობლიურ ქალაქში ხშირად დავდიოდი დიდ მუზეუმში. იქ ბერძნული და რომაული ქანდაკებების უზარმაზარი კოლექცია იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ



ტორვალდსენისა და კანოვეს მარმარილოზე. მაშინ შევამჩნიე, რომ დღის მონაკვეთის ან წელიწადის დროის მიხედვით ქანდაკებებს გამომეტყველება ეცვლებოდათ და სულ მაინტერესებდა როგორ გამოიყურებოდნენ ისინი მუზეუმის დაკეტვის შემდეგ. მაგრამ მუზეუმი ექვსზე იკეტებოდა - ალბათ იმიტომ, რომ ქანდაკებები ელექტრობაზე მიუჩვეველნი იყვნენ. ვერაფერს ვიზამდი. და საერთოდ, რა უნდა უქნა ქანდაკებებს? შეგიძლია გარშემო უარო, სხვადასხვა კუთხიდან ჭვრიტო. სულ ესაა. ბიუსტების შემთხვევაში კი უფრო მეტი თავისუფლებაა, რაც ერთხელ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. რომელიღაც ადრერომაულ fanciulla-ზე[5] მიშტერებისას ხელი ავწიე, ალბათ საკუთარი თმები უნდა გამესწორებინა და ამით გზა გადავუკეტე შუქს, რომელიც ბიუსტს ჭერიდან ეცემოდა. გოგონას სახის გამომეტყველება მაშინვე შეიცვალა. ხელი ცოტა განზე გავწიე - ისევ შეეცვალა სახე. მალე ხელების ქნევა დავიწყე, მის ნაკვთებს ნაირნაირი ჩრდილი ეცემოდა: სახე გაცოცხლდა. საბოლოოდ ეს საქმიანობა ზედამხედველის ყვირილმა შეწყვიტა. იგი ჩემსკენ მორბოდა, თუმცა მისი მოღრიალე სახე ნაკლებად ცოცხალი მეჩვენებოდა, ვიდრე ქრისტეშობამდე დაბადებული პატარა მარმარილოს გოგონას სახე.

8

მარკუს ავრელიუსს ყველა რომაელ იმპერატორზე უკეთესი პრესა აქვს. ისტორიკოსებს იგი უყვართ. ფილოსოფოსებსაც. სწორედ ამ უკანასკნელის, ფილოსოფიის დამსახურებაა მარკუს ავრელიუსის კარგი რეპუტაცია, რომელიც დღემდე გრძელდება, რაგდანაც ეს დისციპლინა რომის იმპერიაზე და მისი მმართველების ტალანტზე უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა. ისე, ისტორიკოსებს შეეძლოთ ნაკლებად აღფრთოვანებული ყოფილიყვნენ მისით, რადგანაც მარკუს ავრელიუსი ერთი-ორჯერ ძალიან მიუახლოვდა იმას, რომ მათი მეცნიერებისთვის საფუძველი გამოეცლია, როდესაც თავისი შვილი, სრული იდიოტი, კომოდუსი დაასახელა მემკვიდრედ. თუმცა ისტორიკოსები მაგარი ხალხია, უფრო ძნელად მოსანელებელი რაღაცეებიც აუთვისებიათ, ვიდრე კომოდუსის იდეა, რომისთვის სახელი გადაერქმია და თავისი სახელი დაერქმია. მათ თავისუფლად შეეძლოთ რუკაზე კომოდოპოლისის დატანასაც შეგუებოდნენ და იმავე

5. გოგონა (იტ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომოდოპოლისში შეესწავლათ კომოდუსის იმპერიის ისტორია. ხოლო რაც შეეხებათ ფილოსოფოსებს, ისინი მოხიბლულები იყვნენ მარკუს ავრელიუსის „ფიქრებით“ და ზოგიერთი ახლაც აღფრთოვანებულია. შესაძლოა არა იმდენად სიღრმისა და გამჭრიახობის, რამდენადაც რესპექტაბელურობის გამო, რომელიც მარკუს ავრელიუსის მეფურმა შეხებამ შესძინა თავად დისციპლინას. პოლიტიკა გაცილებით ხშირად იქცევა ფილოსოფოსების საქმედ, ვიდრე ფილოსოფია - პოლიტიკოსების გატაცებად. თანაც, მარკუს ავრელიუსისთვის ფილოსოფია უფრო მეტი იყო, ვიდრე გატაცება: ახლა ამას თერაპიას უწოდებენ, ანდა, როგორც თავის დროზე ბოეციუსმა თქვა - ესაა ნუგეში. მარკუსი არ იყო დიდი ფილოსოფოსი, იგი არც წინასწარმეტყველი ან ბრძენი არ ყოფილა: მისი „ფიქრები“ - იმავდროულად სევდიანი და განმეორებებით სავსე წიგნია. სტოიკოსების დოქტრინა იმ დროისთვის მართლაც დოქტრინად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბერძნულად წერდა, ეპიქტეტემდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია მარკუს ავრელიუსს. სრულიად შესაძლებელია, რომ როგორც ნებისმიერმა რომაელმა იმპერატორმა, მანაც ეს ენა დოქტრინის წარმოშობის პატივსაცემად არჩია. ასევე, შესაძლოა, ცივილური ურთიერთობის ენის ნოსტალგიის გამო; ბოლოს-დაბოლოს ეს მისი ყმაწვილკაცობის ენა იყო, მისთვის დამახასიათებელი უფრო ამაღლებული მისწრაფებებით. თუ გნებავთ, ამას დაუმატეთ ფარულობის შესაძლო მოსაზრებები და გაუცხოების უპირატესობები, რომელიც თავად დისციპლინის მიზანი და მეთოდია და ამ შემთხვევაში მისი ეფექტი ენის მიერაა გაძლიერებული. გარდა ამისა, მარკუს ავრელიუსის მმართველობა უბრალოდ დაემთხვა ბერძნული კულტურის მნიშვნელოვან აღორძინებას რომში, თუ გნებავთ პირველ რენესანსს, რომელიც, ცხადია მყარი სტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდის დამსახურება იყო. ამ ეპოქას ისტორიკოსებმა Pax Romana უწოდეს. და მათ მარკუს ავრელიუსი სწორედ იმიტომ უყვართ, რომ ამ Pax-ის უკანასკნელი მცველი იყო. რადგან მისმა მმართველობამ ფაქტობრივად მკაფიოდ დაასრულა რომის ისტორიის ორასწლიანი პერიოდი, ავგუსტუსიდან დაწყებული - ჩვენი გმირით დამთავრებული. მათ უყვართ მარკუს ავრელიუსი, რადგან იგი უკანასკნელია ამ თანმიმდევრობაში და თანაც ძალზე დამაჯერებლად ასრულებს ამ რიგს, რაც ისტორიკოსებისთვის ფუფუნებაა. მარკუსი გამორჩეულად კეთილსინდისიერი მმართველი ალბათ იმიტომ იყო, რომ იგი მეფობისთვის დანიშნული იყო და არა ხელდასხმული, რადგანაც იგი დინასტიის წიაღში კი არ იშვა, არამედ მიიღეს დინასტიაში. ისტორიკოსებსაც და ფილოსოფოსებსაც მარკუსი სწორედ იმიტომ უყვართ, რომ ასე კარგად ასრულებდა ვალდებულებებს, რომელთა მიმართაც თავს უსარგებლოდ მიიჩნევდა და რომლებიც მართლაც უხალისოდ, ნაძალადევად აიღო თავის თავზე. მარკუს ავრელიუსის მდგომარეობა, როგორც ჩანს გარკვეულწილად მათსავე მდგომარეობას ასახავდა: იგი თითქოს მაგალითია იმათთვის, ვისაც ამ ცხოვრებაში საკუთარი მოწოდების წინააღმდეგ სიარული უწევთ. ყოველ შემთხვევაში, რომის იმპერიამ გაცილებით მეტი მიიღო ვალდებულებისადმი და ფილოსოფიისადმი მისი ორმაგი ერთგულებით, ვიდრე სტოიკოსების დოქტრინამ (რომელიც, თავის მხრივ, მარკუსთან ერთად დასრულდა და ეთიკად იქცა). ტყუილად როდი გამოთქვამდნენ აზრს (ხშირად ძალზე მტკიცედ და გადაჭრით) იმის შესახებ, რომ ამგვარი შინაგანი კონფლიქტი ძალაუფლების კარგი რეცეპტია. უკეთესი რა უნდა იყოს, თუკი მმართველის სულიერი ძიებები თავის თავშივე პოულობს გამოსავალს და არც ისე უშლის ხელს მის მოქმედებებს. ამაში ხომ არ მდგომარეობს მეფე-ფილოსოფოსის ისტორიის მთელი არსი? როცა თქვენს მეტაფიზიკას ავიწროვებენ. მარკუსს რაც შეეხება, მას იმთავითვე მაინც ეშინოდა ამ პერსპექტივის, ეშინოდა, რომ ერთხელაც გამოიძახებდნენ ადრიანის კარზე, თავის დროსტარებებით და ნათელი პერსპექტივებით. შესაძლოა სწორედ მათ გამო ეშინოდა; ბერძნული დოქტრინის ჭეშმარიტი პროდუქტი, რაც მას ნამდვილად სურდა, იყო „საველე სარეცელი და ნადირის ტყავი“[6]. ფილოსოფია მისთვის იმდენად იყო ჩაცმის მანერა, რამდენადაც განსჯის მანერა: არსებობის ქსოვილი და არამხოლოდ გონებრივი მისწრაფებები. წარმოიდგინეთ, მარკუს ავრელიუსი, როგორც ბუდისტი ბერი; ძაანაც არ შეცდებით, რადგანაც „ცხოვრების წესი“ ასევე სტოიციზმის არსსაც წარმოადგენდა. მისი არსი სწორედ ამაში მდგომარეობდა. ახალგაზრდა მარკუსი, ალბათ ფრთხილად ეკიდებოდა იმპერატორის მიერ მის შვილად აყვანას, არამხოლოდ ადრიანეს სექსუალური მიდრეკილებების გამო: ეს სრულიად განსხვავებულ გარდერობსაც ნიშნავდა და ასევე განსხვავებულ სულიერ საზრდოსაც. ის, რომ იგი ამაზე წავიდა, როგორც ჩანს დაკავშირებული იყო არა იმდენად იმპერატორის ზეწოლასთან, რამდენადაც თავად ჩვენი გმირის პირად ეჭვებთან, ჰქონდა თუ არა მას საკმარისი ინტელექტუალური გამძლეობა: აშკარაა, რომ უფრო ადვილია იყო ხელმწიფე, ვიდრე ფილოსოფოსი. ყოველ შემთხვევაში, ეს მოხდა და აი მისი ძეგლიც. თუმცა, ჩნდება კითხვა, ძეგლი ვის? ფილოსოფოსს? თუ ხელმწიფეს? ორივეს? შესაძლოა არც ერთს და არც მეორეს.

9

ძეგლი, საბოლოო ჯამში - ვერტიკალური ამბავია, სიმბოლური გასვლა არსებობის ზოგადი ჰორიზონტალობიდან, სივრცითი მონოტონურობის ანტითეზა. ფაქტობრივად, ძეგლი არასდროს ტოვებს ამ ჰორიზონტალობას - ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, - არამედ დგას მასზე, მაგრამ აღნიშ-

6. ფიქრები, I,6. აქ და შემდეგ დამოწმებულია ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს მას, როგორც ძახილის ნიშანი. პრინციპში ძეგლი - წინააღმდეგობაა. ამ თვალსაზრისით იგი თავის ყველაზე ჩვეულ მოდელს, ადამიანურ არსებას ჰგავს, რომელიც ერთნაირადაა აღჭურვილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური თვისებებით, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი ჰორიზონტალზე ილექება. მასალის დღეგრძელობა, რისგანაც, ტრაციდიულად ძეგლი მზადდება - მარმარილო, ბრინჯაო, შემდეგ, სულ უფრო ხშირად, თუჯი, ახლა კი ბეტონიც, - კიდევ უფრო მეტად აშუქებს და ცხადს ხდის ამ საქმიანობის წინააღმდეგობრივ ხასიათს, განსაკუთრებით, როცა ძეგლის მთავარი თემა მასშტაბური ბრძოლა, რევოლუცია ან სტიქიური უბედურებაა, მომენტალური მოვლენა, რომლის შედეგიც დიდი მსხვერპლი იყო. თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს, თემა აბსტრაქტული იდეალი იქნება თუ მნიშვნელოვანი მოვლენა, არსებობს აშკარად საგრძნობი წინააღმდეგობა დროითი ჩარჩოებისა და დღეგრძელობის შესახებ წარმოდგენების თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ფაქტურაზე. შესაძლოა, თუკი მხედველობაში მივიღებთ მასალის სწრაფვას სიმტკიცისკენ და მუდმივობისკენ, ძეგლის საუკეთესო თემა, კაცმა რომ თქვას, შესაძლოა ნგრევა აღმოჩნდეს. ეგრევე მახსენდება ცადკინის ძეგლი დაბომბილი როტერდამიდან: მისი ვერტიკალურობა ფუნქციურია, რადგან თავად კატასტროფის წყაროზე მიანიშნებს. თანაც, რა უნდა იყოს ნიდერლანდებზე უფრო ჰორიზონტალური? და გახსენდება, რომ ამ ძეგლის გენეალოგია დიადი სიბრტყეებიდან მოდის, რაღაცის შორიდან დანახვის იდეიდან, - სივრცითი სიშორე იქნება ეს თუ დროითი. რომ მას მომთაბარე წარმოშობა აქვს, რადგან დროითი თვალსაზრისით მაინც, ჩვენ ყველანი მომთაბარეები ვართ. ის, ვინც ცხადად აცნობიერებს ყველა ადამიანური საქმიანობის ამაოებას (როგორც ჩვენი ხელმწიფე-ფილოსოფოსი), რა თქმა უნდა, პირველ რიგში დაუპირისპირდებოდა თავისი თავის ქალაქურ ძეგლად გადაქცევას. მეორე მხრივ, ოცწლიანმა განუწყვეტელმა საზღვრისპირა ომებმა, რომელიც მას მუდმივ გადაადგილებას აიძულებდა, მარკუსი ფაქტობრივად მომთაბარედ აქცია. თანაც, აგერ, მისი ცხენიც აქაა.

10

თუმცა მარადიული ქალაქი ბორცვების ქალაქია. უფრო სწორად, შვიდი ბორცვის ქალაქი. ზოგიერთი ბუნებრივია, ზოგი - ხელოვნური, მაგრამ მათი გადალახვა - ნებისმიერ შემთხვევაში მძიმე განსაცდელია, განსაკუთრებით, როცა ფეხით ხარ და თან ზაფხულია, მიუხედავაც იმისა, რომ მეზობელი სეზონების ტემპერატურაც არ აკლებს სირთულეებს. ამას დაუმატეთ იმპერატორის შერყეული ჯანმრთელობა; თანაც წლების მანძილზე ჯანმრთელობა უარესდება. აქედან - ცხენი. კაპიტოლიუმის ბორცვის წვერზე განლაგებული ძეგლი, არსებითად, ვაკუუმს ავსებს, რომელიც ცხენზე ამხედრებული მარკუსის ფიგურამ დატოვა და რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინ აქ საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა ხოლმე, შეიძლება ითქვას, რეგულარულადაც კი. როგორც ამბობენ, ფორუმისკენ მიმავალ გზაზე. სინამდვილეში კი ფორუმიდან მომავალს ხედავდნენ მას. მიქელანჯელოს კვარცხლბეკი რომ არა, ძეგლი ფეხის ანაბეჭდი იქნებოდა. კიდევ უკეთესი - ფლოქვის ანაბეჭდი. რომაელები ცრუმორწმუნეები არიან, როგორც ყველა იტალიელი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ როცა ბრინჯაოს მარკუსი მიწაზე დაეცემა, სამყაროს დასასრული დადგება. საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ცრურწმენა, მას საფუძველი გააჩნია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მარკუსის დევიზი იყო Aequitas. ეს სიტყვა ნიშნავს გაწონასწორებულობას, რთულ სიტუაციაში აუღელვებლობას, თანაბარ, აუმღვრეველ სულიერ მდგომარეობას; სიტყვა-სიტყვით: animus-ის გათანაბრებას, ანუ სულის და შესაბამისად, სამყაროს შეკავებას, დაურვებას, გახედვნას. მცირე კორექტურა სტოიკოსების ამ ფორმულაში და ძეგლის განსაზღვრებას მიიღებთ: Equitas (ცხენობა, equus -ცხენი, ლათ.). მხედარი წინაა გადმოწეული, თითქოს თავისი ქვეშევრდომებისკენ იხრება და ხელი აქვს გაწვდილი - გეგონება ესალმება ან ლოცავს მათ. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, რომ ეს მარკუს ავრელიუსი კი არა, კონსტანტინეა რომის გამაქრისტიანებელი. არადა კონსტანტინესთვის მხედრის სახე ზედმეტად უშფოთველია, არაა მასში სწრაფვა და გზნება, ცეცხლოვანება, არამედ განდეგილობა უფრო ჩანს. ესაა სახე განურჩევლობისა და არა სიყვარულისა - განურჩევლობა, ვნებათუქონლობა კი სწორედ ისაა, რაც ქრისტიანობას არასდროს გამოსდიოდა. არა, ეს არაა კონსტანტინე და არც ქრისტიანი არაა. ეს სახე თავისუფალია ყველანაირი გრძნობისგან; ჩვენს წინაშეა ვნებათა პოსტსკრიპტუმი, ხოლო პირის ჩამოშვებული კუთხეები ილუზიების გაქრობაზე მეტყველებენ. ამ სახეზე რომ ღიმილი ყოფილიყო, შესაძლოა ბუდაზეც გაგეფიქრათ; მაგრამ სტოიკოსებმა ზედმეტად კარგად იცოდნენ ფიზიკა, რომ ადამიანური არსებობის სასრულობა არასერიოზულად მიეღოთ. სახე თავდაპირველი მოოქროების გამო ბრწყინავს, რითაც ადრე ბრინჯაო იყო დაფარული, თმა და წვერი კი დაიჟანგა და მწვანე გახდა - აი ასე ჭაღარავდება ადამიანი. აზრი ყოველთვის ისწრაფვის ლითონის მდგომარეობას მიაღწიოს, ლითონში განხორციელდეს; ბრინჯაო კი გზას გვიღობავს, ინტერპრეტაციის ან შეხების შესაძლებლობასაც კი არ გვაძლევს. თქვენს წინაშეა გაუცხოება როგორც ასეთი. და ამ გაუცხოებიდან იმპერატორი ცოტათი თქვენსკენ იხრება, იწვდის მარჯვენა ხელს სალმის ან დალოცვის ნიშნად, რითაც თქვენს არსებობას აღიარებს. რადგანაც იქ, სადაც იგია, თქვენ არა ხართ და vice versa[7]. მარცხენა

7. პირიქით (ლათ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს თეორიულად აღვირი უჭირავს, რომელიც ან დაიკარგა, ან თავიდანვე არ იყო: ნებისმიერ შემთხვევაში, ცხენი ყოველთვის დაუჯერებდა ამ მხედარს, განსაკუთრებით, თუკი ცხენი ბუნებას წარმოადგენდა. რადგანაც თავად მხედარი გონებას განასახიერებს. ეს სახე აშკარად ანტონინების დინასტიისაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაშვილები იყო და ამ დინასტიაში არ დაბადებულა. თმა, წვერი, ცოტათი გადმოკარკლული თვალები და ერთგვარი აპოპლექსიური აგებულება - ისეთივეა, როგორიც მისი მამობილისა - რომელიც შემდეგ სიმამრად იქცა - და მისი ღვიძლი შვილისა. გასაკვირი არაა, რომ ასეთი რთულია მათი ერთმანეთისგან გარჩევა ოსტიის მარმარილოებს შორის. მაგრამ ახლა უკვე ვიცით, რომ ეპოქის მოდა ადვილად უმკლავდება გენებს! გავიხსენოთ „ბიტლზი". თანაც იგი საკმარისად აფასებდა ანტონინუს პიუსს, რათა მისთვის მიებაძა სხვადასხვა რამეში: მისი გარეგნობა შეიძლებოდა მოწიწების შედეგიც ყოფილიყო. გარდა ამისა, მოქანდაკეს, რომელიც მარკუს ავრელიუსის თანამედროვე იყო, ალბათ სურდა მამობილისა და შვილობილის მმართველობათა მემკვიდრეობითობის განცდა გადმოეცა, რომელიც ისტორიკოსებმა შეამჩნიეს: ასეთი შეგრძნების შექმნას თავად მარკუსიც ცდილობდა. ანდა მოქანდაკეს უბრალოდ სურდა ეპოქის საგვარეულო პორტრეტი შეექმნა, იდეალური მმართველის პორტრეტი, და ჩვენს წინაშე წარმოდგენილია ორი საუკეთესო იმპერატორის შენადნობი, დომიციანეს მკვლელობის შემდეგ ვინც იყვნენ; იმავე პრინციპით გამოაქანდაკა მან ცხენი, რომლის ინდივიდუალობასაც ჩვენ არ ვუფიქრდებით. მოკლედ ეს ადამიანი ალბათ თავად „ფიქრების" ავტორია: სახე და ტორსი, ქვეშევრდომებისკენ მსუბუქად გადმოხრილი, სრულებით შეესაბამება ამ სევდიანი წიგნის ტექსტს, რომელიც თავად ილტვის, იხრება ადამიანური არსებობის რეალობისკენ და წარმოგვიდგება არა როგორც მოსამართლე (judge), არამედ როგორც შუამავალი (umpire). ამ თვალსაზრისით ეს მონუმენტი - ძეგლის ძეგლია: ძნელია სტოიკოსის მოძრაობაში გამოსახვა.

11

მარადიული ქალაქი გიგანტურ დაბერებულ ტვინს ჰგავს, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა ყველანაირი ინტერესი სამყაროსადმი - რაც ძალზე მომხიბლავ ამბებს გულისხმობდა - და თავის საკუთარ ნაოჭებსა და ნაპრალებს ჩაუღრმავდა. ამ სივიწროვეში გზის გაკვალვისას, სადაც საკუთარი თავის შესახებ ფიქრიც კი ძალზე მოუქნელ და ვეებერთელა ფორმებს იღებს, ფართე ადგილებში გავლისას კი სამყაროს იდეა უეცრად მცირე და უმნიშვნელო ჩანს, თავს ფირსაკრავის დაბლაგვებულ ნემსად გრძნობთ, უზარმაზარი ფირფიტის ღარებში რომ დახეტიალობს - ცენტრისკენ და უკან - და წვერით ხმას გამოსცემს, მოტივს, რომელსაც განვლილი დღეები ზუზუნებენ აწმყოსთვის. სწორედ ეს არის თქვენთვის მბრძანებელის, ბატონის ნამდვილი ხმა და თქვენს გულს ეს ხმა ძაღლად აქცევს. ისტორია მეცნიერება არაა, არამედ რაღაც, რაც თქვენ არ გეკუთვნით - ეს კი მშვენიერების მთავარი განსაზღვრებაა. აქედან მოდის ეს გრძნობა, რადგან იგი არ აპირებს სიყვარულით გიპასუხოთ. ეს ცალმხრივი სიყვარულია და ამ ქალაქში წამში იგებთ მის პლატონურ ბუნებას. რაც უფრო ახლოს ხართ სურვილის ობიექტთან, მით უფრო მარმარილოსი ან ბრინჯაოსი ხდება იგი, რადგანაც ადგილობრივების ლეგენდარული პროფილები ყველა მხარეს იფანტებიან, როგორც თიხის გატეხილი ყულაბიდან გადმოცვენილი გასულიერებული მონეტები. დრო აქ ზეწრებსა და ლეიბებს შორის თითქოს თავის საკუთარ ასლის გასამრავლებელ ქაღალდს დებს - რადგან იგი იმდენსვე აღბეჭდავს, რამდენსაც ბეჭდავს. როგორც კი „ბოლივარს" ან ასევე მყრალ, მაგრამ უფრო იაფ სასტუმრო „ნერვას" ტოვებთ, ტრაიანეს ფორუმს და ტრიუმფალურ სვეტს მიადგებით, ზედ მჭიდროდ დახვეული დამორჩილებული დაკების გამოსახულებებით. იგი ჰაერში ლივლივებს, ანძასავით, და დამსხვრეული კოლონების ყინულოვან მარმარილოებს, კაპიტელებსა და კარნიზებს დაჰყურებს. ახლა აქ მაწანწალა კატები ბატონობენ - დათრგუნული ლომები დათრგუნული ქრისტიანების ქალაქში. უზარმაზარი თეთრი ნანგრევები და ლოდები ზედმეტად დიდი და უწესრიგოა იმისთვის, რომ მათგან თუნდაც წესრიგის ილუზია შექმნა ან ადგილიდან დაძვრა შეძლო. ისინი აქ დატოვეს, რათა მზე შეისრუტონ ან „ანტიკურობა" წარმოგვიდგინონ. რაღაცა აზრით წარმოგვიდგინეს კიდეც; მათი ცუდად შეთავსებული ან სულაც შეუსაბამო ფორმები დემოკრატიაა და ეს ადგილ ჯერ კიდევ ფორუმია. და ფორუმიდან წამოსულს, გზის გადაღმა, ფიჭვებისა და კვიპაროსების თავზე გხვდება ადამიანი, რომელმაც შესაძლებელი გახადა რესპუბლიკისა და იმპერიული ძალაუფლების გაერთიანება. მას თან არავინ ახლავს: სიქველე, როგორც ავადმყოფობა, გაუცხოებას იწვევს. წამის რაღაც მეასედებში ისევ ჩვ. წ. 176 წელია ან დაახლოებით ეს წლები, და ტვინი სამყაროზე ფიქრობს.

12

მარკუსი კარგი მმართველი და მარტოსული ადამიანი იყო. მისი საქმიანობის ადამიანისთვის მარტოობა, რა თქმა უნდა, ტერიტორიასთან ერთად მოდის; მაგრამ იგი უფრო მეტად მარტოსული იყო, ვიდრე სხვები. „ფიქრებში" ამ გემოს უფრო მძაფრად გრძნობთ, ვიდრე მის მიმოწერაში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი გემოა. ტრაპეზა კი ბევრი კერძისგან შედგებოდა, საკმაოდ მძიმე კერძებისგან. პირველ რიგში მარკუსმა იცოდა, რომ მისი ცხოვრება ნაღრძობი იყო. ძველებისთვის ფილოსოფია არ იყო ცხოვრების დამატებითი პროდუქტი, არამედ პირიქით და სტოიციზმი ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. შესაძლოა აქ საერთოდ არც გამოვიყენოთ ტერმინი „ფილოსოფია“, რადგანაც სტოიციზმი, განსაკუთრებით კი მისი რომაული ვარიანტი, არ შეიძლება დავახასიათოთ როგორც ცოდნის სიყვარული. ეს უფრო ექსპერიმენტი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება, ექსპერიმენტი გაძლებაზე, და ადამიანი თავის თავს საცდელ კურდღლად აღიქვამდა: იგი კვლევის ინსტრუმენტი კი არა, მასალა იყო. მარკუსის დროს დოქტრინის მიერ მოწოდებული ცოდნა აღქმული კი არა, განცდილი უნდა ყოფილიყო. მისი მატერიალისტური მონიზმი, მისი კოსმოგონია, ლოგიკა და ჭეშმარიტების კრიტერიუმი (გაცნობიერება, რომელიც, როგორც წესი, სუბიექტს აიძულებს დაეთანხმოს მას, როგორც ჭეშმარიტს) უკვე ჩამოყალიბდა და ცხოვრების არსი ფილოსოფოსისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ცოდნის უტყუარობა დაემტკიცებინა, ამისთვის მას სიცოცხლის ბოლომდე უნდა დაენერგა იგი რეალობაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტოიკოსის ცხოვრება ეთიკაში ვარჯიში გახლდათ, რადგან ეთიკისთვის არაფერია საზღაური, გარდა ოსმოსისა. და მარკუსმა იცოდა, რომ მისი ექსპერიმენტი შეწყდა ან ისეთ დონემდე მივიდა, რომელსაც თავადაც ვერ ჩაწვდა; კიდევ უარესი, მის აღმოჩენებს - თუ საერთოდ იყო აღმოჩენები - არანაირი გამოყენება არ ჰქონია. მას სჯეროდა პლატონის, მაგრამ ასეც არა. ყოველ შემთხვევაში მარკუს ავრელიუსს პირველად მოუწია საერთო სიკეთე ინდივიდის უბედურებასთან შეეთავსებინა და შესაძლოა „ფიქრებიც“ სწორედ ამაზეა: ეს წიგნი პლატონის „სახელმწიფოს“ ერთგვარი პოსტსკრიპტუმია. მარკუს ავრელიუსმა იცოდა, რომ როგორც ფილოსოფოსი, დამთავრდა: რომ კონცენტრაცია დასრულდა და ყველაფერი, რისი იმედიც შეიძლებოდა ჰქონდა - იყო ცოტა დროის მოგება შემთხვევითი ფიქრებისთვის. რომ საუკეთესო, რითაც ცხოვრებამ შეიძლება დაასაჩუქროს, შემთხვევითი გამონათებები იქნება, ხანდახან კი ნამდვილი მიგნებები. მან გაიღო ეს მსხვერპლი, რა თქმა უნდა საერთო სიკეთისთვის, თუმცა სწორედ ამ დათმობიდან მოდის ის მელანქოლია, რომლიც „ფიქრებში“ დომინირებს, გნებავთ პესიმიზმი - იმდენად ღრმა, რომ ამ ადამიანს ეჭვი ჰქონდა: ეს ჯერ კიდევ არაა მაქსიმუმი. „ფიქრები“ ფრაგმენტული წიგნია, რომელიც დაბრკოლებებიდან იშვა. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაწერილი, უთავბოლო მონოლოგია შემთხვევითი გაელვებებით, როგორც პედანტიზმის, ისე გენიალობის. იგი გვაჩვენებს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მარკუსი და არა იმას, თუ ვინ იყო იგი: გვაჩვენებს მის ვექტორს და არა მიღწეულ დანიშნულების ადგილს. ალბათ ამ წიგნს საომარი კამპანიების (შესაძლოა წარმატებული კამპანიების) ხმაურსა და ზრიალში ინიშნავდა, საველე კოცონთან. სტოიკოს-ფილო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფოსს ტოგა ექნებოდა შემოხვეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს წიგნი ისტორიის მიუხედავად იწერებოდა, თუ გნებავთ, მის წინააღმდეგაც. ბედისწერა ხომ ამ ისტორიის ნაწილად ცდილობდა მის გადაქცევას?! იგი ალბათ პესიმისტი იყო, მაგრამ რა თქმა უნდა არა დეტერმინისტი. აი, რატომ იყო მარკუს ავრელიუსი კარგი მმართველი და რატომ არ ჩანდა მის ხელში სიყალბედ რესპუბლიკის გაერთიანება იმპერიულ მმართველობასთან (არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თანამედროვე სამყაროს ყველაზე დიდი დემოკრატიები სულ უფრო მეტ პატივს სცემენ მის ფორმულას. კარგი მაგალითები ასევე გადამდებია, თუმცა სიქველე, როგორც ვთქვით, გვაუცხოებს. რომ აღარაფერი ვთქვათ დროზე, რომელმაც ასლის გასამრავლებელი ქაღალდის მთელი მარაგი ქვეშევდრომებზე დახარჯა და საერთოდ არ დაიტოვა მმართველებისთვის). ყოველ შემთხვევაში იგი კარგი მცველი იყო: მას არ დაუკარგავს, რაც მემკვიდრეობით მიიღო; შესაძლოა მარკუს ავრელიუსის დროს იმპერია არ გაფართოებულა, თუმცა არც დაპატარავებულა. არამედ ზუსტად ისეთი დარჩა, როგორიც იყო; როგორც ავგუსტუსმა თქვა, „მცირედი ვიკმაროთ“. საკვირველია, მაგრამ მის ხელებზე ძალზე ცოტა სისხლია, არადა ესაა ადამიანი, ვისაც ამხელა რაღაცაზე აქვს პასუხისმგებლობა დაკისრებული, და თანაც ამდენი ხნის განმავლობაში (პრაქტიკულად, ოცდაცამეტი წელი, 147-დან, როცა სიმამრმა მას იმპერატორის ძალაუფლება უბოძა - 181-მდე, როცა იგი გარდაიცვალა, სადღაც მომავალი ვენის სიახლოვეს). მარკუს ავრელიუსი უფრო იწყალებდა მის წინააღმდეგ აჯანყებულებს, ვიდრე სჯიდა; ვინც ებრძოდა, იმათ კი არ ანადგურებდა, იმორჩილებდა. მის მიერ მიღებული კანონები ყველაზე სუსტებს ეხმარებოდა: ქვრივებს, მონებს, ბავშვებს, - თუმცა, უნდა ითქვას, რომ მან პირველმა შემოიღო ორმაგი სტანდარტი სენატის წევრების სისხლის დანაშაულში ბრალდებისას (განსაკუთრებული ბრალმდებელის თანამდებობა მარკუს ავრელიუსის გამოგონება იყო). იგი ეკონომიურად ხარჯავდა სახელმწიფო ხაზინის ფულს და რადგანაც მომჭირნე იყო, ცდილობდა სხვებშიც იგივე წაეხალისებინა. როცა იმპერიას ფული სჭირდებოდა, იგი სასახლის ძვირფასეულობას ყიდდა, იმის ნაცვლად, რომ თავისი ქვეშევრდომებისგან გამოეწურა ახალი გადასახადები. არც ძვირიანი მშენებლობები წამოუწყია: არანაირი პანთეონი ან კოლიზეუმი. პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი უკვე არსებობდა; მეორეც, იმიტომ, რომ ეგვიპტეში მან მცირე ხანი გაატარა და ალექსანდრიის ფარგლებს არც გასცილებია, განსხვავებით აგრიპასგან ან ტიტუსისგან და ადრიანესგან, ასერომ, მისი წარმოსახვა არ იყო შეპყრობილი გიგანტური, უდაბნოსთვის შესაფერისი ეგვიპტური ნაგებობების მასშტაბებით. გარდა ამისა, მას ძალიან არ უყვარდა საცირკო სანახაობები. როცა მათზე დასწრება უწევდა, იგი, როგორც გვაუწყებენ, კითხულობდა, წერდა ან ანგარიშებს იბარებდა წარმოდგენის დროს. თუმცა სწორედ მან შემოიღო რომაულ ცირკში ბადე, აკრობატების დასაზღვევად.

13

ანტიკურობა პირველ რიგში ვიზუალური ცნებაა და ეს ცნება იბადება საგნებიდან, რომელთა ასაკის განსაზღვრა შეუძლებელია. ლათინური antiquus არსებითად უფრო მკვეთრი ტერმინია „ძველის“ აღსანიშნავად, რომელიც იმავე ლათ. ante-დან მომდინარეობს და ნიშნავს „წინა“-ს, „მდე“-ს. როგორც წესი, ალბათ ბერძნული ამბების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ეს ტერმინი. შესაბამისად, ესაა „წინამორბედობა“. რაც შეეხებათ თავად ბერძნებს, მათი arche დასაწყისს, გენეზისს ნიშნავს, მომენტს, როცა რაღაც პირველად ხდება. დავარქვათ მას „პირველობა, პირველყოფა“? (Firstness, первость). რაც არ უნდა იყოს, სწორედ ამაში მდგომარეობს რომაელებსა და ბერძნებს შორის არსებითი განსხვავება - განსხვავება, რომელიც თავის არსებობას ნაწილობრივ იმასაც უმადლის, რომ ბერძნებს ნაკლები ობიექტი ჰქონდათ თავიანთ განკარგულებაში, რომელთა წარმოშობაზეც შეიძლებოდა ჩაფიქრებულიყვნენ, ნაწილობრივ კი იმის გამოც, რომ ისინი სათავეებზე, გენეზისზე იყვნენ ზოგადად მიმართულები. სინამდვილეში პირველი შესაძლოა მეორეს მშვენიერ ახსნას წარმოადგენდეს, რადგან არქეოლოგიის შემდეგ რჩება მხოლოდ გეოლოგია. ხოლო რაც შეეხება ანტიკურობის ჩვენს საკუთარ ვერსიას, იგი ერთიანად შთანთქავს როგორც ბერძნებს, ისე რომაელებსაც, თუმცა, ძალიან თუ გაჭირდა ლათინური პრეცედენტი შეუძლია დაიმოწმოს თავის დასაცავად. ანტიკურობა ჩვენთვის უზარმაზარი ქრონოლოგიური დომხალია, სავსე ისტორიული, მითოლოგიური და ღვთაებრივი არსებებით, რომლებიც ერთმანეთთან მარმარილოთი არიან დაკავშირებულნი; დომხალი კიდევ იმიტომ არის ანტიკურობა, რომ გამოსახული მოკვდავების უმრავლესობას ღვთაებრივ წარმოშობაზე აქვს პრეტენზია ან შემდეგ განიღმრთო. ეს ბოლო ასპექტი კარგად აისახა ამ მარმარილოთა მწირ ჩაცმულობაში - ბოლო-ბოლო სუბტროპიკებია - და ჩვენს დაბნეულობაში ნამტვრევების, ძეგლის ფრაგმენტების ატრიბუციისას (ეს მოტეხილი ხელი ღვთაებას ეკუთვნის თუ მოკვდავს?). განსხვავებათა წაშლა მოკვდავებსა და ღმერთებს შორის ჩვეულებრივი ამბავი იყო ძველებისთვის, კონკრეტულად კი რომაელი კეისრებისთვის. მაშინ, როცა ბერძნებს თავიანთი გენეალოგია აინტერესებდათ, რომაელები უფრო დაწინაურებას ცდილობდნენ. მიზანი, რა თქმა უნდა, იგივე იყო: ზეციური სასახლეები. თუმცა მმართველის პატივმოყვარეობა და ავტორიტეტის გაზრდა ამაში საკმაოდ უმნიშვნელო როლს თამაშობდა. მთელი არსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთებთან გაიგივებისა მდგომარეობს არა იმდენად მათ ყოვლისმცოდნეობაში, რამდენადაც შეგრძნებაში, რომ მათი უკიდურესი სხეულებრიობა, ხორციელება უკიდურესივე გაუცხოებით იყო გაწონასწორებული. დავიწყოთ იქიდან, რომ გაუცხოების წმინდა პროფესიული საზომი, როგორც წესი, აიძულებდა მმართველს საკუთარი თავი ღმერთთან გაეიგივებინა (ნერონისა და კალიგულას შემთხვევაში ამას განაპირობებდა სწორედ სხეულებრიობა, ხორციელება). როცა ქანდაკებას ჩაიბარებდა, იგი საგრძნობლად ზრდიდა ამ საწყაულს და უკეთესი იყო, თუკი ეს სიცოცხლეშივე მოხდებოდა, რადგანაც მარმარილო ამცირებს როგორც ქვეშევრდომების მოლოდინებს, ასევე ორიგინალის პირად მზაობას გადაიხაროს აშკარა სრულყოფილებისგან. ეს ათავისუფლებს, თავისუფლება კი ღმერთების სფეროა. უხეშად რომ ვთქვათ, მარმარილოს და ფსიქიკის პერსპექტივა, რომელსაც ჩვენ ანტიკურობას ვუწოდებთ, - ესაა კანის გამოცვლილი და დაყრილი ნაფლეთების უზარმაზარი საწყობი, გნებავთ პეიზაჟი უკანდახევის შემდეგ; თავისუფლების ნიღაბი, რაკეტის ნარჩენი ბუსტერების გროვა.

14

თუკი მართლა რამე სძულდა მარკუსს და ყველანაირად ზღუდავდა, პირველ რიგში გლადიატორთა ბრძოლები იყო. ზოგი ამბობს, იმიტომ, რომ სპორტის სისხლიან სახეობებს ვერ იტანდა, უხეშს და არაბერძნულს და ვინმეს მხარდაჭერა თუ ქომაგობა მისთვის მიკერძოებულობა იყო. სხვები ამტკიცებენ, რომ ეს მის მეუღლეს, ფაუსტინას უკავშირდება, ვინაც, მიუხედავად იმისა, რომ ცამეტი შვილი ჰყავდა - მხოლოდ ექვსი მათგანი გადარჩა - დედოფლის კვალობაზე წარმოუდგენლად განურჩეველი იყო გარკვეულ ამბებში. მის მრავალრიცხოვან კავშირებს შორის გამოჰყოფენ ვიღაც გლადიატორს, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, კომოდუსის ნამდვილი მამა იყო. მაგრამ ბუნების გზანი ამოუცნობია; ვაშლი კი ხანდახან ხისგან შორს გადაგორდება ხოლმე, განსაკუთრებით, როცა ხე ფერდობზე იზრდება. კომოდუსი იმავდროულად დამპალი ვაშლიც იყო და ფერდობიც, ხოლო რაც შეეხება იმპერიის ბედისწერას, იგი ფერდობი კი არა, ნამდვილი უფსკრული გახლდათ. და ალბათ იმის შეუძლებლობა, რომ ბუნების გზათა მიუწვდომლობას ჩაწვდე, იყო ფაუსტინას რეპუტაციის მიზეზიც (თუმცა, მარკუსი რომ ფაუსტინას გამო ყოფილიყო გლადიატორების წინააღმდეგი, მოუწევდა მეზღვაურების, მიმების, გენერლებისა და ა.შ. აკრძალვაც). თავად მარკუსი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ, ჭორებით ალყაშემორტყმულმა და გაყრასთან დაკავშირებული რჩევებით გაბეზრებულმა აღნიშნა: „თუკი ჩვენს მეუღლეს გავუშვებთ, მისი მზითევის დაბრუნებაც მოგვიწევს“. მზითევს კი ამ შემთხვევაში თავად იმპერია წარმოადგენდა, რადგანაც ფაუსტინა ანტონინუს პიუსის ქალიშვილი იყო. ერთი სიტყვით, იგი სულ იცავდა ფაუსტინას და თუკი იმ პატივსაც გავითვალისწინებთ, რაც მან გარდაცვალების შემდეგ მიაგო მეუღლეს, შესაძლოა უყვარდა კიდეც იგი. როგორც ჩანს, ფაუსტინა ერთ-ერთი ის მძიმე კერძი იყო, რომლის გემოც ძალიან გაკვრით იგრძნობა „ფიქრებში“. საერთოდ, კეისრის ცოლი არ ექვემდებარება საყვედურებსა და ეჭვებს. და შესაძლოა სწორედ ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ასევე ფაუსტინას რეპუტაციის გადასარჩენად, მარკუსმა უარი თქვა ტახტის მემკვიდრის არჩევის თითქმის ორასწლოვან ტრადიციაზე და გვირგვინი გადასცა მას, ვინც ამგვარად თავის სისხლად და ხორცად აღიარა. ყოველ შემთხვევაში, მემკვიდრე ფაუსტინას სისხლი და ხორცი მაინც იყო. მარკუს ავრელიუსი უდიდეს პატივს სცემდა სიმამრს და უბრალოდ არ სჯეროდა, რომ ვიღაც, ვის ძარღვებშიც ანტონინების სისხლი ჩქეფს, ასეთი გარყვნილი შეიძლებოდა ყოფილიყო. შესაძლოა იგი ფაუსტინას ბუნების მოვლენად აღიქვამდა, ბუნება კი სტოიკოსი ფილოსოფოსისთვის უმაღლესი ავტორიტეტია. შეიძლება ითქვას, ბუნებამ ასწავლა მას აუღელვებლობა და ზომიერების გრძნობა; სხვანაირად, მისი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა; „ფიქრები“ სოლიფსიზმის გამონატანს ტოვებს, როგორც მყინვარი ქვა-ღორღს. ბორტებასა და სისასტიკეს მარკუსი კი არ პატიობდა, არამედ გაცლას ამჯობინებდა. იგი უფრო მიუკერძოებელი და უშფოთველი იყო, ვიდრე სამართლიანი. და მისი უშფოთველობა არა გონებრივი მიუკერძოებლობის შედეგი იყო, არამედ უსასრულოსაკენ სწრაფვას წარმოადგენდა, კერძოდ, თავად უშფოთველობის ზღვარისკენ სწრაფვას. ეს საგონებელში აგდებდა მის ქვეშევრდომებს არანაკლებ, ვიდრე ისტორიკოსებს, რადგან ისტორია მიკერძოების სფეროა. და როგორც ქვეშევრდომები საყვედურობდნენ მარკუსს გლადიატორთა ბრძოლებთან მისი დამოკიდებულების გამო, ასევე ისტორიკოსები ესხმოდნენ მას თავს ქრისტიანთა დევნის გამო. რა თქმა უნდა, მხოლოდ შეგვიძლია ვივარუდოთ, რამდენად იცნობდა მარკუსი ქრისტიანულ მოძღვრებას, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ მისთვის ქრისტიანული მეტაფიზიკა ბეცი და შეზღუდული იქნებოდა, ეთიკა კი არამიმზიდველი. სტოიკოსის თვალსაზრისით, არ ღირს ვილოცოთ იმ ღმერთის მიმართ, რომელსაც თქვენ შეგიძლიათ სიქველე შესთავაზოთ მარადიული კეთილდღეობის სანაცვლოდ. მარკუსისნაირი ადამიანისთვის, სიქველის ფასი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი აზარტული თამაშია და არა კაპიტალდაბანდება. ყოველ შემთხვევაში, ინტელექტუალური თვალსაზრისით, მას მცირე საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რომ მოწყალე თვალით შეეხედა ქრისტიანებისთვის; როგორც მმართველს, ამისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი ჰქონდა, ვინც ომით, ჭირით, აჯანყებებითა და დაუმორჩილებელი უმცირესობებით იყო გარშემორტყმული. თანაც მას არ შემოუღია ახალი კანონები ქრისტიანთა წინააღმდეგ; მანამდე მიღებული, ანდრიანესა და ტრაიანეს კანონები სრულიად საკმარისი იყო. როგორც ჩანს, თავისი საყვარელი ეპიქტეტეს კვალად, მარკუსი განიხილავდა ფილოსოფოსს, შესაბამისად, საკუთარ თავს, როგორც შუამავალს ღვთაებრივ განგებასა და კაცობრიობას, ანუ საკუთარ ქვეშევრდომთა შორის. შეიძლება შეეკამათოთ მის ამ შეხედულებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მისი ვერსიის ფინალი უფრო გახსნილი იყო, ვიდრე ქრისტიანობა. ნეტარ არიან მიკერძოებულნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ დედამიწა.

15

აიღეთ თეთრი, ჟანგისფერი და ცისფერი; დაუმატეთ ცოტა მწვანე და ბლომად გეომეტრია. თქვენ მიიღებთ ფორმულას, რომელიც ამ მხარეში დრომ აირჩია თავისი დეკორაციისთვის, რადგანაც იგი არაა პატივმოყვარეობას მოკლებული, განსაკუთრებით, როცა ისტორიის ან ინდივიდის ფორმას იღებს. იგი ასე იქცევა სასრულობისადმი თავისი ავხორცი ინტერესის გამო, გნებავთ შეკვეცის უნარის გამო, რისთვისაც მას სხვადასხვა ნიღაბი აქვს, მათ შორის ადამიანის ტვინი და თვალი. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ - განსაკუთრებით, თუკი აქ დაიბადეთ - რომ ერთხელაც ტრაპეციის ფორმის თეთრ-ჟანგისფერი მოედნით გარშემორტყმული აღმოჩნდეთ, თავსზემოთ თეთრ-ცისფერი ტრაპეციით. პირველი ადამიანის ქმნილებაა (კერძოდ, მიქელანჯელოსი), მეორე - ზეციური ქმნილებაა და მას ადვილად იცნობთ. თუმცა ვერც ერთს ვერ გამოიყენებთ რამეში, რადგანაც თქვენ მწვანე ხართ: დაჟანგული ბრინჯაოს ფერი. და თუკი თავსზემოთ ღრუბლების თეთრი გროვა ჟანგბადის სილურჯესთან ერთად ბალუსტრადის მარმარილოს წვივებს და გარუჯულ ტიბურტულ ტორსებს გვირჩევნია, მხოლოდ იმიტომ, რომ ღრუბლები თქვენი ადგილების სიძველეზე მიანიშნებენ: რადგანაც ისინი, ღრუბლები, ნებისმიერი არქიტექტურის მომავალს წარმოადგენენ. აქ თითქმის ორიათასი წელი იდექი და შენზე კარგად ეს არავინ იცის. შესაძლოა ღრუბლები, ერთად-ერთი ნამდვილი სიძველე იყოს, რომელიც კი არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ გარემოცვაში ბრინჯაოსი არა ხარ.

16

Ave, კეისარო. ახლა როგორ გრძნობ თავს, ბარბაროსებს შორის? რადგანაც ჩვენ ბარბაროსები ვართ შენთვის - თუნდაც იმიტომ, რომ არც ბერძნულად ვლაპარაკობთ და არც ლათინურად. სიკვდილის შენზე მეტად გვეშინია და ჩვენი ჯოგური ინსტინქტი თვითგადარჩენის ინსტინქტზე ძლიერია. ნაცნობი სიტყვებია არა? იქნებ საქმე ჩვენს მრავალრიცხოვნებაშია კეისარო, ან იქნებ ჩვენი ქონების სიუხვეში. ჩვენ, რა თქმა უნდა ვგრძნობთ, რომ სიკვდილთან ერთად გაცილებით მეტის დაკარგვა მოგვიწევს, ვიდრე შენ, ოდესღაც. მერე რა, რომ იმპერიას ფლობდი. შენთვის, თუ სწორად მახსოვს, დაბადება შესვლა იყო, სიკვდილი - გამოსვლა, ცხოვრება კი კუნძული ნაწილაკთა ოკეანეში. ჩვენთვის ეს ცოტა მელოდრამატული ამბავია. ჩვენ, მემგონი ის გვაშინებს, რომ შესასვლელი მუდამ დაცულია, მაშინ, როცა გამოსასვლელი - ღიაა. ჩვენ ვერ ვახერხებთ იმის გააზრებას, თუ როგორ გადავიქცევით ისევ ნაწილაკებად: ამხელა ქონების დაგროვების შემდეგ არაა სასიამოვნო ამაზე ფიქრი. ეს სტატუსის ინერციაა, ან შესაძლოა სტიქიური თავისუფლების შიში. როგორც არ უნდა იყო, კეისარო, შენ ბარბაროსებს შორისა ხარ. ჩვენ ვართ შენი პართელები, მარკომანები და კვადები, რადგან ვერავინ დაიკავა შენი ადგილი და დედამიწაზე ახლა ჩვენ ვსახლობთ. ზოგიერთი ჩვენთაგანი უფრო შორსაც მიდის, შენს ანტიკურობაში იჭრება და განსაზღვრებებით გამარაგებს. შენ პასუხის გაცემა არ შეგიძლია, არც დალოცვა, ვერც მოგვესალმები და ვერც გვანუგეშებ შენი წინ გაწვდილი მარჯვენა ხელით, რომლის თითებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ კალამი, შენი „ფიქრების“ სტრიქონები რომ გამოყავდა. თუკი ამ წიგნმაც ვერ გაგვხადა ცივილიზებული, ვინღა იზამს ამას? შესაძლოა შენ მეფე-ფილოსოფოსად გამოგაცხადეს, სწორედ იმიტომ, რომ მნიშვნელობა შეემცირებინათ და ხაზი გაესვათ უნიკალობისთვის. რადგანაც თეორიულად, ის, რაც უნიკალურია, დაუშვებელია, არარელურია, კეისარო, შენ კი უნიკალური იყავი. თუმცა, შენ ვერ გიწოდებენ მეფე-ფილოსოფოსს - პირველი შენ შეკრთებოდი ამ წოდებისგან. შენ იყავი ისეთი, როგორიც ძალაუფლებისა და კვლევის ნაზავმა გაქცია: ორივეს ბოლოსიტყვაობა, უნიკალური, პათოლოგიამდე ავტონომიური პიროვნება. აქედან მოდიოდა შენი აქცენტი ეთიკაზე, რადგანაც უზენაესი ძალაუფლება გათავისუფლებს ზნეობრივი ნორმისგან, და პრაქტიკულად, იგივეს აკეთებს უზენაესი ცოდნაც. შენ ორივე მიიღე, არადა მხოლოდ ერთის გადაიხადე კეისარო: ამიტომაა, რომ ასეთი საშინლად ეთიკური გახდი. მთელი წიგნი დაწერე, რომ სული დაგეურვებინა და საკუთარი თავის ყოველდღიურ მართვას მიჩვეოდი. მაგრამ ამას ესწრაფვოდი სინამდვილეში? უსასრულობისაკენ შენი დაუოკებელი ლტოლვა არ გიბიძგებდა საგულდაგულოდ ჩაღრმავებოდი საკუთარ თავს, რადგანაც თავი მთელის ფრაგმენტად მიგაჩნდა - თუმცა კი უმცირეს ფრაგმენტად?! სამყაროს ფრაგმენტად, სამყარო კი, როგორც შენ ამტკიცებდი, განუწყვეტლივ იცვლება. ბოლობოლო ვის ამოწმებდი მარკუს? ვისი ზნეობის დამტკიცებას ცდილობდი? და როგორც ვიცი, შეძელი კიდეც ამის დამტკიცება. რა გასაკვირია, რომ

გაკვირვებული არა ხარ ბარბაროსთა შორის ყოფნით; რა გასაკვირია, რომ შენ ყოველთვის გაცილებით ნაკლებად გეშინოდა მათი, ვიდრე საკუთარი თავისა, - რადგან შენ სიკვდილზე მეტად გეშინოდა საკუთარი თავის. „იფიქრეთ იმაზე, რომ მთელი ადამიანური ბოროტების, ისევე როგორც უმადურობისა და სულმოკლეობის წყარო სიკვდილი კი არა, სიკვდილის შიშია?“ - ამბობს ეპიქტეტე. მაგრამ შენ ასევე იცოდი, რომ არავინ ფლობს თავის მომავალს, ისევე როგორც, საკუთარ წარსულს. რომ სიკვდილთან ერთად მხოლოდ ის დღე შეიძლება დავკარგოთ, როცა ეს მოხდება, უფრო სწორად დღის დარჩენილი ნაწილი. დროის თვალში - კიდევ უფრო ნაკლები. ზენონის ნამდვილი მონაფეა, ვერაფერს იტყვი. ნებისმიერ შემთხვევაში შენ არ აძლევდი საშუალებას არარსებობის პერსპექტივას, რომ ფერი მიეცა შენი ყოფიერებისთვის, ან სამყაროსთვის. შენ მიიჩნევდი, რომ ნაწილაკების დასკვნით ცეკვას არანაირი გავლენა არ უნდა ჰქონოდა გასულიერებულ სხეულზე, მით უმეტეს გონებაზე. შენ კუნძული იყავი კეისარო, შენი ეთიკა იყო კუნძული, კუნძული პირველქმნილ და - ბოდიში ამ გამოთქმისთვის - თავისუფალ ატომთა ბოლოქმნილ ოკეანეში. და შენი ძეგლი უბრალოდ ადგილს მონიშნავს ჩვენი სახეობის ისტორიის რუკაზე, სადაც ეს კუნძული ოდესღაც არსებობდა: დაუსახლებელი კუნძული, რომელიც შემდეგ წყალმა შთანთქა. დოქტრინისა და რწმენის ტალღებმა - სტოიკოსების დოქტრინისა და ქრისტიანთა რწმენის - შენზე გადაიარეს, რადგან თავიანთ ატლანტიდად გამოგაცხადეს. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთს მიეკუთვნებოდი და არც მეორეს. შენ უბრალოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყავი, ვინც ამ სამყაროში ცხოვრობდა და ვალდებულებით იყავი ატანილი, იმიტომ, რომ virtus-ით იყავი ატანილი. იმიტომ, რომ მისი მიღწევა უფრო რთულია, ვიდრე მისი ალტერნატივის, რადგან სამყაროს საფუძველში რომ ბოროტება ყოფილიყო ჩადებული, სამყარო არ იარსებებდა. ვიღაცეები, რა თქმა უნდა ხაზს გაუსვამენ, რომ დოქტრინა და რწმენა შენამდე და შენს მერე მოვიდა, თუმცა ისტორია როდი განსაზღვრავს რა არის სიკეთე. რა თქმა უნდა, დრო, როცა თავის მონოტონურობას აცნობიერებს, ადამიანებში მოთხოვნილებას აჩენს, რომ თავისი „გუშინ“ თავისი „ხვალისგან“ გაარჩიონ. შენ, კეისარო, იმიტომ იყავი კარგი, რომ ეს არ გააკეთე.

17

ბოლოს რამდენიმე წლის წინ ვნახე წვიმიან ზამთრის ღამეს, უსახლკარო დალმატინელი დოგის კომპანიაში. ტაქსით ვბრუნდებოდი სასტუმროში, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი საღამოს შემდეგ. მეორე დღეს რომიდან შტატებში უნდა გავფრენილიყავი. მთვრალი ვიყავი. მანქანები ისეთი სისწრაფით მოძრაობდნენ, საკუთარ დაკრძალვაზე რომ ვინატრებდი. კაპიტოლიუმის მისადგომებთან გავაჩერებინე მძღოლს, გადავიხადე და გადმოვედი. სასტუმრო შორს არ იყო და როგორც ჩანს ფეხით მომინდა გზის გაგრძელება; ამის ნაცვლად კი ბორცვს ავუყევი. წვიმა მოდიოდა, მაგრამ არა ისეთი კოკისპირული, მოედნის - უფრო სწორად, ტრაპეციის, - გასანათებელ პროჟექტორებზე რომ ალკაზელცერის შუშხუნა ტაბლეტების ეფექტს წარმოქმნიან. დეი კონსერვატორის არკადის ქვეშ დავიმალე და მიმოვიხედე. მოედანზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ხოლო წვიმა სწრაფი მეთოდით სწავლობდა გეომეტრიას. მალე აღმოვაჩინე, რომ მარტო არა ვარ: არ ვიცი საიდან, უცებ საშუალო სიმაღლის კოპლებიანი დალმატინელი ძაღლი გამოჩნდა და ჩემთან ახლოს ჩამოჯდა. მის მოულოდნელ გამოჩენას იმდენად უცნაური სიმშვიდე მოჰყვა, რომ უცებ სიგარეტით გამასპინძლება მომინდა. ეს ალბათ მისი კანის მოხატულობასთან იყო დაკავშირებული; ამ ძაღლის კანი ერთად-ერთი ადგილი იყო მთელს პიაცაზე, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო ადამიანის ჩარევისგან. რაღაც დროის მანძილზე ორივენი მხედრის ძეგლს მივშტერებოდით. „საერთო ბუნება ისე იყენებს ყოვლად არსს, როგორც ცვილს: აი, მან გამოძერწა ცხენი, დაშალა ის და მისი მასალისაგან გამოძერწა ხე, მერე კაცი და ასე შემდეგ. ხოლო ყოველი ამ არსთაგანი ორიოდე წამს არსებობს მხოლოდ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზარდახშისთვის სულერთია, დაშლიან მას თუ ააწყობენ“ (7.23). ესაა, რაც ბიჭობაში, თხუთმეტი წლისამ დაიმახსოვრა და ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გაახსენდა. მაგრამ არც ეს ცხენი დაუშლიათ და არც ეს ადამიანი. ცხადია, რომ „საერთო ბუნება“ კმაყოფილი იყო ამ ყოვლადი არსის ფორმით და იგი ბრინჯაოში ჩამოასხა. და უეცრად - შესაძლოა, წვიმისა და მიქელანჯელოს თაღებისა და პილასტრების რიტმული სურათის გამო - ყველაფერი თითქოს გაიდღაბნა და ამ ბუნდოვანების ფონზე ყველანაირი გეომეტრიისგან დაცლილი მანათობელი ძეგლი თითქოს ამოძრავდა. სწრაფად არა. და არც შორს წასულა, თუმცა ეს მოძრაობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ძაღლს მივეტოვებინე და მოძრავ ბრინჯაოს გაკიდებოდა.

18

როგორ მომხიბლავადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს რომაული სიძველეები, ალბათ მაინც ცოტათი ფრთხილად უნდა ვიყოთ რეტროსპექციისადმი ჩვენს მიდრეკილებასთან დაკავშირებით. იქნებ ჩვენი ხელქმნილი ქრონოლოგია მხოლოდ თვითდამშვიდების შეცდომაა, ხერხი ადამიანის ცნობიერების ჩამორჩენილობის დასაფარავად. იქნებ ევოლუციაზე ასეთი წარმოდგენა ტყუილია? და ბოლოს, იქნებ ეს ძველი, კარგად ნაცნობი ისტორიის გრძნობა უბრალოდ მთვლემარე უმრავლესობის თავდაცვაა ფხიზელი უმცირესობისგან? იქნებ ანტიკურობაზე ჩვენი წარმოდგე-

ნები - მხოლოდ მაღვიძარას გამორთვაა? ავიღოთ, მაგალითად, ეს მხედარი და მისი წიგნი. დავიწყოთ იქიდან, რომ „ფიქრები“ არ დაწერილა „ქრისტეშობიდან მეორე საუკუნეში“, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ავტორი არ ცხოვრობდა ქრისტიანული კალენდრის მიხედვით. თუმცა ამ წიგნის შექმნის დროს არც აქვს მნიშვნელობა, რადგან მისი საგანი - ეთიკაა. ოღონდ რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ კაცობრიობა მაინცდამაინც არაა ამაყი იმის გამო, რომ უაზროდ დახარჯა თხუთმეტი საუკუნე, სანამ მარკუსის მიგნებებს სპინოზა გაიმეორებდა. შესაძლოა თვლაში უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე აზროვნებაში, ანდა პირველს მეორეში ვურევთ. ყოველთვის რატომ გვინდა ვიცოდეთ ზუსტად როდის წარმოთქვეს პირველად ჭეშმარიტება? ნუთუ ამ ტიპის არქეოლოგია უკვე მინიშნება არაა იმაზე, რომ ჩვენ ტყუილში ვცხოვრობთ? ყოველ შემთხვევაში, თუკი „ფიქრები“ სიძველეა, ანტიკურობაა, ნანგრევები სწორედ ჩვენ გამოვდივართ. თუნდაც იმიტომ, რომ გვწამს, თითქოს ეთიკას მომავალი ჰქონდეს. რას ვიზამთ, შესაძლოა ჩვენი რეტროსპექტიული უნარები მართლაც ცოტათი უნდა შევზღუდოთ, რათა ყოვლისშთანმთქმელ ძალად არ იქცეს. რადგანაც ეთიკა - სხვაც რომ არაფერი იყოს - აწმყოს კრიტერიუმს წარმოადგენს, შესაძლოა ერთად-ერთ არსებულს, იმიტომ, რომ იგი ყველა „გუშინ“-ს და „ხვალე“-ს „ახლა“-დ აქცევს. იგია სწორედ ის ისარი, რომელიც ფრენის ყოველ მომენტში უძრავია. „ფიქრები“ არაა ეკზისტენციალიზმის სახელმძღვნელო და იგი მომავალი თაობებისთვის არ დაწერილა. და არ უნდა დავინტერესდეთ ავტორის პიროვნებით და არც მეფე-ფილოსოფოსის წოდება უნდა მივანიჭოთ მას: ეთიკა - ყველას ათანასწორებს; ამიტომ, ავტორი აქ ყველაა. მოვალეობის შესახებ მისი წარმოდგენა არ უნდა მივაწეროთ ამ მოვალეობის მეფურ სიჭარბეს, რადგან იგი ერთად-ერთი იმპერატორი არ ყოფილა; არც მისი მორჩილება შეგვიძლია მივაწეროთ მის საიმპერატორო წარმოშობას, რადგანაც იგივე შეგვიძლია განვიცადოთ ჩვენც, ვინც იმპერატორები არა ვართ. სწორედ ამავე მიზეზით, ეს მორჩილება არც მისი ფილოსოფიური განათლებით აიხსნება - ძალზე ბევრი ფილოსოფოსი არსებობდა მარკუსის გარდა. მეორე მხრივ კი, უმრავლესობა სტოიკოსები არა ვართ. იქნებ მისი მოვალეობის გრძნობა და მორჩილება პირველ რიგში მისი პირადი ტემპერამენტის პროდუქტი იყო? უფრო ზუსტად თუ ვიტყვით - მელანქოლიისკენ მიდრეკილების, რომელსაც ალბათ დაბერებაც უნდა დავუმატოთ. საბოლოო ჯამში სულ მხოლოდ ოთხი ცნობილი ტემპერამენტი არსებობს; ასე რომ, მელანქოლიკებს ეს წიგნი შეუძლიათ გულთან ახლოს მიიტანონ და დაივიწყონ ისტორიული პერსპექტივა, რომელსაც ისედაც ვერავინ ფლობს. რაც შეეხებათ სანგვინიკებს, ქოლერიკებს და ფლეგმატიკებს, მათაც ალბათ უნდა აღიარონ, რომ ეთიკის მელანქოლიური ვერსია საკმაოდ მოსახერხებელია მათთვის, გენეალოგიისა და ქრონოლოგიის თვალსაზრისით. შესაძლოა, რადგანაც არ გვაქვს სავალდებულო სტოიცისტური იდეოლოგიზაცია, საზოგადოება შეიძლება მოგებული დარჩეს, რათა მან თუნდაც მცირე სულიერი მიდრეკილება მელანქოლიისადმი აუცილებელ პირობად აქციოს ყველასთვის, ვისაც ამ საზოგადოების მართვა სურს. ამ თვალსაზრისით, დემოკრატია იგივე შესაძლებლობებს იძლევა, რასაც იმპერია. თანაც, არ იქნება სწორი, თუკი სინამდვილის სტოიცისტურ მიღებას, შეგუებასა და მორჩილებას ვუწოდებთ. „განურჩევლობა“ უფრო მოუხდებოდა, თუკი ადამიანსა და მისი ყურადღების ობიექტებს შორის თანაფარდობას გავითვალისწინებთ, ან - რაც ჩვენს შემთხვევაში ალბათ უფრო სწორი იქნება - vice versa. ქვიშის მარცვალს არ შეუძლია შეურიგდეს უდაბნოს; და რაც საბოლოო ჯამში კარგი აქვთ მელანქოლიკებს - ისინი იშვიათად ვარდებიან ისტერიკაში. ერთი სიტყვით, მელანქოლიკები საკმაოდ გონიერები არიან, ხოლო „გონიერი მოქალაქეობრივიცაა ამავე დროს“ (10.2), როგორც ერთხელ მარკუსმა თქვა. ნუთუ ბერძნულად თქვა ეს სიტყვები, რათა უფრო შესაბამისი ყოფილიყო ანტიკურობის ჩვენეულ წარმოდგენაზე?

19

რომაელ პოეტთაგან მარკუსს ყველაზე მეტად სენეკა უყვარდა და მის შემოქმედებასაც ყველაზე კარგად იცნობდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მასავით სენეკაც ესპანური წარმოშობისა იყო, ჰქონდა სუსტი ჯანმრთელობა და ძლიერი სახელმწიფოებრივი აზროვნება; ძირითადად კი, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ სენეკა სტოიკოსი იყო. კატულუსს რაც შეხება, უეჭველია, მარკუსი მას ზედმეტად ვნებიანად და ქოლერიკულად მიიჩნევდა. ოვიდიუსი მისთვის ურცხვი და გარდამეტებული აბდაუბდობით იქნებოდა გამორჩეული, ვერგილიუსი - სიმძიმითა და პირმოთნეობით, პროპერციუსი - აკვიატებებითა და ცეცხლოვანებით. ჰორაციუსი? ჰორაციუსი, თავისი გაწონასწორებულობითა და ბერძნული მონოდიისადმი ერთგულებით, ალბათ ყველაზე კონგენიალურ ავტორად ჩაითვლებოდა მარკუსისთვის. მაგრამ შესაძლოა ჩვენი იმპერატორის თვალში იგი ერთობ დახვეწილი ან ერთობ ცვალებადი ყოფილიყო და ამასთანავე არათანაბარი: მოკლედ, ერთობ პოეტი.

ნებისმიერ შემთხვევაში „ფიქრებში“ ჰორაციუსის თითქმის ვერანაირ კვალს ვერ იპოვით, ისევე როგორც ლათინთა შორის უდიადესის, ლუკრეციუსის კვალს - იგი კიდევ ერთია, ვინც მარკუსის ბუნებრივ არჩევანად შეგვეძლო მიგვეჩნია. თუმცა შესაძლოა სტოიკოსს არ სურდა ეპიკურეელის ჩრდილქვეშ მოქცეულიყო. მთლიანობაში კი მარკუსი, როგორც ჩანს, უფრო კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერკვეოდა ბერძნულ ლიტერატურაში და პოეტებს - დრამატურგებსა და ფილოსოფოსებს ამჯობინებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის, აგათონისა და მენანდრეს ფრაგმენტები მის წიგნში თითქმის რეგულარულად გვხვდება. თუკი რამე აქცევს ანტიკურობას შეკრულ, გამართულ ცნებად - ესაა მისი ლიტერატურის მოცულობა. ჩვენი გმირისნაირი ადამიანების ბიბლიოთეკა, როგორც წესი, დაახლობით ას ავტორს მოიცავდა; სხვა ასეულის შესახებ სხვათა სიტყვებიდან იცოდნენ. ეს მართლაც ძველი კარგი დროება იყო, მნიშვნელობა არა აქვს რას უწოდებ მას, ანტიკურობას, ან რამე სხვას. და ნაწერებიც, რომელთა შესახებ მხოლოდ სმენოდათ, მაინც ორად-ორი ენით შემოიფარგლებოდა: ბერძნულით და ლათინურით. თქვენ რომ ყოფილიყავით რომის იმპერატორი, წაიკითხავდით საღამოობით დარდის გასაქარვებლად ლათინ ავტორს, არჩევანი რომ გქონოდათ? თუნდაც ეს ავტორი ჰორაციუსი ყოფილიყო? არა; ძალიან ახლოსაა დროში, რათა დაისვენო ამით. თქვენ აირჩევდით ბერძენს - იმიტომ, რომ არასდროს იქნებით ბერძენი. იმიტომ, რომ ბერძენი, განსაკუთრებით კი ფილოსოფოსი, თქვენს თვალში უფრო ნამდვილია, ვიდრე თავად თქვენ, რადგანაც მან არ იცოდა ლათინური. თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნაკლებ რელატივისტი იყო, ვიდრე თქვენ, ვინც პრაქტიკულად მეტისად მიიჩნევთ თავს. ასერომ, თუკი იგი სტოიკოსი იყო, ყურის დაგდებაც ღირს. ალბათ ღირს უფრო შორს წასვლაც - კარგი იქნება, თუკი თავადაც აიღებთ ხელში სტილუსს. სხვანაირად ვერ შეესაბამები ანტიკურობაზე ვიღაცის წარმოდგენას.

20

უსახლკარო დალმატინელს, რომელიც ბრინჯაოს მხედარს მისდევს, რაღაც უცნაური ესმის, თითქოს ნაცნობი, მაგრამ მას წვიმის ხმა ახშობს. ცოტათი ფეხს აუჩქარებს, დაეწევა ძეგლს, აწევს დრუნჩს და ცდილობს გაიგოს თუ რას აღმოთქვამენ მხედრის ბაგენი. თეორიულად მას არ უნდა გაუჭირდეს ამის გაგება, რადგან მისი დალმაცია ბევრი კეისრის სამშობლო იყო. იგი ცნობს ენას, მაგრამ აქცენტს ვერ არჩევს:

„ნუ მისდევ ცეზართა კვალს, ნუ იმსჭვალვი მათი სულით: რადგან ასეც ხდება. ეცადე შეინარჩუნო უბრალოება, სიკეთე, სიწმინდე, სიდარბაისლე, სიმართლის სიყვარული, ღვთისმოსაობა, კეთილმოსურნეობა, კაცთმოყვარეობა, ღვაწლისმძლეობა. იბრძოლე, რათა იყო ისეთი, როგორიც სურდა ყოფილიყავ ფილოსოფიას. თაყვანი ეცი ღმერთებს, იზრუნე კაცთა მიმართ.“ (6.30)

„ნუ გაშფოთებს მერმისზე ფიქრი! რადგან, თუ საჭირო იქნა, შენ მიაღწევ მას იმავე გონების დახმარებით, რომელსაც ხმარობ და იყენებ ამჟამად.“ (7.8)

„ყველაფერი ეს ჩვეულებრივია ცდის თვალსაზრისით, სწრაფლწარმავალი - დროის თვალსაზრისით, ხრწნადი - მატერიის თვალსაზრისით. ყველაფერი დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო მათ დროს, ვინც ჩვენ მივაბარეთ მიწას.“ (9.14)

„თუ ღმერთები არსებობენ, რაღას შიშობ გამოაკლდე ცოცხალთა რიცხვს: როგორ გგონია, განა ღმერთები ბოროტს შეგამთხვევენ შენ?...“ (2.11)

„...სინამდვილის რომელიც გნებავთ მოვლენის წინააღმდეგ აღძვრა ყოვლისმპყრობელი დედაბუნების წინააღდგომას ნიშნავს.“ (2.16)

„კაცნი ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი, ამიტომ, ან დაითმინე, ან შეაგონე.“ (8.59)

„სამყარო ცვალებადობაა, სიცოცხლე რწმენა.“ (4.3)

„ყოველთვის უმოკლესი გზით იარე; უმოკლესი გზა კი ბუნებრივი ცხოვრების გზაა.“ (4.51)

„როგორიცაა შენი წარმოდგენების სიმრავლე, ისეთი იქნება შენი სულიერი ცხოვრებაც,რადგან წარმოდგენები სიღრმემდე განწონიან სულს.“ (5.16)

„...გიყვარდეს ის, რასაც კვლავ და კვლავ უბრუნდები, რადგან ფილოსოფიას ისე როდი უბრუნდებიან, ისე როდი მიმართავენ, როგორც ყრმა მიმართავს ლალას, არამედ როგორც თვალმტკივანი ღრუბელს ან კვერცხს, სხვანი კიდევ - სამკურნალო მალამოს ან ცხელ შხაპს“ (5.9)

„სამყაროს სული თანაარსებობას ამკვიდრებს ყველგან.“ (5.30)

„აი, მოძალადის დასჯის უკეთესი წესი: ნუ ემსგავსები მას.“ (6.6)

„ის, რაც არ რგებს სკას, არც ფუტკარს რგებს.“ (6.54)

„ტკივილისათვის: თუ ის დაუთმენელია, მაშასადამე მალე მოგვიღებს ბოლოს, ხოლო თუ ის დიდხანს გრძელდება, მაშასადამე შეიძლება მისი დათმენა. თავის თავში განმარტოებული სული ბოლომდე ინარჩუნებს სიმშვიდეს, ჩვენი წარმმართვლი საწყისი კი არ განიცდის რაიმე ვნებას. ხოლო რაც შეეხება ტკივილით განწონილ ასოებს, დაე, თუ ძალუძთ, თვითონვე განაცხადონ ამის შესახებ.“ (7.33)

„არსებითია სამი რამ: როგორ უყურებ შენს ხორციელ გარსს, ღვთაებრივ მიზეზს - თვითეულის ხვედრისა და ბედისწერის წყაროს, და შენსავ მოყვასთ.“ (8.27)

„ნუ მზვაობ, როდესაც იძენ, ნუ ნანობ, როდესაც ჰკარგავ.“ (8.33)

ამის შემდეგ აღარაფერი იყო მიქელანჯელოს ქვის ფილებზე ჩამოსული წვიმის ხმის გარდა. დალმატინელი მოედანზე გავარდა, მიწიდან ამოთხრილ მარმარილოს ნატეხს ჰგავდა. იგი, რა თქმა უნდა ანტივურობისკენ მიქროდა და ყურებში თავისი პატრონის, ბრინჯაოს ძეგლის ხმა ჩაესმოდა: „სულერთია, ას წელს უჭვრეტ ერთსა და იმავეს თუ სამად სამ წელს“. (9.37)

1994

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ნათელაძე

ძველი ავტომობილი

წავიდეთ სოფელში
ჩვენი ძველი ავტომობილით.
გიჩვენებ ჩემი მაჯებიდან გაფრენილ ჩიტებს,
ახალგაყვავილებული კვირტებივით როგორ გაიშლებიან
ხეების ზურმუხტისფერ ფოთლებში
და სხვენს - ყველაზე საიმედო ადგილს,
სადაც დიდი ხნის წინ შევინახე ჩემი თავი
და წამოვედი შენს მოსაძებნად.

მეხსიერებაში ჩაკრულია ბალახების გამომშრალი ხმები
და მონატრება რაღაც არარსებულის.
იქ, სადღაც ახლოს
ქათმების კრიახი უნდა სერავდეს სიცხისაგან გაბლანტებულ შუადღეს,
სიმინდის ყვითელი კრისტალებით ისეტყვებოდეს მიწა,
თუ კიდევ შემორჩა ვინმე სულიერი.

გიჩვენებ კაბას, რიყის ქვებივით თეთრს - ცამეტი წლის გოგოსთვის შეკერილს;
იმ დღით რომ მეცვა, როცა მქონდა პირველი ციკლი,
რომლის კვალიც ვერაფერმა ამოაშორა
და დარჩა კაბის ბოჭკოებში სამარადისოდ,
როგორც თეთრ ქვებში ვარდისფერი, ნაზი ყვავილი,
ერთადერთი ყვავილი, რომელსაც ფერი შეეცვალა,
მაგრამ არ დაჭკნა,
ამიტომ, იქნებ სევდის მომგვრელიც კი იყოს მისი ხილვა.
მიხვდები, საიდან დაიწყო ეს ტკივილებით სავსე ამბავი,
ეს უსასრულო გაუგებრობა,
გადასაყრელი ჟურნალებივით სხვენში საკუთარი თავის გადამალვა
და წამოსვლა შენს მოსაძებნად.

წავიდეთ სოფელში ჩვენი ძველი ავტომობილით,
და მომიყევი, როგორი იყო შენი სახლი თავდაპირველად,
თვალებში მასაც ალუბლის ტოტები ეჩხირებოდა,
თუ ლეღვის რძიანი ფოთლები უსუსხავდნენ კედლებს?
ან იქნებ არცერთი ხე არ მდგარა შენი სახლის გარშემო?
ისევ ისეთი ხარ, თუ შენც სხვენში დატოვე საკუთარი თავი,
ჩემს მოსაძებნად რომ წამოსულიყავი?
ახლა კი აღარ შეგიძლია, ამომგლიჯო, როგორც კიბოს მეტასტაზები -
მარტოობიდან ველარგამოღწევის პანიკური შიში.
ჩავუქროლოთ ჩვენი ძველი ავტომობილით გაუვალ კორომებს
და მინდვრებსაც,
კალიების მწვანე თქეში რომ გადაუვლის
და მომაკვდინებელი ყაყაჩოები დაემართება -
- ტვინში სისხლის გაჟონვა.



რომ დაგაყენო იმ ფანჯარასთან,
რომელთანაც ანთებულ შუქში ყოველღამე პერანგს ვიხდიდი,
რადგან ვიცოდი, მოპირდაპირე სახლის სიბნელიდან
მეზობლის ჩემი ტოლი ბიჭი მითვალთვალებდა,
და ყოველთვის ნელა ვიხდიდი,
წარმოვიდგენდი, ისე უგუბდებოდა თვალებში და მთელ ტანში ზღვები,
ქუთუთოებთან თევზებს რიყავდა,
და მერე ოფლით დაცვარული ტანით ვწვებოდი
და ჭერზე ჩამოჟონილი წვიმისგან დახატულ ფუტკრებს ვითვლიდი,
რომ როგორმე ჩამძინებოდა.

ხის დაბალი კარიდან შეგიძღვები საკუჭნაოში,
იქ ორმოც გრადუს სიცხეშიც კი
ყინულივით ცივი იყო კედლები
და ყოველთვის ხახვის გირლიანდები ეკიდა,
მრგვალი, ვარდისფერი ნათურებივით.
ვიდექი მათ დაწრეტილ ჩრდილში
და ფეხებზე ხავსივით მაცოცდებოდა
კალენდარზე სადღესასწაულოდ ჩანიშნული თარიღების სიცარიელე.
მიწიდან ფესვებიანად ამოთხრილ ყვავილებს
თმებში ჩავიწყობ,
ჩემი შუბლიდან ნერვებივით დაიწყონ გაზრდა.
და ჭიდან ცივ წყალს ამოვიღებ,
ერთმანეთის პირისპირ ჩამოვჯდებით მრგვალ მაგიდასთან,
შევძლებთ იმდენი წყალი დავლიოთ, რამდენიც მოგვესურვება -
- ნამდვილი ცხოვრებაც ეს უნდა იყოს!

დავრჩეთ სოფელში შემოდგომამდე,
რომ გიჩვენო, როგორი ცა ჩანს ჩემი სახლიდან,
რომ გითხრა - მე მხოლოდ შენთვის გავჩნდი ასეთი
და შენი ზღვების ნაპირებთან გამორიყულ თევზებს ვუპატრონო.
მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს -
- ან მახლობელ ტყეებში დამალულმა ქარებმა მოგვაკითხონ სხვენში,
ან საკუჭნაოში დაკიდულ ვარდისფერ ნათურებთან ერთად გადავიწვათ,
ან მთებიდან ჩამოწოლილმა სქელმა ნისლმა შეგვიწოვოს.

ჩვენ დავწვით სახლი

შემოდგომას რომ არ დაეშვა ყვითელი ფრთები,
არ შესჩვეოდა ყინვა, როგორც ერთგული ძაღლი,
რომ ვერცერთ გამვლელს ვერ ეპოვნა მის შიგნით შვება,
ჩვენ ჩავიდინეთ ბოროტება და დავწვით სახლი.
ჩამოდიოდა შავ ნამსხვრევად გრძნობები მინის,
და ყაყანებდნენ ბაყაყები გუბურის ახლოს,
იწვოდა სახლი. შეპყრობილნი სადისტურ ჟინით
ვურბენდით ირგვლივ და ვყვიროდით - ''დაიწვი, სახლო!''
დაიწვი, სახლო! შენ არასდროს დარჩები უბრად,
არც მარტოობის ხავსიანი მოწყენა გელის,
არაფერია მიტოვებულ სახლებზე უფრო,
უიმედო და შემზარავად არაფრის მთქმელი.
იქ დარჩა მაწვნის თეთრი ქილა, ყვავილი ბალბის,
და ტელეშოუ, იატაკზე ხეების ლანდი,
სიზმრის მდინარე - სარეცელი, კანაფის ბოლი,
და სიყვარულის ნარჩენები, რომელსაც ვწვავდით.
როგორც დავწვავდით დაძველებულ კომბოსტოს ფოთლებს,
აღწევდა ალი ღრუბლებამდე და უფრო მაღლა,
რომ დაბრუნების შევეცდინეთ არასდროს სურვილს,
და არასოდეს დაგვხვედროდა გამოცვლილ სახლად.
(ჩვენ დავწვით სახლი... შევიშალეთ ამგვარად როდის?)
ძირს ეშვებოდა ბუდეები სხვენიდან მერცხლის,
ჭერსა და სკამებს, ღია ფანჯრებს, თუკი რამ გვქონდა,
გაუმაძღარი აღტკინებით ღეჭავდა ცეცხლი.
იწვოდა დიდხანს, იშვიათი ისე ვით განძი,
და ბოლოს გამქრალ მირაჟივით ჩამოწვა დაღმა,
რა დიდი იყო, რა მაღალი და თან რა გამძლე,
ცეცხლმოდებულმა დაგვანახა ბოლოსღა სახლმა.
რომ შემოდგომას არ დაეშვა ყვითელი ფრთები,
არ შესჩვეოდა ყინვა, როგორც ერთგული ძაღლი,
რომ სხვას ვერავის ვერ ეპოვნა მის შიგნით შვება,
ჩვენ დავწვით სახლი;
ჩვენ დავწვით სახლი.

***

ცხელ ქვიშად ქცეულ მოგონებებს სევდის მზე აჭერს,
მწველია ღამეც, ტეხასური ამინდებია,
სარკის ნატეხში ჩანს უხორცო ვიღაც მეორე,
როგორ მოჰგვანან ეს ხეები ტოტებდაჭრილი,
ომიდან სახლში დაბრუნებულ, დაღლილ მეომრებს.

აქ შეისვენებს სიყვარული, როგორც ულაყი,
მტვერში გაქცეულს დაღლის ალი როცა ედება,
შენ ასეთ ქალთან იცხოვრებდი? არა მგონია,
შუაღამისას რომ დგება და მთვარეულივით,
თვალდახუჭული სველ მინდვრებში დაეხეტება...

დამძიმდა მიწა და სურნელი ისე ტკბილია
საზამთროების, თითქოს ქარი აქ მზეს ამიწებს,
შენ იცხოვრებდი? ასეთ ქალთან, ვინც იდილია
დაგირღვია და ყოველ ჯერზე უნდა გაცდუნოს,
ვინც გიწერს ლექსებს და ძილის წინ პირჯვარს არ იწერს.

ვინც თავის ფეხით მიჰყვებოდა ქარებს უბელოს,
ყველა მახეშიც თავისივე ნებით გაება,
ვინც ეკლიანი ღობესავით შეუვალია,
თან სახიფათოდ მსუბუქია, როგორც ღრუბელი,
ვინც ვერც დათმენა ისწავლა, ვერც თავშეკავება.

ყვითელ ლაქებად გადაქცევა იწყეს ფოთლებმა,
ვარსკვლავები კი ფართხალებენ ცის ლურჯ ბადეში
ლიფსიტებივით. ამართლებს კი მსგავსი იდეა?
შენ იცხოვრებდი? ასეთ ქალთან, ვინც შემოდგომა
თვალებში მნუხრის წუხილივით გამოიმწყვდია.

მხოლოდ სევდაა უსასრულო. წვიმა, შანხაი
და ყვავილები ოცნებაა გულისწამღები,
ან სამუდამოდ შემიძულე, ან უარმყავი,
შეპყრობილი ვარ სიყვარულით, შენ ვერ გაუგებ
თავსა და ბოლოს ჩემს ვნებებს და დაიკარგები.

მხოლოდ გახსოვდეს, რომ სურვილით სავსე დღეებმა
ამ სველ მინდვრებში ჩაუქრობი ცეცხლი აკმიეს,
მხოლოდ ხანდახან გაიხსენე, რომ ეს ხდებოდა -
- მთვარეულივით ავდგებოდი თვალდახუჭული,
და შენ გეძებდი, თუმცა მაინც ვერ მოგაკვლიე.

რომ დარჩი ყველა აუხდენზე აუხდენელი,
როგორც განცდილი და ნაცნობი სინათლეები,
წერტილებივით შეუმჩნევლად შორს რომ რჩებიან;
შემოვიქსოვე მარტოობა, როგორც ობობამ,
მწველია ღამე, ტეხასური ამინდებია...
შენ ვერ გაიგებ!

ხეები

დიდი სიყვარულის, ან დიდი სიძულვილის შედეგად
ყველაფერი განიცდის სახეცვლილებას,
ჩვენც ვიცვალეთ სახე,
სულიც ვიცვალეთ
და ახლა ჩვენ ხეები ვართ.

ჩვენ ყველაზე სევდიანი ადამიანები ვიყავით და ახლა
ყველაზე სევდიანი და ყველაზე მოწყენილი ხეები ვართ.
გვანათებენ ლამპიონები და
ასეთ დროს ჩვენ ერთმანეთს ვემსგავსებით,
როდესაც წვიმა მოდის, ჩვენ გვინდა რომ გავიქცეთ,
მაგრამ ფესვებით ისე ვართ მიწაში ჩაზრდილი,
რომ ერთ ნაბიჯსაც ვერსად გადავდგამთ.
ჩვენ გვჯერა, რომ ისევ მოფრინდებიან ჩიტები შორეული ქვეყნებიდან
და იმღერებენ შორეული ტყეების სიმწვანეებზე,
და იმღერებენ შორეული ზღვების თავისუფლებაზე.
ჩვენ ახლა ხეები ვართ,
მოვლენ ჩვენს დახრილ ტოტებთან და თავს ჩამოიხრჩობენ მათზე,
ჩვენ კი ერთმანეთის ტოტებზე ვიხრჩობთ თავს.
და როცა მთვარის შუქი წყლისთვის მოყოლილი სიზმარივით თხევადდება,
ჩვენი ტოტები ასრულებენ სიყვარულის პანტომიმას
მხოლოდ ერთმანეთისთვის,
ჩვენი არსებობა კი არარსებულზე ოცნებაა.
ჩვენ ახლა ხეები ვართ -
- ფოთლების გარეშე,
ჩრდილების გარეშე,
ჩიტების გარეშე დარჩენილი ხეები ვართ
და ერთმანეთს ტოტებით ვეფარებით
ძლიერი ქარიშხლის დროს.
ჩვენ ვოცნებობთ სიცოცხლის ფასად დაბრუნებულ სიყვარულზე,
ჩვენ ვოცნებობთ სიცოცხლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებაზე,
ჩვენ გაქცევაზე ვოცნებობთ და გვესიზმრება,
რომ ერთ დღესაც მიწაში ჩაზრდილ ფესვებს გადაგვიჭრიან.

გოგოები საკვირაო წირვებიდან

სარეცხის თოკებიდან ახალჩამოხსნილ კაბებში გამოწყობილი გოგოები, საკვირაო წირვებიდან,
სახეებს რომ მალავენ
ღრუბლებივით გამჭვირვალე თავსაფრებში,
გადაქცეულან ფუტკრების სკებად,
საკმარისია ერთი ხელის შეხებაც,
რომ დაგკბინოს
მათი ტანიდან გამოშლილმა ყვითელმა სევდამ.
სისხლის გუბეებში წვანან,
სურნელოვან ნაყოფს ისხამენ
მოგონებები ბავშვობაზე,
იმ დროზე, როცა ურჩები იყვნენ -
- ბალიშის ქვეშ მალავდნენ აკრძალულ წიგნებს
და კითხვაში ათენდებოდათ.
წყალმცენარეებივით გაზრდილ სიჩუმეს
შხამიანი თევზები ჭამენ,
სიყვარულს აკვარელით დახატული
წმინდანები ჭამენ,
გოგოებს საკვირაო წირვებიდან -
- კედლები ჭამენ, ღმერთო...
გადიან მათი თვალებიდან სინათლის გემები
საყვირების შემზარავი ხმებით,
ამაოების უძირო ზღვაში
და მათ ადგილას სიბნელე რჩება.
ღამღამობით ფეხებშუა გაჩენილ ფურცლებს თეთრი ლავანდის
ხელით ისრესენ იქამდე, სანამ მათ ცხელ წიაღში,
როგორც ზაფხულის უძირო ცაში
ბოლო ვარსკვლავიც არ შეწყვეტს ციმციმს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქამდე, სანამ გალიებივით ღია თვალებში
ცრემლის ჩიტები არ გაჩნდებიან.
და ფერს კარგავენ იისფერი ლავანდებივით,
ჭკნობას იწყებენ იისფერი ლავანდებივით -
- გოგოები საკვირაო წირვებიდან.
ვინ თქვა, რომ მათი სხეულები მომაკვდინებელი ცოდვა იყო,
თუ სიყვარული შეეძლოთ მხოლოდ,
თუკი მხოლოდ სიცოცხლე სურდათ.
მათ მსუბუქ ალზე თავს იკლავდნენ თეთრი პეპლები,
ახლა კი მხოლოდ ფიტულებს ჰგვანან,
გარემოცულს სიკვდილის ფერით.
მათი თავიდან ყველა ფიქრი გადაიწერეს,
საეჭვო შუქით სხივმოსილმა ანგელოზებმა,
არა ჰგავს ნამდვილს მათი ასე გასხივოსნება,
ღმერთმა არ ქნას, რომ მათ დავემსგავსოთ.
თავის გადარჩენაზე ფიქრობენ გოგოები საკვირაო წირვებიდან,
მომაკვდინებელ აირს უშვებენ ჩაკეტილ სახლში
და ღრმად სუნთქავენ,
პირვანდელი სილამაზე და ბავშვური, ჩაკლული ლტოლვა რომ დაიბრუნონ აკრძალული ხილისადმი,
სხეულები რომ დაიბრუნონ,
თავის წიაღში გაჩენილი ზღვებით და ცებით,
დიდი ხნის წინ აღსარებაში რომ ჩააბარეს და ჩაიბარეს,
როგორც მძევლობისთვის გამოჩორკნილი ხის თოჯინები.
მათ ცეცხლისფრად აყვავებულ მკერდსა და მკლავებს
ოთხმოცი წლის მხატვარი ხატავს.
მნახველები აღტაცებას გამოხატავენ
უმარილო პირმოთნეობით,
უგერგილოდ ღეჭავენ და აგემოვნებენ,
როგორც ტყის პირებზე მოწყვეტილ კოწახურის ყვავილს.
მათი ცხოვრების მუსიკაა ქარი ხეებში,
მათი ცხოვრების პეიზაჟი - ხეები ქარში,
და იბზარებიან ლავანდებივით,
და ჭკნებიან ლავანდებივით
გოგოები საკვირაო წირვებიდან - გაათავისუფლე, ღმერთო...

მეგობარს

მე ბოლოს შენთან მიკითხავენ და შენ პირობას
ამ ბოლოჯერაც შეასრულებ - არაფერს იტყვი...
შენ იტყვი სიტყვებს ზერელეს და უფრო პირობითს,
რადგან სხვა მხრივ საშიშია ყოველი სიტყვა...

ნუ ისაუბრებ დეტალებზე, ზუსტ თარიღებზე,
როდის მოვედი, დაგირეკე ბოლოჯერ როდის,
გკითხავენ პირად შეგრძნებებზე, ნუ აღელდები,
უბრალოდ მოკლედ უთხარი, რომ არაფერს ვგრძნობდი.

მოყევი რამე, მაგალითად რომ ვუყურებდით
ამ ცოტა ხნის წინ, სამხრეთისკენ მიმავალ ბატებს,
რომ ყვითლდებოდნენ ნეკერჩხლები ნაცნობი სევდით,
და ფანჯარასთან დიდხანს თვლემდა მეზობლის კატა...

თქვი, რომ არ იცი არაფერი ამაზე მეტი,
და კაცმა რომ თქვას, არც ესაა ძალიან ცოტა,
გეტყვიან, თუ რამ დაგიბარე, ვერც გაამტყუნებ,
ხომ შესაძლოა, რომ სათქმელი რაიმე მქონდა...

შენ უპასუხებ - არაფერი ყოფილა მსგავსი,
არავითარი წერილები, არცერთი სიტყვა...
მე ბოლოს შენთან მიკითხავენ და მერე არსად...
შენ კი პირობას შეასრულებ - არაფერს იტყვი.

და ყოველგვარი შესავლების გარეშე ასე
შენ შეგიძლია დაამატო, რომ იყო თოვა,
რომ სათქმელია არაფერი, ხოლო კითხვაზე
თუ როდის მოვალ, შენ იტყვი, რომ მე აღარ მოვალ.

...იტყვი, რომ დავრჩით მეგობრებად და პირველ ყოვლის
ისედაც დიდხანს ვიმეგობრეთ, უხსოვარ დროდან...
რომ მე წავედი, სულ უბრალოდ... და იყო თოვლი,
აუარება თეთრი თოვლი და ყველგან თოვდა...

წითელქუდა

შენ ტყე ხარ და უფრო საშიში ხარ
ღამით, როდესაც მთვარის შუქზე
შენი გულიდან გამოდიან მწვანეთვალება მაქციები;
როცა ბეჭებზე წიწვებივით
მოგონებები გეზრდებიან.
დიდია შენი მარტოობა,
ძველია შენი მარტოობა,
თოვლია შენი მარტოობა
და ჯერ არავის გაუკვალავს...

შენ ტყე ხარ, მე კი წითელქუდა,
ზღაპარი შენი ჯურღმულების,
სიზმარი შენი ფოთოლცვენის,
ამბავი შენი მაგიისა.
შავი მოცხარი გამასინჯე,
შავ მოცხარს გემო აქვს სიყვარულის,
სიყვარულს შავი მოცხარის გემო აქვს.
არ შემახვედრო ბელურები,
არც ირმები და მელიები,
შენ ტყე ხარ, მე კი წითელქუდა
შენ მგელი უნდა შემახვედრო!
და მე ამისთვის შეგიყვარებ...

ასე როდიდან მეფიქრები?
ან ასე როდის გავიზარდე?
რომ შენი აღარ მეშინია.
არც მაგ პირღია სიღრმეების,
არც შხამიანი სოკოების,
აღარც გრძნეულთა მეჯლისისა.
შენს საიდუმლოს მაზიარე,
ერთხელ ჩემს ბილიკს ამაცდინე
და შენს სურვილში შემიტყუე,
სულ სხვანაირი დამაბრუნე
შენი ფოთლების სილურჯიდან...

შენს ათასწლოვან სიჩუმეში,
შენ შეძლებ, რომ არ შემომიშვა,
შენ ტყე ხარ და ნუ შემომიშვებ,
თუ მგელი მოკლა მონადირემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლომსაძე

სიცივე სხვების უბანში

ახლაც ისეთი მონდომებით დაეშვება ღამე, როგორც გუშინ.
შენ იდგები გაკვირვებით, თითქოს ეს ხდება პირველად,
თითქოს, აქამდე არასდროს და ახლა გაუფრთხილებლად,
გულზე უსასოობის ლოდი დაგადეს.
როგორც ყოველ საზეიმო დროს, იმედგაცრუება მოგეხვევა,
შენ არ ხარ მარტო, შენზე ზრუნავენ, თუ დავაზუსტებთ,
შენზე იზრუნეს და გულახდილად რომ იტყოდეს ვინმე,
შენზე დიდი ხნის წინ უნდა ეზრუნათ.
წინადღესასწაულის ფერადი განათებები
თვალს ვერ აგიხვევს, ვერც სიმღერით მოგატყუებენ,
რომ გარეთ თოვდა და არ ციოდა.
შენ იცი რას ნიშნავს სითბო, მაგრამ ვერ ხვდები, როგორია
და სანამ თორმეტზე ფანჯრებიდან სიხარულის ნარჩენებს ყრიან,
რომანტიზმისთვის იტოვებ ადგილს გახეულ ჯიბეში.



მეგობარი

მახსოვს, ჩემი ტვირთი მანქანაში როგორ ჩავაწყვე,
როგორ გაივსო და მაინც კიდევ ეტეოდა.
მახსოვს, რამდენი იყო, როცა გადავთვალე ფული.
შევუკარი თასმები ჩემს შვილს ისე,
რომ ორივე ფეხზე ოთხივე ყური
ყოფილიყო ერთმანეთის ტოლი.
ვერაფრით ვივიწყებ, რა მეცვა მაშინ,
როცა მივდიოდი დიდი ხნის ფიქრის,
მზადებისა და რამდენიმე დიალოგის შემდეგ.
ჩაჯდომისას დაუბრკოლებლად წასვლა
მოწმენდილი ცა, ჩემი გემოვნების მუსიკა რადიოში,
ჩემი ცოლის ნათქვამი რომ კარგი იქნებოდა ახალ ადგილას,
(სადაც გველოდებოდნენ მერამდენე წელია)
ერთადერთ რამეს ნიშნავდა,
რომ იმ მშვიდ, დიდი ხნის ნანატრ დროში,
როცა ყველაფერი იდეალური უნდა ყოფილიყო,
მოუშორებელმა და უმიზეზო სევდამ მაინც შემოაღწია.

* * *

უმთვარო ღამემ დაფაროს აუშენებელი სახლი,
ჩემი ფანჯრიდან რომ მოჩანს
და ძილის წინ გაგონილმა მანქანების მოულოდნელმა ხმაურმა
შეავსოს ჩვენს საუბარში ჩამოვარდნილი პაუზა,
ერთმანეთს ვხედავთ და ვერაფერს ვამბობთ,
ჯერ კიდევ მთლიანად ვჩანვართ.
სიტყვები დიდი ხანია სიზმრებში აწყობენ
შეუზღუდავ თავსატეხებს,
მრავლდებიან თავაშვებული ორგიებით,
იცვლიან საცხოვრებელ ადგილს,
გადადიან ერთი ტყიდან მეორეში,
ამზადებენ ახალ განსაცდელებს გაღვიძებისთვის,
როცა საღამო აენთება და ოთახს გაათბობს,
ვნახავ სათქმელებს, როგორ ჩაიკარგებიან
მიმქრალ ნაკვერჩხალში
ახალი ტერიტორიების შემოსასაზღვრად.

დღის ბოლო

წარუმატებლობის შიშით ჩაბნელებული
იღებ სიამოვნებას. დღის სიმწარე - მუქი შოკოლადი,
ძალდატანებულ დასვენებას ეხმარება აზრი,
რომ არც ერთი შენი შეცდომა და არც ერთი უაზრობა
არ იქნება სამყაროსთვის უცხო და გასაკვირი,
ვერც ერთი ადრეული ჩაძინება, სახელის გატეხა,
დროის დავიწყება, ხასიათის დილიდან გაფუჭება,
ნივთების დაკარგვა, არასწორი გამომეტყველება
ვერ დაგტოვებს მარტოს, ბევრი ხარ სხვებთან,
მაგრამ იქნებ ერთ ოთახში ყოფილიყავით,
ან ერთ დროში მაინც.

დამალობანა არავისთან

ეს ეზოები არ დაგარიგებს უფროსი მეგობარივით,
რომელიც თამაშის დროს გიწყობს გამოცდას
შენივე სიკეთისთვის.
უცნაური დღეები არ ყოფილა მწარე გაკვეთილები,
თითქოს, ვიღაც იდგა კუთხეში მოშორებით,
რომ ენახა, საკმარისზე მეტი არ მოგსვლოდა
და ყოველი ფეხის დაცდენის შემდეგ დაგნახებოდა.
შენთან არის ახლაც ცალკე მდგარი ნაძვი,
იმ ქუჩის გალამაზებას რომ ცდილობს ისე უადგილოდ,
როგორც ყოველი იქ მყოფი გრძნობს თავს.
კავშირის პოვნა ყველაზე ძნელია შენსა და ამ ადგილს შორის,
რომელიც თავს წლობით ილამაზებდა იაფფასიანი პარფიუმერიით,
უფრო სწორად, რასაც შესთავაზებდნენ, ყველაფერს იდებდა სახეზე.

თავისუფლების საფუძვლები

ერთი ჩვეულებრივი დღის იმ მონაკვეთში,
რომლის სახელიც არ ვიცი და შუადღესა და საღამოს შორისაა,
ყველაზე უცხო და მოუხერხებელ ადგილას
(სადაც უხერხულობა ყველაზე ბუნებრივი და თანდაყოლილია),
გარედან შემოსული ხმაური რომ ადგას უკიდურეს სინაზედ,
შეიძლებოდა მომხდარიყო რაღაც, რაც შემცვლიდა.

წაუკითხავი წიგნებით სავსე დარბაზში
სულ ერთი გახდა არასაიმედო სურვილები,
სილამაზე, მთლიანად რომ მინდოდა
და რამდენიმე საათის შემდეგ შემოსული
ტელეფონის ყველა მოსაწყენი ზარი.
დღის გარდამავალ მონაკვეთში, რომლის სახელიც არ ვიცი,
ჩემი შიშები და გადამეტებული სიხარული,
ახლო მომავლისთვის ყველგან რომ დამქონდა,
არაკომფორტულ, შემთხვევით ადგილზე დავტოვე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები
და დიდი ხნით ადრე არჩეული ადგილები
ერთმანეთისთვის არის გაჩენილი,
ამბობდა ნაცნობი გაჩერებაზე ლოდინისას,
რომელსაც ეგონა, ზუსტად იცოდა,
რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა,
ან როდის მოვიდოდა სავსე ავტობუსი,
ჩემთვის რომ ყოველთვის აგვიანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი წიკლაური

ხომლის ჩიტები

1.

მე მათ ხომლის ჩიტებს ვეძახდი, რადგან პირველად ვარსკვლავების ფონზე მოვკარი თვალი. ისინი დედა-შვილი იყვნენ, უიშვიათესი მოდგმის. დღისითაც დამინახავს გორაკის სიახლოვეს, თუმცა ღია ტერიტორიებზე გამოჩენას ერიდებოდნენ. მზესთან ერთად იღვიძებდნენ და რიჟრაჟზე დილის ცვარში განბანვა უყვარდათ. გულისპირი ფირუზისფრად უელავდათ, თავზე და ფრთებზე კი ყვითელი ჭარბობდა, თითქოს ოქროს მტვერში ამოგანგლულიყვნენ. ნეტავ, რა მიზეზით ჩნდებოდა ასეთი სილამაზეები? უზენაესის რომელი ჩანაფიქრი ხორციელდებოდა? ნუთუ ის, რომ ბუნების უკიდეგანო შესაძლებლობებში დავრწმუნებულიყავით? სულ მინდოდა, მათთვის მეცქირა. სიამოვნებით ვუმასპინძლებდი ჩემს მეფურ ფუღუროში. ვეტყოდი, არწივის ნასახლარია-მეთქი, - მერე რა, რომ ყორნისა იყო? დიდი სიყვარულის მიზეზით ტრაბახიც მოსულა. მწირ კარ-მიდამოს მაინც ვერაფერი დავატყვე, აღმშენებლობის ნიჭი არ მებოძა, მდგმურივით ვცხოვრობდი, საღამოობით ელნათურებად ქცეულ ცას ავყურებდი და დროის მსვლელობაზე ვფიქრობდი, ყველაზე მეტად კვალის წაშლა რომ ხელეწიფებოდა. იქნებ ამდენი უსიცოცხლო პლანეტა მისი გამოისობით გავერანდა-მეთქი. ქვეყნიერება დრომ აქცია სპაზმების სამყაროდ, სადაც უმნიშვნელო ცვლილებაც მეყსეულ ტკივილთან არის დაკავშირებული და თუმცა წყვდიადს მნათობები აჩირაღდნებენ, თვალშეუდგამ სივრცეს მაინც არ ძალუძს ბედნიერების დიდი ხნით დატევნა, თითქოს ნაკადულის ჩქამი ყოფილიყოს, მიწაზე გაჩენილი ღია ჭრილობა, უნაზეს ბგერებს მხოლოდ იმისთვის რომ გამოსცემს, მყისვე მიინავლოს.

იმ დღესაც მათი თვალთვალით ვტკბებოდი, მოულოდნელ გასროლაზე ფირუზისფერი ბუმბული გაჭექილ ჰაერში რომ აფარფატდა. მშვენიერი არსება ძირს მოწყვეტით დაეშვა, თითქოს გადაყირავებული ფლაკონიდან ასკილის წვენი გადმოღვრილიყოს, ანდა სულაც წითელი საღებავი, ტყვიას ბუმბულში გაეარა და ფრთა გაეკაწრა.

- მარჯვე ნასროლია! - ბუბუნით გამოხატა კმაყოფილება მონადირემ, თითქოს ვიღაცასთან მსჯელობსო, მერე უცნობი ჩიტი ხელში აიყვანა - ეს არც ღალღაა და არც სონღული, ნუთუ ტროპიკებიდან მოფრინდა!

ცნობისმოყვარეობას ისე შეეპყრო, სად ეცალა ჩიტის განცდებისთვის. შორს მცხუნვარე მზე კლდოვან ხეობას დაჰნათოდა, სადაც ღრანტეებს მკაცრი ფრინველები ესეოდნენ, ლეშს კი არ მიირთმევდნენ, ჯიჯგნიდნენ. არაფერს დატოვებდნენ დაუძიძგნავს თავიანთი ბასრი ნისკარტებით. ეტყობა სროლა იმათაც ჩაესმათ, რახან ნადავლის მოლოდინში წამოიშალნენ. მე თვითონაც ფრინველი ვიყავი, მაგრამ იმგვარი მოდგმის, ვისზეც არასოდეს ინადირებდნენ. ჩემი სიმახინჯის გამოისობით შემეძლო ხანგრძლივად და უშფოთველად მეცოცხლა. ფრინველს ტკივილი ტანჯავდა, შვილი კი მის სიახლოვეს წივილით დაჰქროდა. ყოველი სიტყვა ჩა-

მესმოდა, რადგან ფრინველები ერთმანეთს ინტონაციებით ვუგებთ, ბგერების ჟღერადობით, ხოლო მცირე დიალექტურ განსხვავებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ და არც პროვინციული კილოკავი გვაღიზიანებს. ერთმანეთის დაღუპვასაც გულგრილად აღვიქვამთ, რადგან ყოველი ჩვენთაგანის თვალწინ მრავალი ფრინველი დახოცილა. დაჭრილი ისე გულსაკლავად მოთქვამდა, თითქოს შვილისთვის ყველაფრის თქმის მოსწრება სურდა, რომ ყველა დეტალი განემარტა, რასაც შესაძლოა ცხოვრებაში გადაწყდომოდა. იგი ხომ უშველებელი და უსულგულო სამყაროს წინაშე მარტო რჩებოდა, მაგრამ მონადირე ყურადღებას არ აქცევდა მათ გულსაკლავ ნიავს, თითქოს ფოთლების უმნიშვნელო შრიალი ყოფილიყოს.

- ტოტებს შეეფარე, სერა! - მოთქვამდა დედა განწირული ხმით, ვისთვისაც ადამიანი დაუნდობლობას ნიშნავდა.

- იქნებ მოლაღურია! - მშვიდად განაგრძობდა მონადირე ბჭობას, რომელმაც ფრთოსნის გადარჩენა მხოლოდ იმისთვის განიზრახა, გეშით იგრძნო, იშვიათი ჯიშის რომ იყო. გაგონილი ჰქონდა, ულამაზეს ფრინველებს მეფის კარზე სარფიანად იბარებენო - ტანაგრა ხომ არ არის? მის შესახებ ბევრი მსმენია, ყვითელ ბეღურას ჰგავს და ფლეიტის ხმაზე გალობსო. ზედვე ეტყობა, ბუნების საუკეთესო წარმომადგენელი რომ გახლავს... როგორც ჩანს, მხოლოდ ფრთაშია დაჭრილი! მოვუშუშებ და მერე ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

- სერა! მამაშენის საფლავი არ დაივიწყო, ხომლის ქვეშ განისვენებს, გორაკზე... თავს უპატრონე! ცხოვრება არც ისე საშიშია! - საღ ფრთას იქით იშვერდა და ამხნევებდა შვილს, რადგან არ იცოდა, ბედი რას უმზადებდა. შვილი შორიახლო მისდევდა, მე მას მივყვებოდი გვარიანად შეძრული, ხოლო წინ მონადირე მიგვიძღოდა.

- იქნებ მოზომელაა? შინ ფერადილუსტრაციებიანი წიგნი უნდა მოვნახო. იქ უსათუოდ ეწერება ამის შესახებ! - ბუტბუტებდა მონადირე, თან ქვიშიან გზას ხრაშუნით მიუყვებოდა. ბოლოს მიადგა ხის ორსართულიან სახლს, ზოგან რკინის ცხაურით აჭედილი სარკმლებით და ზღურბლთან მიყუდებული მეფის კვერთხივით ძალაყინით. ნაგებობა, ნიშნად ძველი დიდებისა, მყარ ფუნდამენტზე ჰქონდა დაფუძნებული. ახალ დროებას გვარიანად შეელახა. სახლი ირგვლივ დასამუშავებელი მინდვრით შემოკავებული ტერიტორიის შუაგულში იდგა, რომლის გასწვრივ პატარა ბაღჩა შემოეღობა. მესრის პირდაპირ კარი იყო. მონადირე ზღურბლთან შეყოვნდა, მერე მონჯღრეული კიბე ზლაზვნით აიარა და ფრინველი ფრთხილად მოათავსა ფანჯრის რაფაზე მდგარ დაგრეხილ გალიაში. ანჯამებთან შტორები ირიბად იყო დაშვებული, თვალთახედვა რომ არ შეეზღუდა. ამეებს რომ მორჩა, თაროდან სქელი წიგნი ჩამოიღო, მტვერი გადაფერთხა და გულდასმით შეუდგა თვალიერებას. ფანჯარა ღია იყო და ყოველი სიტყვა მესმოდა.

- მართალი აღმოვჩნდი! - წამოიძახა აღტაცებით - ტანაგრა ყოფილა, შვიდფერა ფრინველი! ძირითადად ამაზონზე ცხოვრობს, კუდი და ფრთები ყვითელი ბუმბულით აქვთ დაფარული!

სათვალის ზემოდან ყურადღებით გადახედა ფრინველს, რომლის შეფერადებაში თითქოს უხვად გამოეყენებინათ ოქროსა და ქარვის მტვერი - თურმე ტროპიკებში უცხოვრიათ... ასე ღრმად ნეტავ როგორ შემოაღწიეს? - მერე ისევ კითხვა განაგრძო - სიმარტოვე არ უყვართ და თუ მაინც მოუწევთ, იტანჯებიან!

ბოლო სიტყვების გაგონებაზე, ჩვენ გვმგვანებიან-მეთქი, გავიფიქრე. ოთახის სივრცე ტიხრებით და სტელაჟებით იყო გამოყოფილი და ზედმეტად გადატვირთული ჩანდა. დღის სინათლე რომ მიილია, აბაჟურიანი ლამპების მთრთოლვარე შუქი მგზნებარედ აციმციმდა. აბრეშუმის ფარდებს იქით მქრქალი სილუეტები გამოიკვეთა. ვეება სკამები წნული საზურგეებით მწკრივად განელაგებინათ, თითქოს პანაშვიდისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. ავეჯი იმდენად ძველი იყო, ხელის ოდნავ შეხებაზეც ყანყალებდა. კედელზე უბადრუკი სურათი ეკიდა, უგემოვნო ექსპონატი ბუნების პეიზაჟით. ამაში მეტ-ნაკლებად ვერკვეოდი. ერთი ხანობა ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობდი, მუზეუმის სიახლოვეს. იქ ისეთი ნამუშევრები მენახა, შედევრის ელფერი რომ მოსავდა. ნახატს ღირებულება თუ არ ჰქონდა, ძნელად თუ მოვყავდი აღფრთოვანებაში.

მერე ოთახში ქალი შემოვიდა, მონადირის ცოლი, ფრინველს სევდიანად რომ გადახედა.

-' შენთვის მოვიხელთე! მარტო როცა იქნები, ჟღურტულით გაგართობს! - მიმართა მონადირემ, საჩუქრის მიძღვნისას ისეთი ტრიუმფალური ხმა ჰქონდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა აუწყოსო. თან დიდხანს და დაჟინებით არწმუნებდა, მდგომარეობა არც ისე ცუდად არისო, ხარახურით გაძეძგილ ჩანთებზე უთითებდა, ერთად რომ იყო მიყრილი და დაშაქრული ხმით უმეორებდა - მარაგები გაგვაჩნია, გაისად კი ჩვენი საქმეები უკეთ წავა! მთავარია ხარჯთაღრიცხვის ნუსხაში მოვხვდეთ, თანხებს ჩვენთვისაც გამოყოფენ! თანაც სარფიანი ამბავი ჩავიფიქრე, რაც ამ ფრინველს უკავშირდება!

ქალს დახვეწილი ჟესტები ჰქონდა, მაგრამ ხმაში დამაჯერებლობა აკლდა. ყაბულს იყო, ელიარებინა ქმრის უპირატესობა და განმარტოება და ჩრდილში შეყუჟვა ერჩივნა. მონადირემ მრავალი არაფრისმთქმელი სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ერთი ხეირიანი წინადადებაც ვერ შეაკოწიწა, თუმცა ძალისხმევას არ იშურებდა. ქალს სახეზე დაყრილი ჭორფლი მიმოფანტულ ოქროს ნამცეცებს მიუგავდა. სინატიფე ფეხსაცმელებზეც ეტყობოდა. ნაღვლიანი ჩანდა, თითქოს მთელ სიცოცხლეს სევდაში ატარებსო. ქმრის შეკითხვებს ჭოჭმანით პასუხობდა. ელოდა, აღტყინება როდის გადაუვლიდა და დროდადრო ლამაზ თვალებს, ამოტვიფრულს რომ მიუგავდა, საყვარლად აფახულებდა. მის მზერაში, რის დამალვასაც ასე ძალუმად ცდილობდა, ბუნდოვნად ბრწყინავდა სინანულის გამომხატავი დეტალი - ცრემლი.

2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ბაობაბივით ბებერი და ქვრივი ბუ ვიყავი, უმახინჯეს საძმოს უგვანო წევრი. ბაობაბები არც მენახა, მხოლოდ მსმენოდა მათ შესახებ. ზოგჯერ ჭაობის პირას ვბინადრობდი, ზოგჯერ ტყეებსა და კორომებში, გამყივანი ხმით მოვთქვამდი, მაგრამ რით იყო ჩემი გოდება ფილოსოფოსთა ნააზრევზე ნაკლებ ყურადსაღები?! განა ჩემი ხმით მეც იმავეს არ ვამბობდი, რასაც მოაზროვნენი მსჯელობით აყალიბებენ?! თუმცა მათი მნიშვნელოვანი სიტყვები ზანზალაკებივით წკარუნობენ და ოქროსფერ ნათებასავით ელავენ.

ადამიანებს ფუჭად ჰგონიათ, რომ ჩვენ დღისით ვერაფერს ვხედავთ, ღამურებად გვსახავენ, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის. ღამით ნამდვილად არა გვყავს ტოლი. დიდი თვალები კი გვაქვს, თუმცა უსიყვარულოდ ვიყურებით, რადგან ცხოვრების ბანალობას ადამიანებზე ადრე ჩავწვდით. თავს აკრობატივით ვატრიალებთ და დღისითაც ყოველ წვრილმანს ნათლად და ფაქიზად ვამჩნევთ. მე პირადად ბევრი სულისშემძვრელი ეპიზოდი მინახავს, მაგრამ ამ ბოლო ამბავმა ყველაზე სასტიკად იმოქმედა. თუმცა ცხოვრებას ყოველთვის გამობრძმედილი ფილოსოფოსივით ვჭვრეტდი, რადგან მის ამაოებაში ისე ვიყავი დარწმუნებული, როგორც მთის წყაროს სიანკარეში, სადაც დაკბილული ბრჭყალებით თევზებზე ხშირად მინადირია.

გარეგნობით ბუების კვალობაზე არაფერი მიჭირდა, ეს ზოგადად თვითონ ბუები ვერ გამოვიყურებით მაინცდამაინც. მშვენიერ ფრინველებთან გამოსაჩენი არ ვიყავი. თაფლის ზოდებივით ყვითელი თვალებით მოღუშულ ლანდშაფტებს გავცქეროდი და როცა მეუბნებოდნენ, რას გავხარო, მე რას მიყურებთ-მეთქი, ვპასუხობდი და ათასფრად მოჩითულ მდელოსკენ გავახედებდი ხოლმე, მოღუშული რომ ჩანდა, სანამ ყვავილებით არ გადაიპენტებოდა.

განა შესაძლებელია ერთდროულად იყო წინასწარმეტყველების და ზამთრის სიმბოლო? ეს მისია ჩვენ გვაკისრია, კუდიანების მფარველად რომ მიგვიჩნევენ და ლეშის მოყვარულ არსებადაც. რატომ გვთვლიან ავბედითად? განა სიკვდილის სიმღერას ჩვენ ვმღერით? იგი გედებს ეკუთვნის, ადამიანების თვალში მშვენიერებას რომ განასახიერებენ. შუა საუკუნეებში ხმის ამოღების გამო გვხოცავდნენ კიდეც და უფლის სახელით გვწყევლიდნენ, მაგრამ ეგებ უფალს ყველაზე მეტად სწორედ ისა სძაგს, ცოდვილები მისი სახელით რომ იქადნებიან. ნუთუ ცხოვრება იმისია, საარსებო სივრცე საძულველ გარემოში მიგვიჩინონ და ჩიხში მიგვყუჟონ?!

ჩვენ, ბუები, შესაძლოა დიდად მომხიბვლელნი არ ვართ, მაგრამ ჩვენს უძველესობას წყალი არ გაუვა. ხნიერი სისხლი სიცოცხლის გარიჟრაჟიდან გვიჩქეფს. ჩვენი წინაპრები ჩრდილოეთ ამერიკიდან მაშინ მოფრინდნენ, როცა იქ თეთრ ადამიანს ჯერაც არ დაედგა ფეხი. პირველქმნილნი ვართ და სხვა ფრინველებს ისე აღვიქვამთ, როგორც მოახალშენეებს. ისაიას წინასწარმეტყველებაშიც ვართ ნახსენები და განა ასეთი ფრინველი ბევრია, ბიბლიის წმინდა ფურცლებზე რომ აღეწეროთ და ბაბილონის ბარელიეფზეც გამოესახოთ?!

ჩვენ ყველგან ვართ, ზღვის სანაპიროებზეც და მაღალმთიან ზონებშიც, უდაბნოშიც და სტეპებშიც და თუ ვერ გვამჩნევთ, ეს იმიტომ, რომ სივრცეში უჩუმრად გადავაადგილდებით ხოლმე. თავმდაბლები ვართ და განსაკუთრებული პირობები არ გვჭირდება. დიდი მოთხოვნილებები არ გაგვაჩნია და მუდამ ისე უჩინრად ვცხოვრობთ, თითქოს არც ვარსებობდეთ. ერთადერთი ანტარქტიდაზე ვერ გვნახავთ და სწორადაც ვიქცევით. ანტარქტიდა ხომ აბსტრაქტული მატერიკია, რომელიც მხოლოდ დედამინის მეორე ნახევარსფეროს გასაწონასწორებლად შეიქმნა. მოკლედ, მთელ ქვეყნიერებას ვართ მოდებულნი, გალაპაგოსიდან სკანდინავიის ფიორდებამდე და კანადის მწვანე წიაღიდან ბრიტანეთის სამეფოს დიდებულ კუნძულებამდე. როცა ვნაყრდებით, თითქოს რიტუალს ვასრულებდეთ და თუ უცებ ვწყვეტთ დანაყრებას, სიამოვნებით გავაგრძელებდით, საკვები რომ არ გამოგვლეოდა. ცოცხალ არსებებს წარმოსახვა ჯილდოდ გვებოძა, თუმცა ეს მშრალი თხრობა ბევრს არაფერს ნიშნავს, საკუთარი თვალით თუ არ გინახავს. ამბის არსს მთელ მნიშვნელობას სიცხადე სძენს, სისავსესა და აღმაფრენას მატებს. რაოდენ ურიცხვი დეკორაცია დასჭირდა ცხოვრებას, მქრქალი მარადისობა ყველაფრის ბატონ-პატრონად რომ არ ქცეულიყო. მე კი დიდხანს ვარკვევდი, ბუების რომელ დაჯგუფებას ვეკუთვნოდი - რუხ ბუთა მოდგმას თუ ჭაობისას. მეამბოხე ბუნება არ მქონდა და მიდრეკილებით თუ ვიმსჯელებდით, ვიწრო ძარღვებში ორთავეს სისხლი თანაბრად მიჩქეფდა. ხშირ ბუჩქნარშიც მშვენივრად ვგრძნობდი თავს და ლერწმიანშიც. ადამიანები ერთმანეთს რომ უკიჟინებენ, თავი გაანძრიეო, თავის განძრევა ჩვენი ენახათ. ეს საქმე ისე შეგვიძლია, თოთხმეტივე მალა გვიჭრიალებს, თითქოს ათასი მექანიზმი ერთვებოდეს ერთდროულად. ასე ვუყრით თავს აზრებს. იმედია, მიმიხვდით, ამ სიტყვას თავმდაბლობის გამო რომ არ ვამატებ წინსართს - ბრძნულსა და გენიალურს.

ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრი-ბევრი ათი წელი იყოს, სიბერეს მაშინ ვაღწევთ, ადამიანები ჯერაც ბავშვები რომ არიან, მაგრამ რამდენის მოსწრება გვიწევს. თუ ვკვდებით, უმეტესად შიმშილის გამო, რადგან სიბერეში საკვების მოპოვება გვიძნელდება. ტყის ფრინველები ვართ, თუმცა გვიჯობს, მის განაპირა ნაწილში დავსახლდეთ და მშვენიერ მდელოებს ვუცქიროთ, როგორც მთვარით განათებულ ასპარეზს. სიბნელეში ზეცას ავყურებთ, სამკერდე ნიშნებით დამშვენებულ გენერლის მუნდირს რომ ჰგავს და სამყაროს ახლებურად აღქმას ვცდილობთ. თუმცა ჩვენს ამ დაჟინებულ მცდელობას ხშირად ნაყოფი არ გამოაქვს. ჩვენი ამბები უხსოვარი დროიდან მოდის და საბოლოოდ არაფერია ისეთი, რის შეცვლასაც შევძლებდით. როცა ირგვლივ მთელი ორომტრიალია და ძნელია რამის გარკვევა, ერთმანეთს გაკვრით თუ მივანიშნებთ. ხის ტოტებზე ვსხედვართ სევდიანი მოაზროვნენი, რის გამოც ღამის ფრინველებს გვიწოდებენ. სევდას შიგნითვე ვიკლავთ და ამაყად ვა-

იძულებთ თავს, თავმდაბლებად წარმოვჩინდეთ. ჩვენსავით ღრმა თვალები ვის აქვს?

ხშირად მიდევნებია თვალი გადამფრენი ფრინველებისთვის, გაზაფხულზე უკან რომ ბრუნდებიან მეტ-ნაკლები შემადგენლობით. დაკვირვებული ვარ, ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი მათთან ერთად იმისთვის მიფრინავს, უკან რომ მისდიონ, რადგან სწორედ გადამფრენი ფრინველებით იკვებებიან. ჩვენ, ბუები, მტაცებლებს არ ვეკუთვნით, თუმცა ხშირად ასეთებად მიგვიჩნევენ.

ჩვენ ამ ქვეყნის უკანონო შვილები ვართ, საცხოვრებელს არ ვიშენებთ და მხოლოდ სხვის მიტოვებულ ბუდეებს ვიკავებთ. სოროს ფუღურო გვიჯობს, სივრცე კი ისეთ შვებას გვანიჭებს, მაღალჭერიან ფუღუროსაც გვირჩევნია. ჩვენ, ბუები, ჭორების მსხვერპლნი ვართ, რადგან ბევრ მეტაფიზიკურ და წარმართულ ნიშანს მოგვაწერენ. მაგალითად, ფუჭად გვთვლიან ორსულების მცველად და არც მეომრებს ვაფრთხილებთ ჩასაფრებული მტრის შესახებ, ჩვენ ღამეულ შეკივლებასაც ამაოდ მიიჩნევენ შვილებს მონატრებული გარდაცვლილი დედის შეძახილად. ირგვლივ მუდამ მითქმა-მოთქმის მოყვარულნი გვეხვია, ამიტომაც არავინ მეხატებოდა გულზე და ცხოვრებას ისე განვაგრძობდი, როგორც მომიწევდა. შემართული სიარული თურმე სულაც არ გახლავთ სწორი გზის მაჩვენებელი, რადგან რაც ხომლის ჩიტები გავიცანი, სერიოზულად დავფიქრდი და გაუბედაობა დამჩემდა. როცა მნიშვნელოვანი ამბები გატყდება თავს, შენც თითქოს უფრო სხვანაირი, ლამაზი და დახვეწილი ხდები. რეალობა და მონატრება ერთმანეთში შენივთდება ხოლმე და ამ ნიშანდობლივ მონაცვლეობაში მრავალი წვრილმანი იჩენს თავს.

ადრე მომწონდა ადგილის გადანაცვლება, რადგან ეს თავისებურ თავგადასავალს ჰგავდა. ჩემი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი განუწყვეტელი მოგზაურობა იყო. სამყაროს უკეთესად შეცნობას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალ ადგილს ერთიხანობა შევრჩებოდი ხოლმე, სანამ ღვინოსავით არ დავაძველებდი და როცა ვეჩვეოდი, სწორედ მაშინ ვტოვებდი იქაურობას. შეგუებას ჩანაცვლება მერჩივნა. ხავსმოდებულ კასრშიც მიცხოვრია და ნესტიან სხვენშიც, სახლის პატრონი გვიან რომ მიმხვდარა ჩემი არსებობის შესახებ, მაგრამ ამ ხომლს ყველაზე დიდხანს შევრჩი. ოდესღაც ჩემი მეორე ნახევარი ბუებს შორის ყველაზე ლამაზი მოდგმის იყო, იმ თეთრ ბუთა სპეტაკი წარმომავლობა ჰქონდა, გედების მწყემსებად რომ მოიხსენიებენ. მე ახალგაზრდობაშივე დავქვრივდი და მას მერე სხვისკენ აღარც გამიხედავს. ჩვენ, ბუებს, რაც არ უნდა დაგვწამონ, ღალატში ბრალს ვერ დაგვდებენ. ერთგულება ჩვენი განუყოფელი თვისებაა. ასე მიმაჩნია, რომ სიყვარული ყველაზე ძვირფას და ღირსშესანიშნავ ტილოდ მაშინ იქცევა, როცა ერთგულების ჩარჩოში ჩასვამ. მეუღლე მშობლებმა გამირიგეს, მაგრამ ჩემი დაქვრივების შემდეგ დაოჯახების შესახებ სიტყვაც აღარ დაცდენიათ. მეგონა, რომ ბედნიერების შეგრძნება სამუდამოდ დავკარგე, ხოლო სიცოცხლე როცა არ გიხარია, ზამთარს ემსგავსები. აგერ, ის ბუჩქი, იასამანივით ყვავილი რომ გამოაქვს, მსგავსად ვაზის მტევნისა, ზამთარში კაპიკად არ ვარგა, ზედ არც შეიხედება. ჰოდა, მეც ამგვარ განცდებში ვიყავი, სანამ ეს ხომლის ჩიტი არ ვიხილე, შვილთან ერთად რომ დასტრიალებდა ხასხასა გორაკს. ისეთი მშვენიერი იყო, თვალებს არ ვუჯერებდი, ხომ არ მეჩვენება- მეთქი. ბედნიერებას აფრქვევდა და მხოლოდ იმას ვნატრობდი, მისთვის მეცქირა. შვილის დანახვაზე კიდევ უფრო ლამაზი და მიუწვდომელი ხდებოდა. მახვილი თვალების გამოისობით ძლიერ შუქსაც კი მიმქრალ სინათლედ აღვიქვამდი და შორსმხედველობის გამო ტანაგრას ახლოს არც ვეკარებოდი, შორიდან მერჩივნა ცქერა.

ცდებიან ადამიანები, ბოროტ ფრინველებად რომ გვსახავენ, თუმცა სინამდვილეში ვინც ცუდ ხმებს გვიყრის, ფარულად ჩვენს აღზევებას ემსახურება, სახელის გავარდნას ხომ დაინტერესება მოჰყვება ხოლმე, ეს კი მაშინ ხდება, როცა მითქმა-მოთქმას იწყებენ. მირჩევნოდა კიდეც, ჩემ შემთხვევაში ასე თუ იქნებოდა, იქნებ ჩემს შესახებ მისთვის ხმა მიეწვდინათ, მოსვენება რომ დამიკარგა, ვერაფრის თქმას რომ ვერ ვუბედავდი და არც შემდგომში ვცდილვარ გულისნადების გაზიარებას. მისი ჯადოსნური სილამაზის წყალობით იყო, ამგვარი გრძნობები რომ აღმეძრა. ამ ხნის ფრინველი ვიყავი, მაგრამ თავს ველარ ვერეოდი. მინდოდა, სულ თვალთახედვაში მყოლოდა. თუმცა გამოჩენასაც ვერიდებოდი, ჩემი მახინჯი გარეგნობით რომ არ დამეფრთხო.

3.

სერა ყოველ დღე მოდიოდა გალიასთან და თან რაღაც წითელი ნაყოფი მოჰქონდა. ერთხელ უჩუმრად ავედევნე, ის ადგილი დავიმახსოვრე, შემდგომში გამომადგება -მეთქი. რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა ასე, ერთმანეთს თავიანთ ამბებს უამბობდნენ და ეს ტკბილი სჯა-ბაასი რჩევა-დარიგებებით თავდებოდა. ტანაგრა შვილს იმ ლანდშაფტებზე მიანიშნებდა, სადაც მეტი საკვები მოიპოვებოდა. თავის მძიმე განცდებს კი არ აგრძნობინებდა. მაგრამ განა ცხოვრება საზეიმო დეტალებითაა აღსავსე? ის ხომ ყველაფერს აკეთებს, გააფთრებული სახე გაფითრებული იერით რომ შეცვალოს. ჰოდა, ერთხელაც ტანაგრა შვილს სევდიანი დახვდა და განუცხადა, სიცივე მატულობს, დროა, თბილ ქვეყნებს მიაშუროო.

- ისევ იქ დაბრუნდი, სერა, ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე, ზეთისხილის ტყეში. ნაცადი ადგილია, იქ ბევრი გვცნობს, მამაშენს დიდ პატივს სცემდნენ და უბატონოდ ხმას არავინ გაგცემს!

- შენ ასე დაგტოვო?

- ცხოვრებაშიც ასეა, შვილო, როგორც კი რაღაცის შეცვლას შეეცდები, მყისვე საწყალობელი სახეები წამოყოფენ თავს, ჩვენ რაღას გვიპირებო. ამას უნდა შეეგუო. მე არაფერი გამიჭირდება! ესენი საკვებს არ მომაკლებენ და მშვენივრად გამოვიზამთრებ! აბა, შენ იცი, გამახარე შენი დღეგრძელი და ბედნიერი სიცოცხლით, შენზე ძვირფასი არავინ დამრჩენია. ბუნებამ წყალობა არ მოგაკლოს!

ამ დღეებში ვარდისფერი ფრთოსნები გადაიფრენენ, სამოცდაათამდე იქნებიან. ყოველთვის ასე იყვნენ. ჩვენც მათ მივყვებოდით ხოლმე. ხომლის გორაკზე დაელოდე და როგორც კი გამოჩნდებიან, აედევნე. გამოცდილებით ვიცი, სანდონი რომ არიან. ყველაზე მეტად მაინც მტრედებს ენდე! ისინი სულ მადლში ტრიალებენ სამრეკლოს გუმბათთან და ქვაფენილზე, მათ ნაბიჯებსაც კი საკმევლის სურნელი უდის. კიდევ ერთი რამ, სერა, ყაყაჩოს ჭიას ერიდე, მას ბევრი ახალგაზრდა ეტანება და უმეტესობა მოისრა კიდეც. თუ ჩემი ხათრი გაქვს, ცხოვრებაში არ გაეკარო!

სერა რომ გაფრინდა, დედამისმა თავი ჩაქინდრა და ფიქრებსა და მოგონებებს მიეცა, თუმც ერთი ბეწო გალიაში, მაგრამ მაინც ჩვეულ დედოფლურ სიმარტოვეში. წამით მის მზერას გადავაწყდი და ღრმად ჩავხედე თვალებში, ოქროსფერი წერტილებით რომ ჰქონდა შეწინწკლული. ტანაგრა სიბნელეში ვერ მხედავდა. იქნებ ჯობდა, ამეხსნა, მის მიმართ რასაც განვიცდიდი და ბოლო მომეღო ამდენი უსარგებლო მცდელობისთვის, დავიწყებას რომ ვცდილობდი, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მეტ აღფრთოვანებაში მოვყავდი მის ულამაზეს სახეს და მომომენ სულს, გაუთავებელ ზრუნვას შვილზე, რომლის ცხოვრებასთანაც აღარაფერი აკავშირებდა და ამას უკვე მთელი არსებით გრძნობდა.

სერა გადამფრენ ფრინველთა მწკრივს შეუერთდა და მალე თვალს მიეფარა. მე მათი კუთვნილი ბუდე მოვინახულე. მარტოობის მწირმა სავანემ გული შემიკუმშა. მერე ძეძვებისკენ გავწიე, ტანაგრას წითელ მარცვლებს მოვუკრეფ-მეთქი. გლეხის ქალები აგროვებდნენ მომცრო კალათებში. ერთ მათგანს ჩემ დანახვაზე ნახევრად სავსე კალათა ხელიდან გაუვარდა და კივილი მორთო. მე კალათას ნისკარტით დავწვდი და ჰაერში ავქაჩე. სახლამდე სვენებ-სვენებით მივფრინდი და ნაყოფი ფანჯრის რაფაზე დავაპნიე, ისე რომ თვითონ შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. მერე უკან გამოვბრუნდი და ბილიკზე მომავალ ქალებს კალათა ფერხთით მივუგდე. კივილი ისევ განმეორდა, მაგრამ მე უკვე შორს ვიყავი. იმ დღეს კიდევ ერთი გზა გავაკეთე. ამჯერად მეტხანს ვიწვალე. ბუჩქნარს ეკლები აქეთ-იქით ჰქონდა გამოშვერილი. ჯერ ბლომად დავკრიფე, მერე წვრილ ტოტებს ბრჭყალები მივაბჯინე და მთელი მარაგი ამოვზიდე. ფოთოლში ფრთხილად გავახვიე, წვენი რომ არ გასვლოდა და ბრჭყალები დავავლე. ცოტაოდენი გზაში დამიცვივდა. იმაზეც ვიზრუნე, რომ არ ეფიქრა, შვილი სინამდვილეში არსადაც არ წასულა, სადმე აქ, სიახლოვეში ტრიალებს და არ მენახებაო. არ მინდოდა, ამის გამო ედარდა. ამ მდგომარეობიდან კი ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ იმ დღესვე ბლომად მიმეზიდა, შვილის მოტანილი რომ ჰგონებოდა. ეს კარგად მომაფიქრდა. არადა, უგემური ნაყოფი ჰქონდა. ჩვენ, დიდგვაროვან ბუებს, აზრადაც არ მოგვივიდოდა მისი გასინჯვა. კრეფის დროს ერთი ცალი გადამცდა კიდეც და დავიმანჭე, ამას რა გემოს ატანენ-მეთქი. ეკალნარშიც გვარიანად დავიკაწრე, მაგრამ ღირდა. სანაძლეოს დავდებ, დიდხანს ეყოფოდა, თუკი სახლის პატრონები არ გადაუყრიდნენ. თუმცა რატომ უნდა გადაეყარათ? ესეც ხომ შელავათი იყო. ერთი თვის მარაგი მაინც იქნებოდა. მაგრამ ერთი თვე რომ გავიდა, მისი რაოდენობა ოდნავადაც არ შეცვლილა. ტანაგრა სევდიანი და დაღლილი გამოიყურებოდა. ყოველდღიურობას თავისი ექნა და რეჟიმის ნაწილად ექცია.

ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ ერთ საღამოს ღია ფანჯრიდან ხმამაღალი ლაპარაკი არ შემომესმა. მონადირის ცოლი ტანაგრას ემუდარებოდა, წასულიყო, შენი ცოდვით აღარა ვარ, მონყინილს რომ გხედავო, თქვა და მოულოდნელად გალიის კარი გამოუღო. გაქცევას წინ აღარაფერი ედგა. იმდენად მომიცვა ცნობისმოყვარეობამ, რომ დერეფანში შევფრინდი. დაბლა სართულზე, სათავსო ოთახში სარკმელი მუდამ ღია ჰქონდათ, თავისუფლად გავეტეოდი, უკანაც ამ გზით დავბრუნდები-მეთქი, ვიფიქრე. თუმცა არ დამჭირვებია. კიბე ფრენით და სირბილით ავიარე, ზღურბლთან კი შევდექი, რადგან მონადირის სასტიკი შეძახილი მომესმა:

- ტანია! გალიის კარი ვინ გამოაღო!

ჯერ მეგონა, ტანაგრას მიმართავდა, მაგრამ თურმე ასე ერქვა მის ცოლს, ქერათმიან სლავ ქალბატონს, მიმქრალი ცისფერი თვალებით. წამით ტანაგრას შიშით აღსავსე მზერას გადავაწყდი, გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. მაგრამ სანამ მონადირე გალიას დაკეტავდა, ქალის სულსწრაფი კივილი გაისმა. იგი შიშველი იდგა ოთახის მეორე მხარეს და ტანსაცმელი ძირს მიმოეყარა. წამით გავიფიქრე, ნუთუ ქალები ფრინველებზე ლამაზები არიან-მეთქი, იმდენად ნატიფი და ჩამოქნილი სხეული ჰქონდა, მეგონა ფრთებს გამოისხამდა და ზეცას შეუერთდებოდა. იგი ფრინველს უფრო ჰგავდა, რადგან ადამიანს არ ძალუძს იყოს ესოდენ ლამაზი. განა ფრესკის ანგელოზებსაც ფრინველებად არ გამოსახავენ? გაქვავებულ მონადირეს მზერა მოეღრიცა, ფორთხვით მიუახლოვდა მშვენიერ ქალს, ხალიჩაზე უხეშად დააწვინა და შმაგ ალერსს მიეცა. გალიიდან გამოსული ტანაგრა სარკმლის ზღურბლზე წამით შედგა, ეტყობა სახეზე სიცივე შეიგრძნო, ფანჯრის რაფაზე გაიარა და იმის მიუხედავად, რომ ძალიან დაგვიანებული იყო, სივრცეში გადადგა ნაბიჯი. მყისვე მისკენ გავემართე და ცოლქმარს თავზე გადავუფრინე, ეს რაღა ოხრობააო, ერთი კი ამომხედა მონადირემ ჩანთლებული თვალებით, მაგრამ ისევ უგონო ვნებებში ჩაიძირა. ტანაგრას უკან მივყევი, მაგრამ სარკმლის ჩარჩო ისეთი ვიწრო აღმოჩნდა, გვარიანად შევეჯახე მხრით. ტკივილმა მთელ სხეულში დამიარა, თუმცა ამისთვის არ მეცალა, მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.

4.

როცა ტანაგრა თავის ბუდეს გაცდა და გეზი სამხრეთისკენ აიღო, მივხვდი, რომ შვილისკენ მიემართებოდა. რაც არ უნდა ყოფილიყო, თვალთახედვიდან არ უნდა დამკარგვოდა, თანაც ისე, რომ ვერ შევენიშნე. ყველაფერი ერთმანეთს გადაებმა ფირნიშების ტყეს უნდა გაცდენოდი, უახლოეს ქა-

ლაქში რომ ამოგეყო თავი. ფირნიშები იქაც ბლომად იქნებოდა, ზედ სხვადასხვა ზომის კვადრატები გამოესახათ. ახალი ხედვა იყო, გეომეტრიის ზეიმი, ერთი შეხედვით დიდ შთაბეჭდილებას რომ ახდენდა. ზოგი რეკლამა პატარა ღილაკს გამოსახავდა, უზარმაზარ მექანიზმი რომ უნდა ჩაერთო მრავალი ხრახნის დასატრიალებლად. გზატკეცილის გასწვრივ შეთრთვილური მინდორი ჩანდა და ოღროჩოღრო გზა, ფრიალო კლდეებისკენ მიმავალი. შორს, ზღვის ნაპირს რუხი ტალღები ეფრქვეოდა, თითქოს ძველი დინება კი არ იწურებოდა, ახალი ნაკადები წარმოიშობოდა. ამინდიც ვერ იყო მთლად სახარბიელო. ზამთარი მთელი თავისი ძალმოსილებით ეუფლებოდა მიდამოს. ისეთი შეგრძნება მიჩნდებოდა, თითქოს ჩვენ ფრენას კოშკურებიდან ჭვრეტდნენ, აწოწილი ანძების დაჭიმულ მავთულებს ზრიალი გაჰქონდა, მაღალი ხეების განძარცული ტოტები ცივად შრიალებდა. ფიჭვებს გირჩების ნაცვლად პოლიეთილენის პარკები შემოესხათ, ამოჩრილი წიწვები კი ნემსების გროვად ქცეულიყო. ერთი შეხედვით საახალწლო ნაძვის ხეებს წააგავდნენ, შარშან რომ ყუთში ცუდად ჩაედოთ და ტოტები დაგრეხოდა. მთელი ღამე მივფრინავდით. როცა ირიჟრაჟა, დილაც ღამენათევს ჰგავდა, აბსტრაქტული წარმოსახვების დასაყრდენს. ის დრო იყო, ლამპიონებს რომ აქრობენ დღის სინათლის გამო და შადრევნები ამოხეთქვას იწყებენ. შხეფები რომც შეგსხმოდა, მისალმების სანაცვლოდ იქნებოდა და არა ბოროტი განზრახვით. ადამიანები უილაჯოდ დალასლასებდნენ, თითქოს გასასვლელ დერეფნებს დაეძებდნენ, რათა შვება ეგრძნოთ, ხოლო გამოფიტული ძვლების ჩხრიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროშებისთვის განკუთვნილი ქისის ჩხარუნივით ჩაესმოდათ.

ვცდილობდი, არავის დავენახე. ისედაც სიკვდილის მაუწყებელ სიმბოლოდ მიმიჩნევდნენ. ტანაგრას მაინც ბევრ ვერაფერში ვეხმარებოდი. მას თვითონ უნდა გაეღწია. უბრალო დამკვირვებელი ვიყავი, თანაგრძნობით აღსავსე და გულისსწორს შეუმჩნევლად მივყვებოდი, თითქოს იმ იდუმალი სივრცის შემადგენელ ნაწილს წარმოვადგენდი, რომლითაც ტანაგრას მშვენიერი სხეული იყო გარემოცული. იქნებ გრძნობდა კიდეც ვიღაცის ფარულ ადევნებას.

გონებაში უკან ჩამოტოვებული შენობების მკაცრ აღრიცხვას ვაწარმოებდი, დაბრუნებისას გზა რომ არ შემშლოდა. როგორც კი ტანაგრას სამშვიდობოს დავიგულებდი, უკან გამობრუნებას ვაპირებდი. ქვესადგურების სიმრავლემ თავსატეხი გამიჩინა. ჩახერგილი გზებიც ბლომად აღმოჩნდა. ალბათ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა, რადგან საკალი ნაწილის გასამაგრებლად ხიმინჯები მოეზიდათ. შავად მოლაპლაპე გზატკეცილებს გასწვრივ ქვიშის ვრცელი დიუნები მიუყვებოდა. ფეხით მოსიარულეებს ფეხქვეშ კირქვა ეფხვნებოდათ, თითქოს ნიადაგი სხვა მიმართულებით ილტვისო. უცნაური მხარე იყო. ეტყობა, მიწაც იტოვებს მიუვალ ადგილებს, როგორც მზე ვერ აჩახჩახებს ბოლომდე უფსკრულს. ეს გზა მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა. მერე რკინიგზა დავინახე. ზედ შემადგენლობა გამოჩნდა. სამგზავრო მატარებელი იყო, ჩაქჩაქით რომ ფარავდა მანძილს. ტანაგრა დაეშვა და მატარებელზე ისე აღმოჩნდა, თითქოს სახურავს ფერადი ხელსახოცი დაეფინაო. იგი შუაგულში ამოშვერილ მილთან მოყუჩდა და სწორადაც მოიქცა. ძალებს ზოგავდა, სანამ სასაზღვრო ქალაქამდე მიაღწევდა. მეც შორიახლო მოვთავსდი და კარგა ხანს ვიმგზავრეთ ასე. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ქალაქში მისვლისას შემადგენლობა დიდი ხნით გაჩერდებოდა, რადგან მგზავრებმა ფეხზე წამოდგომა იწყეს და თავიანთი ბარგი-ბარხანით ტამბურებისკენ გაემართნენ.

ქალაქი ისეთი პატარა აღმოჩნდა, რომ მატარებლიდან ჩამოსული ხალხი მოსახლეობის რაოდენობას უთუოდ გააორმაგებდა. ქვაფენილით მოკირწყლულ მოედანზე მტრედები დინჯად დაგოგმანებდნენ, თითქოს აღლუმის დაწყებამდე თეთრ მუნდირებში გამოაწყესო. ბრჭყვიალა მარცვლებს ამაყად კენკავდნენ არისტოკრატიულობის მეტად წარმოსაჩენად. ტანაგრას ნათქვამი გამახსენდა და მათდამი სიმპათიით განვეწყე. მაგრამ ჩემი გრძნობების გამჟღავნება მიჭირდა და ეს სასტიკად მთრგუნავდა, თითქოს ყველა შესაძლებლობა ამოვწურე. გამოფიტული მივყვებოდი გზას. ტანაგრაც ცდილობდა შეუმჩნევლად გადაადგილებულიყო, მაგრამ სივრცე, რომელსაც ნისლი რუხ ელფერს ანიჭებდა, მეტისმეტად გაშლილი იყო იმისთვის, მისი გულისცემა რომ გამეგონა. ტანაგრა ფრენას მექანიკურად განაგრძობდა, მალე ძალ-ღონე გამოელია, ერთგან დაეშვა და თვალები მილულა. ცოტა ხანში კი ისევ განაგრძო გზა. მიმქრალი სინათლე ჰორიზონტზე ვიწროდ განეფინა, თითქოს ოდესღაც სქელი თოკები წვრილ, დაძენძილ ბაწრებად ქცეულიყო. არემარე მდუმარებას მოეცვა. რიჟრაჟზე გორაკის წამახული ზედაპირი ისე გამოისახა, გეგონებოდა კენწეროებს ჩამოყრდნობიაო. ირგვლივ არავინ ჩანდა, თითქოს მობინადრეებს ძილქუში დამართნოდათ.

კარგა ხნის ფრენის შემდეგ ტანაგრა თვალთახედვიდან დამეკარგა, ერთხანს ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე, იქნებ შემთხვევით შევფეთებოდი სადმე. ამაო ყურყუტი მალე მომბეზრდა, თუმცა ძებნას განვაგრძობდი. მერე არყის ხეებთან წავაწყდი ღრმად ჩაძინებულს. ეტყობა უკვე ადვილად იღლებოდა. ხომ არ გაითოშა-მეთქი, შიში გამიჩნდა. ფრთხილად მივაყურადე და წყვეტილი სუნთქვა რომ გავიგონე, დავმშვიდდი, სხეულზე ბალახ-ბულახი გადავაფარე. მერე რაღაც უცხო ნაყოფი მოვუკრიფე, ჩიტები რომ ეტანებოდნენ და წინ დავულაგე, თვალის გახელისთანავე რომ შეენიშნა. შორიახლო მდებარე დაბაში კაფე მოვნახე და სანამ ერთ-ერთ მაგიდაზე ნასუფრალს აალაგებდნენ, პურის ნამცეცები მოვიხელთე. იქ მიბრუნებულს ვიღაც უცნობი ფრთოსნის ხმა შემომესმა, ეს რა მშვენიერი ლუკმა გამიმზადა დედაბუნებამო, მძინარე ტანაგრასკენ მიიწევდა. რომ დამინახა, შიშისგან დაიზაფრა და ისე გაქრა, თითქოს არც არსებულიყო.

საჭმლის გაწყობას რომ მოვრჩი, შორიახლო დავიმალე და ტანაგრას გაღვიძებას დაველოდე. თვალები რომ გაახილა, შევნიშნე, როგორი მადლიერებით გადახედა სუფრას. მერე საუზმეს შეექცა. გული სიხარულით ამევსო, მაგრამ, ვაგლახ, დაღლილობამ თავისი ქნა და თვალები დამეხუჭა. თვლემის შეგრძნებამ სადღაც შორს წამიღო, სიზმრის ფერადი ხალიჩები გამიფინა, რომლის კონტურებს ვხედავდი, მაგრამ მთლიანობა დაფარულში რჩებოდა, თითქოს ჩრდილებით ხანგრძლივად უნდა გემსჯელა გამოსახულებაზე. ძილი უზომოდ ღრმა ორმო იყო, ქვემეხების ზალპიდან ათასობით კილომეტრის მოშორებით. როცა გამეღვიძა, ტანაგრა აღარ დამხვდა. მყისვე მის საძებრად გავწიე და მერამდენედ ვიხსენებდი უკანასკნელ ნახვას. იქნებ ხელმარჯვნივ გაემართა-მეთქი, გავიფიქრე შიშით, რადგან იქით ზღვა ხმაურობდა. ჩემ თავს ვკიცხავდი, რომ არ დავენახე. იქნებ ჯობდა, გამოვტყდომოდი, მისი კეთილისმყოფელი რომ ვიყავი. მეთქვა, მის მიმართ რასაც განვიცდიდი, დედამიწაზე მცხოვრები ულამაზესი არსების მიმართ. მაგრამ მეტწილად ხომ ასეა, გვიან ვხვდებით, როგორ ჯობდა გვემოქმედა. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. როგორადაც მიგიჩნევს, საზოგადოების წინაშეც ისეთად წარგადგენს. მე კი სხვა მიდრეკილებები მქონდა. სქემების უარმყოფლად ვიშვი და ეს ჩემთვის თვითგამოხატვის უმაღლესი ნიშნული იყო.

კუნაპეტი ღამე ისე ჩამოწვა, მის ასავალ-დასავალსაც ვერსად მივაკვლიე. როცა მოსაზღვრე ტყისკენ მივემართებოდი, შემხვედრი ბუები შეკითხვის გარეშე არ დამიტოვებია, ასეთ და ასეთ ჩიტს დავეძებ, აქეთ ხომ არ ჩამოუფრენია, შემთხვევით თვალი ხომ არ მოგიკრავთ-მეთქი. ყველა უარობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, არ დაგვინახავსო. მერე ერთმა მირჩია, იმ ბუს ჰკითხე, სოფლის ბოლოს ბებერი ნეკერჩხლის ტოტზე რომ ცხოვრობსო. გზა მიმასწავლა, მაგრამ როცა მივადექი, მანაც ასე განმიცხადა, სიბნელეში საუკეთესოდ ვხედავ, თუმცა ამ პარამეტრში მსგავსი არავინ დამინახავსო. თანაც დაინტერესდა, რატომ დავეძებდი უცხო ჩიტს ასეთი მონდომებით.

-კიდევ ხომ არ იცნობთ რომელიმე ბუს, ამ მხარეში რომ მორიგეობდეს? - კითხვითვე მივუგე მე.

-ზღვისკენ იყავი? იქნებ იქით გაფრინდა!

-არ ვყოფილვარ! - გავეპასუხე უსიამოდ.

-იქაც გვყავს რუხი გუშაგი, ჩვენი სისხლისა და ხორცის! - თქვა და ნისკარტი ზღვისკენ გაიშვირა - ზედ სანაპიროზე, მიტოვებული სანატორიუმის სხვენში ბინადრობს, ჯერემიზინს ეძახიან!

წამით დავინტერესდი, ეს უცხო სახელი რატომ შეარქვეს-მეთქი, მაგრამ არაფერი მიკითხავს. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. წინასწარ გავაცნობიერე, თუკი სიმართლეს მისგან შევიტყობდი, ეს სასტიკი განაჩენი იქნებოდა, მაგრამ თუკი არც მას ეცოდინებოდა ტანაგრას შესახებ, მაშინ უკვე აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი.

ზღვისკენ გავემართე ჯერაც მბჟუტავი ლამპიონების ფონზე, რომელიც სასტიკად მჭრიდა თვალს. უსასოო ჩრდილები ბანცალით იცვლიდა ფორმებს. გაცვეთილი ფოთლები ფთილებისგან შეკოწიწებულს ჰგავდა. მათ შორის გზას ინერციით განვაგრძობდი და უსიამოვნო შეგრძნებები მტანჯავდა. გინახავთ გულგანგმირული ბუ, ნისლში სასოწარკვეთილი რომ აწყდება მიდამოს, თითქოს ბოლთას ცემდეს, ბოლოს კი სამსჯავროს კართან ჩერდება? ასე გავქვავდი ჯერემიზინის სხვენის ზღურბლთან. რუხმა ბუმ დიდხანს მალოდინა, ბოლოს გამომეცხადა და ერთხანს ხმას არ იღებდა, თითქოს ჩემი სტუმრობის მიზეზი თავადვე სურდა ამოეცნო. ასეთ და ასეთ ვინმეს დავეძებ-მეთქი, გამოვუტყდი. ნეტავ ეუარა, რადგან მისმა დუმილმა გული დამიმძიმა. ერთხანს ცნობისმოყვარედ ატრიალებდა თავს, თითქოს ცდილობდა მიმხვდარიყო, რამდენად იმოქმედებდა ჩემზე მისი პასუხი და როცა რაღაც დასკვნამდე მივიდა, ერთადერთი სიტყვაღა ამოღერღა:

- ვნახე!

მერე ხვნეშით გამომკითხა, შენი ვინ იყოო. ჩემთვის საციცოცხლო მნიშვნელობის არსება-მეთქი, გამოვუტყდი. მაშინ სახე უნუგეშოდ გაიშვირა ზღვისკენ.

- ჯერ ჭანჭრობის პირას იჯდა ქვიშაზე, თითქოს იმედები დამსხვრევია და შეკოწიწებას ამაოდ ცდილობსო, მერე კი ზღვისკენ გაფრინდა. მხარი თუ ექცა ნისლში. მე შევეხმიანე, მაგრამ ხმა არ გაუცია. ერთადერთი ამას იძახდა - მოვდივარ, სერა, დიდხანს არ დავაყოვნებო. არ ვიცი, რას გულისხმობდა. საოცარი ხმა კი ჰქონდა, რომელიღაც უცხო დიალექტი, ადრე ამდაგვარი არც მსმენია, თითქოს ვიღაცას ეთხოვება, ანდა სულაც ესალმებაო. იქნებ თვითმკვლელობა ჰქონდა გადაწყვეტილი? მაგრამ ასე რატომ იჩქარებდა? უფრო ის მგონია, რომ სიცივე მატულობდა და ფრენა არჩია, რომ არ გათოშილიყო. განა არ ჯობდა, დილას დალოდებოდა? ხშირად ფრინველებს წყალზე დასვენება არ შეუძლიათ და ენერგიის შესანარჩუნებლად ნაპირზე ცხიმის დიდ მასას იმარაგებენ. არა მგონია, ამას დიდხანს ეფრინა, ისეთი გამხდარი და უსუსური ჩანდა. თან მარცხენა ფრთასაც მძიმედ მიიქნევდა. მის მოქმედებას არც კი ვიცი, რა ვუწოდო. ადამიანი რომ ყოფილიყო, ვიტყოდი, თავქუდმოგლეჯილი გაურბის-მეთქი მდევარს... მე მაინც ვფიქრობ, რომ გზას ვეღარ იგნებდა, თითქოს თვალთ დაუბნელდაო...

ჯერემიზინის ბუტბუტი წყვეტილად ჩამესმოდა. ხომ არ ვეტყოდი, რომ ეს ხანგრძლივი ფრენა სიცოცხლისა და მონატრებისკენ იყო მიმართული. როცა გამოვემშვიდობე, ერთხანს ზღვაზე ვიფრინე, ჰაერი სიმლაშის მძაღე სურნელებას გაეჟღინთა. მინდოდა მთელი არსებით შემეგრძნო, ტანაგრა რასაც განიცდიდა. ისე ციოდა, ცოტა მაკლდა, არ გავყინულიყავი. იმ დროს ალბათ ყველაზე სასოწარკვეთილი ბუ ვიქნებოდი მსოფლიო წყლების თავზე. მერე წყლის ჭავლებს ყურადღებით ვაკვირდებოდი, იქნებ სადმე თვალი მომეკრა, მაგრამ მოღუშული მიდამო მხოლოდ მღვრიე სიღრმეში მალავდა სიცოცხლის ნიშან-წყალს. ზედაპირზე კი აქაფებული ტალღებით შლიდა ყოველგვარ ცოცხალ გამოსახულებას, სასკოლო დაფას რომ აპრიალებენ ჩვრით. ნისლი იფანტებოდა და როცა იქაურობას მზის უსიცოცხლო სხივები მოეფინა, ტალღების ხმაურმაც იკლო, ხოლო შორს, შეურყვნელ დასალიერთან მტრედისფრად ინათა. ორ არსებას შორის თანხვედრა თუ არ არის, მაშინ ყველაფერი მონაჩმახს ემსგავსება, რადგან ცხოვრება ისეთია, გმირულად თუ არ აღესრულე, ვერაფერს იტყვი მნიშვნელოვანს. ნისლის ბრალი იყო, ტანაგრა ზღვის თავზე რომ მოექცა, დარწმუნებული ვარ, ფრთებქვეშ ხმელეთი ეგულებოდა. ზღვა კი უკიდეგანო იყო, სადაც ვეღარავის ჰკითხავდა რამეს, რადგან იქ კეთილშობილ გრძნობებს ულმობელი კანონები ჩანთქავენ.

5.

ნაპირზე რომ გამოვედი, ქვიშაზე დავენარცხე. გაშოტილი ვიწექი და მზის დამაბრმავებელ დისკოს ავცქეროდი, ოქროს ვეება ფირფიტას რომ ჰგავდა. მის პრიალა ზედაპირს ბრჭყვიალი გაჰქონდა და მრავალ ალმაცერ მზერას ირეკლავდა. შორს ნაცრისფერი სიბლანტე გაწოლილიყო, თითქოს მსახვრალ ხელს ახალი ლანდშაფტები უნდა გამოეძერწა, ახალი რეალობა ჩამოეყალიბებინა, ვიდრე ნისლის გაფანტვამდე, ოღონდაც უკვე სხვებისთვის, რადგან მე ამ ცხოვრებას აღარ ვეკუთვნოდი ისევე, როგორც ნისლი ვერ იქნებოდა ხანგრძლივი ამინდი. თუმცა, მსმენია, ბრიტანეთის კუნძულებს დიდი ხნით ეწვევა ხოლმე, თითქოს მიმოწერა ჰქონოდეს მატერიკთან. არავის ძალუძს გადარჩენა, სხვამაც თუ არ გამოიღო ხელი. ძილი ცხოვრების ნაწილია, ჩემს შეგრძნებებში კი ისე ვიღვიძებდი, თითქოს სიზმრის გალევას ველოდი. ოდესმე ეს განწირული ფასადებიც, ირგვლივ რომ ჩანდა, ნანგრევებად იქცევა, მხოლოდ მახსოვრობაში თუ დარჩება ვინმეს. მზის სინათლეზე შორს ადამიანთა სა-

ეროვნული

საფლაოები გამოჩნდა, ჯვრებით აღნუსხული კვადრატები. სიკვდილი ვერასდროს გახდება სიცოცხლის ნაწილი, საფლავის ბორცვს სცენაზე დაშვებული ფარდის დანიშნულება აქვს მხოლოდ, ხანგრძლივი თამაშის დასასრულს რომ აღნიშნავს. მაგრამ ყველა არსება დაახლოებით ერთსა და იმავეს გაივლის, თუმცა სხვადასხვანაირად, პრინციპი კი უცვლელია - თუკი განსაცდელი გაბოროტებს, მაშინ ვერც სიკეთე გაქცევს კეთილშობილად!

ჩემმა ცხოვრებამ სევდიანად განვლო, მხიარული ხმები რომ ჩამესმა, იმ პერიოდმაც ვერ გასტანა დიდხანს. ჩემ წინაშე ზღვის უკიდეგანობა გადაშლილიყო. აი, ვის ერგო წილად ტანაგრას ულამაზესი სახე და სათუთი სხეული - ხმაურიან ტალღებს, გაშმაგებისას პირიდან ქაფი და დუჟი რომ გადმოსდის. შორიახლო ვიღაცეები თევზაობდნენ. ძაფივით დაგრეხილი გორგალი მთელ გაყოლებაზე მოჩანდა. ზოგან ბადეები დაეკიდათ გასაშრობად. ლამპიონები ანთებული დარჩენოდათ და ციცინათელებივით უსიცოცხლოდ ციმციმებდა. ნავსაყუდელის გასწვრივ მებადურები ბადეებს ხსნიდნენ და ზღვაში ისროდნენ. როცა დიდი თევზები ებმებოდა, ბადეები თრთოლას იწყებდნენ, ტივტივები ჩაძირვას. მოკლედ, მთელი პროცესი იყო. ერთი ხანობა ნაპირს დავყევი, იქნებ ტანაგრა ტალღებმა სადმე გამორიყა-მეთქი. მაგრამ ეს არაფრის მომცემი ქმედება იყო. მზემ რომ გამოანათა, ისეთი სანახაობა გადაიშალა, გეგონებოდა მთელი განძეულობა გამოფინაო. ისე მივიღე, როგორც ნიშანი, რომელიც მხოლოდ წამით გაგრძელდა, თითქოს გაუჩინარებული ტანაგრა ზეცას შეეფარებინოს. მეორე მხარეს კი ნისლიანი მთაგრეხილები ერთად თავმოყრილ და ქარავნის მომლოდინე ფართლეულს წააგავდა, რათა ძაფებად გაეზიდათ მოუსავლეთში.

მე ქვითინი ამივარდა და თუ შემხვედრთ ჩემი ხმა ისედაც ავისმომასწავებლად ჩაესმოდათ, იმ დღეს კიდევ უფრო დიდ საშინელებად მიიჩნევდნენ. ჩემ თავს მერამდენედ გამოვუტყდი, რომ მიყვარდა ტანაგრა საშინლად მტანჯველი გრძნობით, მიყვარდა თავისი ენით აუწერელი სილამაზის, მოთმინებისა და ერთგულების გამო. ჩემს თვალში ამგვარად წარმოჩინდა და ვერც შევძლებდი, ვინმესთვის ამეხსნა, რას განვიცდიდი იმ წამებში. რახან ყველაზე მნიშვნელოვანი წარსულში დარჩა, მომავალი ცარიელ სკივრში ფუჭ ქექვას დაემსგავსებოდა, სადაც უვარგისი ფართლეული თუღა ელაგა და ისიც ჩრჩილს ნაცარტუტად ექცია. აღარაფერი იყო სანახავი და აღმოსაჩენი. მტანჯველმა ფიქრებმა სული გამითანგა და მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, ხომლის გორაკთან მიბრუნებული უკანასკნელ დღეებს დავლოდებოდი.

მდიდარი ვიყავი იმით, რომ ულამაზეს არსებას ვიცნობდი, მაგრამ მონატრება ისე მტანჯავდა, ჯობდა, ამნეზია დამმართნოდა და მეხსიერება ნისლად მქცეოდა. თურმე ნამდვილი სიყვარული ის კი არ ყოფილა, გულისსწორთან სამოთხის დარ დღეებს რომ ატარებ, არამედ ის, რომ მის გარეშე თავს ჯოჯოხეთის წიაღში გრძნობ. ამ ქვეყნად აღარაფერი მიზიდავდა. აღარც შემდგარი არსებები მაინტერესებდა, გამუდმებით რომ ცდილობენ, წუთისოფელს ზედმეტი დასტყუონ. ისიც ვერ ამეხსნა, რისთვის დავბრუნდი იქ, საითაც გული აღარც მიმიწევდა. ეს წუთისოფელთან მორიგ მძიმე შერკინებას ჰგავდა. ოდესღაც ტაძრის სიახლოვეს მედო ბინა, სადაც ხშირად აყენებდნენ წირვებს ღამისთევით და სულ მიკვირდა, რატომ გაისმოდა ლოცვებში - უკუნითი უკუნისამდე - რას გულისხმობდნენ? ნუთუ იმას, რომ ქვეყნიერებას უკუნი გაასრულებდა? შეძრწუნებული ვსვამდი ამ კითხვას და მზის სიკაშკაშეს ისე ვერიდებოდი, როგორც დღისით მცხოვრებნი გაურბიან წყვდიადს.

მერე მთელი დღეების განმავლობაში ცარიელ გალიას შევჩერებოდი. ტანაგრა იქაც, ტყვეობაშიც გალიის მშვენება იყო. იქნებ ჭურჭელიც ამაყია თავისი მოოქრული შიგთავსით? მე კი ბღავილიც რომ მომერთო, ვეღარაფერს შევცვლიდი. ცხოვრება ჩვეულებრივ გაგრძელდებოდა. იქნებ ჩვენი დასასრულით სხვებს უნდა გახსნოდა გზა და იქნებ ჩვენც ასევე დაგვჭირდა სივრცის გამოთავისუფლება მაშინ, როდესაც ვიბადებოდით.

მერე ხანგრძლივი წვიმები დაიწყო და სახსრებში ყრუ ტკივილი ვიგრძენი. ეს იმ დღიდან დამჩემდა, სარკმლის ვიწრო ჩარჩოს რომ შევეჯახე. ნესტის დროს ხშირად მახსენებდა თავს, გულის სიღრმეში მსიამოვნებდა კიდეც, რადგან უტკბილეს მოგონებას უკავშირდებოდა. ირგვლივ ყველაფერი ნოტიო და მოსაბეზრებელი გახდა. ჩემი საქმეებიც მწირი და უნაყოფო იყო. ვერასდროს შევძლებდი, სიცოცხლის ცხოველ რიტმს შევრწყმოდი, საბოლოოდ ის მაინც გადმონაშთის აღსასრულით დაგვირგვინდებოდა. ბუები სწორადაც ვიქცევით, დღისით რომ ვთვლემთ, რადგან არაფერია სანახავი მზის შუქზე, რასაც გულის დაწყვეტა არ მოჰყვება და თუ მაინც გავჯიუტდებით და ნახვას გადაწყვეტთ, მერე სევდას ვეღარაფრით დავაღწევთ თავს. დასასრულის სიახლოვეს რომ იგრძნობ, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, სიცოცხლე კიდევ რამდენ თვესა და დღეს გასტანს. მეც მჩქეფარე ყოველდღიურობას უტყვი ლოდივით ვესწრებოდი ხოლმე, ხოლო მეათე წელიწადში უკვე იმდენად ბებერი ვიყავი, ჩემი თანატოლები რომ მენატრებოდა, რიყეზე ჩავდიოდი ქვების სანახავად.

6.

მაგრამ ერთხელაც, ჩემთვის უკანასკნელ გაზაფხულზე, ჩიტების ჟრიამული მომესმა. ეს ფრთოსნები ბრუნდებოდნენ თბილი ქვეყნებიდან, ფრთებზე დღესასწაული ისე გამოებათ, ეგვიპტის უდაბნოს ქვიშაში მიმავალი მონები რომ მიათრევდნენ თოკებით ნილოსის გემებს დინების აღმა. ცა ნაცნობი სახეებით აივსო, მაგრამ მე მათში მხოლოდ სერას დავეძებდი, რომელიც მას მერე აღარ გამოჩენილა. ვინ იცის, რა ბედი ეწია-მეთქი, გავიფიქრე, რომ უცებ ელდამ მომიცვა. ნუთუ ის იყო, მოლურჯოში გარდამავალი ზურმუხტისფერი გულისპირით, ოდესღაც ელვარე, მაგრამ მიმქრალი სილამაზით. თუმცა დაჩაჩანაკებული და მოტეხილი ჩანდა, სიკაშკაშე მოჭიატე ყიამეთში რომ ჩაინთქმება. ეტყობა დიდხანს უწევდა წუთისოფლის მსახ-

ვრალი ხელიდან დასხლტომა, რადგან თავის ძვირფას საუნჯეს ბედისწერასავით დაატარებდა. შელახული ჩანდა, მაგრამ მაინც იმ ულამაზესი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო, ბადალი რომ არ ჰყავდა. მაშინვე ვიცანი, მერე ახლოს მისვლას შევეცადე, ხომლის გორაკზე რომ დაეშვა და სხვა ფრინველებს შეერია. იქნებ მომეთხრო დედამისის აღსარულის შესახებ, ძველი დრო გამეხსენებინა, მაგრამ მხოლოდ თვალი გავაყოლე, რადგან იმდენად ბებერი ვიყავი, მიდევნების თავი აღარ მქონდა. ფრენა თუ არ შეგიძლია, იმ სიმაღლეებს არ უნდა წაეპოტინო, საიდანაც გადმოხტომას ვერ შეძლებ. სიცოცხლის ენერგია ვინც კეთილდღეობას შეალია, როგორც კი საქმე გაასრულა, წასვლის დროც დაუდგა - სიბერის მოსაბეზრებელი და გაწელილი ჟამი. ამქვეყანად მეფის სასახლეც საბოლოო ჯამში მხოლოდ და მხოლოდ თავშესაფარია და მეტი არაფერი. პიროვნება ისე უნდა ცხოვრობდეს, რომ იმ მიმართულებით, საითაც მიწას მიაბარებენ, დიდი სიჩუმე ჩამოწვეს, როგორც ეს ულამაზეს ტანაგრას შემთხვევაში იყო. თითქოს სიტყვა ტანაგრაც თანაგრძნობიდან მომდინარეობდა და თუ მკითხავდნენ, როგორი სილამაზე ჰქონდაო, ვუპასუხებდი, მის სიახლოვეს ყოველი სხვა სილამაზე უსახურდებოდა-მეთქი და რომ მსგავსი აღარასოდეს განმეორდებოდა სამყაროში... მაგრამ იქნებ ვინც გაგვაჩინა და ვინც ჩვენს ყოველ მოძრაობას განაგებს, ამ მდგომარეობასაც თვითონ მიხედავს, რადგან ისეთი მშვენიერი ტილო, რასაც სამყარო წარმოადგენს, შეუძლებელია, უვარგისი ძაფებით იყოს ნაქსოვი.

ერთხელაც სერას პირისპირ გადავეყარე, ყაყაჩოებს შორის რომ თვლემდა. მერე თვალები მძიმედ გაახილა.

- გამარჯობა, სერა! - მივმართე მას.

- გაგიმარჯოს! - მიპასუხა მხნედ, თითქოს ჰალუცინაციურ მდგომარეობაში ყოფილიყო და არც შეშინებია.

-დედაშენი გახსოვს?

-ჰო, ბუნდოვნად!

- ის საუკეთესო არსება იყო!

- იცნობდი? - მკითხა ცნობისმოყვარედ, მაგრამ პასუხს არ დალოდებია, მხრები აიჩეჩა და განაგრძო - საუკეთესოობა მაინც რაში გამოიხატებოდა? იმაში, რომ ჩემი ცხოვრება ასე მძიმედ და გაუსაძლისად წარიმართა?

- თვითონ ცხოვრებაა მძიმე და გაუსაძლისი და ეს ყველასთვის ასეა!

- ალბათ, კამათს არ ვაპირებ!

- კარგა ხანია აქეთ არ ყოფილხარ!

- ჰო, შუა აზიას მივეჯაჭვე, იქით მერჩევნა, მაგრამ ახლა სხვები დაეპატრონნენ ოქროს პლანტაციებს, აღარ გვაჩერებენ, ჰოდა, ძმებმა ჩიტებმა მიამბეს, ყაყაჩოს ჭია აქეთაც არისო, ოღონდ ველურადო. ვიფიქრე, თან ჩემ სამშობლოს ენახავ-მეთქი და აქეთ წამოვედი!

- ასე მნიშვნელოვანია ეგ ყაყაჩო?

- როგორ აგიხსნა, როცა ვერ ვაგნებ, ჯოჯოხეთში ვარ, თითქოს მადაგასკარელი ქამელეონის პირისპირ აღმოვჩნდი ფრთებშეკრული!

- გინდა შენი ბავშვობის ბუდე განახო?

- რომ მდომოდა, როგორმე თავადაც მივაგნებდი!

- ძველი ადგილები გახსოვს?

-ეჰ, რა მნიშვნელობა აქვს წარსულს, მთავარი აწმყოა!

- აწმყო? მე კი ასე გეტყოდი, სერა, ნამდვილი აწმყო მომავალია!

- აზროვნების ეგეთ ღრმა შრეებს ვერ ვწვდები, მსრესს და მანადგურებს!

-ეგ იმიტომ, რომ არასწორად ცხოვრობ! შეეშვი ყაყაჩოს ჭიას! თუ გსურს, წითელ მარცვლებს გიჩვენებ, ანწლს წააგავს და მათ ოდესღაც დედაშენს ვუზიდავდი!

- ვიცი ეგ წითელი მარცვლები, დანახვაზეც კი გული მერევა!

მესიამოვნა, ამაში მაინც გვქონია-მეთქი საერთო მოსაზრება. კიდევ რაღაცას ვკითხავ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ სერას თვალები დაუმძიმდა და ჩათვლიმა.

სათქმელი აღარაფერი იყო. ის თავისი ცხოვრების წესს აღარ შეიცვლიდა. როცა ყველა როლი გასრულდება, არტისტი სცენას ტოვებს. მეც ასე ვაქციე ხომლის გორაკს ზურგი, მძიმე სხეული ჰაერში ავზიდე და მშობლიურ ფუღუროს ისე ჩავუარე, იქითკენ აღარც გამიხედია. მერე შორ და ოდესღაც უკვე განვლილ გზას დავადექი. ფირნიშებს გავცდი და გადავუფრინე გზებს, ამასობაში რომ შეეკეთებინათ, ხიმინჯები აღარსად ჩანდა. გზაგასაყართან, განძელების სურნელში მატარებელს დაველოდე, რომლის განრიგში მთელი ამ დროის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. მას საზღვრამდე მივყევი და პატარა ქალაქის მოედანი გადავჭერი - იქ მტრედები ისევ დინჯად დაგოგმანებდნენ. გადავუფრინე ნაცნობ ტყესა და კაფეს, სადაც ოდესღაც ტანაგრასთვის ნასუფრალი მოვიმარაგე. არყის ხეებთან შევისვენე, ძალები რომ დამეზოგა. ჯერემიზინის სანატორიუმსაც მდუმარედ ჩავუარე, ალბათ თვალს მომკრავდა, თუკი ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ არ შევჩერებულვარ. როგორ ამეხსნა მისთვის, რომ თვითმკვლელი არ ვიყავი და მხოლოდ წარსულს ვეთხოვებოდი იმ გზით, რომელიც ოდესღაც დედამიწის ულამაზესმა არსებამ გაკვალა. მერე კარგა ხანს ვიფრინე და გულგრილად ვაკვირდებოდი დიდრონი ტალღების გაუთავებელ სრბოლას, ფრთებს რომ მისველებდა, თითქოს უნდა მომწვდენოდა და პირველყოფილ წიაღში ჩავეთრიე, და მე, სტიქიის პირისპირ მყოფმა, მთელ სამყაროს მივმართე: - დიდ ხარ შენ, შემოქმედო, რომელიც დაკარგულ სულებს, შენივე ხელით შექმნილ სამეფოში, წუთისოფელი ცუდად რომ მოექცა, ერთად კრებ სასუფეველში და ერთმანეთს ახვედრებ! - ეს სიტყვები გულწრფელად წარმოვთქვი, რადგან პათეტიკისთვის დრო აღარ მრჩებოდა. მერე ნაპირს გავხედე, რომელიც ჯერ კიდევ მოჩანდა წვრილ ზოლად, იქნებ ძალა მყოფნოდა კიდეც, უკან გაბრუნებას თუკი გადავწყვეტდი, მაგრამ აქ მერჩივნა, სადაც ოდესღაც ტანაგრა აღესრულა, რათა უკანასკნელ წამს ჩემი ცრემლებიც უკიდეგანო ზღვის სიმლაშეს შემატებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ქევანიშვილი

ოცეს ძონძები



* * *

რა ლამაზი ვარ, რა ლამაზი, გაიძახის ოცე. გაიძახის. ღიღინებს. ფარდებს ეცეკვება. ფეხისწვერებზე ტრიალებს. დილიდან ვარდის საპნით სამჯერ დაიბანა ხელები და პირი, სამჯერ! ვარდის საპონი ობალას მაღაზიაში იყიდა. ებრაელ ობალას ყველაფერი აქვს! ფერად-ფერადი ქსოვილებით ჩაზნექილი თაროები, იაფფასიანი ბრჭყვიალა ბიჟუტერია, ღილები და ძაფები და სურნელოვანი საპნებიც. ოცე ობალას ხშირი კლიენტია. მივა, კაბის სათავეზე მიკერებული საფულიდან ხურდებს ამოკრეფს და საპონი მისია! წავა, დაიბანს, დაყნოსავს თავის თავს, დაიბანს და დაყნოსავს. ისევ და ისევ, უსასრულოდ. ვარდი, ვარდი, უხარია.

ილიკო რომ მოვა, ვარდი დავხვდები. ლოყებზეც ვარდისფერი პუდრი უსვია. თვალები ცისფრად აქვს ამოღებილი. ტუჩები სტაფილოსფრად. დადის ტურტლიანი ტილოთი დილიდან, ხან რას გადაუსვამს, ხან რას. გაზინტლულ ჩაიდანს გადადგამს - გადმოდგამს. ვითომ გაწმენდს. გაჰკრავს ხელს, გამოჰკრავს. მთავარია, თვითონ მოსწონს. ჭიქებს გახედავს სინათლეზე, ბუნდოვნად ხედავს, მაგრამ მაინც უხარია. ხრუტუნებს, ხვიხვინებს.

ასეთი სიცილი იცის ოცემ.

საწოლზეც დიდყვავილებიანი გადასაფარებელი აქვს გადაფარებული, რომელსაც მარტო მაშინ გამოიღებს ხოლმე თაგვებისგან ნახევრად დახრული გარდერობიდან, როცა ილიკო მოდის.

ილიკოს დღე სამშაბათია.

დანარჩენი ჟორასი და დავითასი და გელასი და ვინც მოვა, იმისი, გზის დასაგებად ჩამოსული დღიური მუშების და ნაგვის მანქანაზე მომუშავე თემურასი და, ხანდახან თუ რამე მოსატანს მოიგდებს ხელში, ნიკოც მოდის ხოლმე. ოცე უარს არავის ეუბნება.

ოცეს ადვილად აგნებენ. ოცეს სახლისკენ მოდის ყველა უბედურის გზა, დაღლილის და დაუბანელის, ღატაკის და უსიყვარულობით დატანჯულის, მარტოხელასი და ჭკუასუსტის. ოცე ყველასია.

ორშაბათს მწვანე გადასაფარებელს აფარებს მოყანყალებულ საწოლს, სამშაბათს, ის ყვავილებიანი რომ ვთქვით, იმას. მერე ლურჯს და მერე ყვითელს და მერე ისევ თავიდან. დღეს კი სამშაბათია. სამშაბათი ილიკოს დღეა. ილიკოს ჩაისაც დაალევინებს და მერე ორ ჭიქასაც მიუჭახუნებენ ერთმანეთს გასახურებლად. ილიკოს ავტობუსი ყავს.

ილიკო იმიტომ უყვარს, რომ სხვასავით არ ეცემა ხოლმე და ჯაჯგურით არ იკმაყოფილებს სურვილებს. ილიკო ნაზია. ოცეს ასე არავინ ექცევა. ესეც დაქრის, ფანჯარაში ხშირ-ხშირად იხედება, წყალი ხუთჯერ აადუღა. თეფშზე დაწყობილ ვაშლს ხან გადადებს, ხან გადმოდებს. ხან თავზე კარალიოკს დაადებს, ხან ისევ ვაშლს გამოაჩენს. ღელავს ოცე. უღელავს თავისი ათასკაცგამოვლილი საშო, რომელიც ილიკოს დანახვაზე ცოცხლდება, თრთის. იკუმშება. ვიწროვდება.

აი, ათი წუთიც და, უნდა გამოჩნდეს.

ფარდის და ფანჯრის მონაა ამ დროს ოცე.

* * *

ილიკო რომ მოვა ხოლმე, სახლს ისე მოათვალიერებს, თითქოს მისი ქმარი იყოს, საშოვარზე წასული შინ რომ დაბრუნდა. მაცივარში შეიხედავს, ფანჯრიდან ხარახურით გამოვსებულ ეზოს გადახედავს. ქამარზე ცერათითებჩამოწყობილი გაივლ-გამოივლის და მერეღა ჩამოჯდება.

ოცე მწვანე ხახვით სავსე თეფშს გამოდგამს. ცოტა გამხმარ ყველსაც მიუდებს გვერდზე და გაზინტლულმინებიანი კარადიდან ღვინისფერი ჭურჭლით არაყს გამოაძვრენს. მერე კეკლუცად ჩამოუჯდება გვერდზე ილიკოს, თავის გაუხეშებულ და გაყვითლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ქუსლებს ამოყრის უკვე დაძველებული მწვანე ფრანცუზკებიდან და ყურებამდე გაუცინებს. თავს კი არ უტყდება ჩვენი ოცე, რომ ილიკოზე ფიქრი არ ასვენებს ხოლმე, არც ორშაბათს და არც ოთხშაბათს და არც მაშინ, როცა ზემოდან დავითა ახვნეშის და არც მაშინ, როცა მის დაჟანგულ ჭიშკარს სხვა ვინმე გზაპნეული შემოაჭრიალებს.

ილიკო, ტკბილო, ეტყვის. მოდი, ახლოს, მოდი. ისედაც ახლოსაა. მაგრამ ოცეს მეტი უნდა. ხელს მოუფათურებს. ილიკოც მზადაა და წამოგორდებიან ხოლმე დიდყვავილებიან გადასაფარებელზე. სამშაბათს, გამორიცხულია, ვინმე სხვა მიიღოს. ჭიშკარს შიგნიდან კეტავს ბოქლომით და აცაბაცა წარწერიან აბრას შეატრიალებს ხოლმე: ოცეს არ სცალია.

და ილიკოს მკლავებში იტრუნება.

ქვეყანა რომ დაიქცეს, სამშაბათს ოცეს გარეთ ვერ გაიყვან.

სამშაბათი - წმინდა დღეა.

* * *

ვა, ოცე? შე ძველო. ხორხოცებს კაცების ბირჟა.

გაუმარჯოს - ოცე ხელს უწევს და მიალაჯებს.

რაო ოცე, დღეს არ მუშაობ?

გადი, თორე თუ დაგარტყი, შუაზე გაგხეთქავ. ამბობს ოცე და მიალაჯებს.

გამგებელთან უნდა შევიდეს.

მტკიცედ გადაწყვიტა, ძონძების მაღაზია უნდა გახსნას.

სულ არ უნდა სხვისი ადგილი - თავის სახლში ერთ ოთახს დაუთმობს და კარზე ფერადი ცარცებით დააწერს: ოცეს ძონძები.

კარგი რა, ილიკომ უთხრა. კიდე ძონძები გინდა?

მინდა, მინდა. ძონძებიც მინდა და შენც მინდიხარ. ჩემო ტკბილო.

საიდან უნდა მოიტანო ეგ ძონძები, აქაურობას არ გაშორებიხარ.

ტყიბულიდან. თვალები უბრწყინავს ოცეს. უკვე ყველაფერი მოიფიქრა!

და ახლა გამგებელს უნდა უთხრას ეს ამბავი.

გამგებელმა ყველაფერი უნდა იცოდეს რაც პატარა ქალაქში ხდება. მაგის ოცეს მტკიცედ სწამს. ყველა გამგებლის ერთგული იყო, ვინც კი ამ ქალაქს ჰყოლია.

და როცა ძონძების მაღაზიას გახსნის, ყველა გზაპნეულს კარს აღარ გაუღებს. შეიძლება დავითას, ნიკოს და ჰა, ჰა კიდე ვინ შეიძლება? მაგას მოიფიქრებს. მაგრამ უცხოებს აღარ.

დროა, ოცემ დაიწყოს თავისი ნამდვილი ცხოვრება.

სარეცხის მანქანა უნდა ვიყიდო. ამბობს და უხარია ოცეს, თავისი ოცნება უყვარს.

და ილიკო.

* * *

ქალაქში ოცეზე ამბობდნენ, 16-დან 20 წლამდე ასაკში სამი-ოთხი ბავშვი მაინც ეყოლებოდა გაჩენილი და გაშვილებული. მერე ერთ დღეს გინეკოლოგისთვის უთქვამს, აღარ შემიძლია ორსულობები და ეს ბავშვებიც ვის ვაჩუქო, აღარ ვიციო და საშვილოსნოს მილებიც მაშინ გადაუკეტეს. მას მერე არხეინად იყო ეს ჩვენი ოცე. მშვიდად, გართულებების გარეშე ეწეოდა თავისუფალ ცხოვრებას, ხანდახან აკიდებულ ვენერიულ დაავადებებს თუ არ ჩავთვლით და გინეკოლოგთან შევლას მხოლოდ უკიდურესი შეწუხებულობის დროს. და ისე, პურზე, შაქარზე, ფულზე, ღვინოზე, კაბაზე, ბალიშისპირებზე, ყველაფერზე თანახმა იყო ქალაქის მკვიდრი თუ ქალაქის სტუმარი კაცები თავის დიდ ძუძუებში ჩაეკრა.

ოცემ მათზე ყველაფერი იცოდა. მათი დაფარული დარდების შემგროვებელი იყო. ვის რისი თავი ჰქონდა, ეგ ხომ იცოდა და იცოდა.

უხ, ჩემო მგელო. დაუფარავად და ურცხვად გასძახებდა ხოლმე თავის რომელიმე კლიენტს თუ დაინახავდა ქუჩაში და იმავე დღეს მთელმა ქალაქმა იცოდა, ვინ მოხვდა ოცეს ფეხებშუა.

ოღონდ, რატომ დადიოდნენ ჭკუასუსტ, უპატრონო, მოუვლელ და არცთუ ისე მომხიბვლელ ოცესთან, ვერავინ ამოხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ძონძების მაღაზია ადრიან გაზაფხულზე გახსნა. მაღაზია დავარქვათ, რადგან ოცეს ასე სჯეროდა და ასე უნდოდა. როცა ვარდის საპონს ტანზე იზილავდა, მაშინაც მაინც სუნიანი იყო, მაგრამ ვინ რას გაუბედავდა! ასე იყო ოცეს ძონძების შემთხვევაშიც - ტანსაცმლის მაღაზია - ოცეს ძონძები, წარწერა მეზობელ თვითნასწავლ მხატვარს დაახატვინა კაშკაშა ფერებით - მწვანედ და ყვითლად და ეს აბრაც ჭიშკარზე მიაჭედა.

საიდან ჰქონდა ამდენი ფული დაგროვილი, რომ ათი ფუთა ტანსაცმელი მოათრია, არავინ იცის, მაგრამ სამი დღე არ უმუშავია - ყველა უკან გააბრუნა, თამაზაც და ნიკოც და დავითაც და სხვებიც. ისე გათვალა, ილიკოს მოსვლის სამშაბათამდე დრო დარჩენოდა და ის რომ მოვიდოდა, გახსნილი მაღაზიით დახვედროდა.

სამი დღე ჩიჩქნიდა და ალაგებდა ფუთებს. პირველ სართულზე, იქ, სადაც საზამთროდ შეშას ინახავდა ხოლმე, პატარა ადგილი მოათავისუფლა - ერთი მხრიდან კედელი ჰქონდა, მეორე მხრიდან ფანერები მიაჭედ-მოაჭედა, მერე შიოს დაეღრიჯა - მეზობელ დურგალს და ერთი სახელდახელო კარიც შეაჭედინა ძველი ფიცრებისგან.

გავარდა სადგურზე, ხარახურის მაღაზიაში, იყიდა ლურჯი საღებავი და ღება და ღება ერთ დღეს. მაღაზიებს ჩამოუარა, მუყაოს ყუთები მოაგროვა, არ გადააყრევინა და გაანაწილა და რა გაანაწილა - აქეთ შარვლები, იქეთ პერანგები, აქეთ ლარიანები და იქეთ ძვირიანები. და ათივე ფუთა რომ გადაანაწილა, დაღლილი და დოინჯშემოყრილი დადგა თავისი მაღაზიის შუაგულში და საკუთარი თავით უსაზღვროდ კმაყოფილს გაეღიმა.

ილიკოზე ფიქრობდა.

მოვა და ნახავსო. მოვა და გადაირევაო. ჩემი ილიკო ჩემით როგორ იამაყებსო. ამ პერანგს და ამ შარვალს გადავუდებ, მოუხდებაო. მეორე დღეს მაღაზია უნდა გაეხსნა. ამიტომ დილიდან ჩამოუქროლა ქალაქს - გაზეთების ჯიხურში შეყო თავი, იქ აფთიაქში შევარდა, სასადილო, ობალას მაღაზია, სკოლა და პოლიკლინიკა მოიარა და ბოლოს გუბერნიასაც მიადგა.

დღის ორი საათისთვის ყველამ იცოდა - ოცეს ძონძები იხსნებოდა.

შეგიძლიათ არ დაიჯეროთ, მაგრამ რაც იმ დღეს ოცეს ძონძებში მოხდა, მსგავსი რამ ქალაქს არ ახსოვდა. დიდი და პატარა, თავისი ჭკუით ბოლო მოდაზე ჩაცმულიც და ფეხსაცმელგამოხეულიც, ყველა ოცეს მიადგა. იქნებ იმიტომ, რომ ეს მათ ქალაქში სხვისი ნაცვამი ტანსაცმლის პირველი მაღაზია იყო. ან იქნებ იმიტომ, რომ დაჯერება უჭირდათ, როგორც დაასწრო მათ ჭკუასუსტმა ოცემ მეორადი მაღაზიის ბიზნესის წამოწყება.

ლარიანი ტანსაცმელი მალევე დაიტაცეს.

უნდოდათ, არ უნდოდათ - მიჰქონდათ. ლარი რაღაააო, ტილოდ მაინც გამოდგებაო - ისეთი ზედახორა ატყდა, ოცე ფულის გამორთმევა და ხურდის დაბრუნებას ვეღარ აუდიოდა.

ზუსტად ლარიანი მომეცით - აყვირდა ნახევარ საათში - ხურდის ძებნის დრო არა მაქვსო.

მერე „ძვირიანების" დრო დადგა.

მანდ ხალხი ცოტა შეთხელდა - ერთბაშად ათი ლარის და ოცის გადახდა ოცეს ძონძებში? ეს დასაფიქრებელი და ასაწონ-დასაწონი ამბავი იყო.

იმ დღეს ოცემ ოცი მაისური, ხუთი პერანგი, რვა შარვალი, ამდენივე კაბა, ორი მანტო და სამი-ოთხი თავშალიც გაყიდა. რამდენიმეც გვერდზე გადადო, მათ, ვისაც საქონელი თან მოსწონდა და თან ეძვირებოდა და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, მეორე დღემდე დრო ითხოვეს. დღე რომ ჩათავდა, ოცეს კაბის სათავეზე მიკერებული საფულე ისე სავსე იყო, რომ ხურდა ვეღარც ჩხრიალებდა.

ბანკში შევიტანა. ოცემ გაიფიქრა. რა იცი, რა ხდება.

იმ დღეს ფული ბალიშის ქვეშ ამოიდო და ხვრინვა ამოუშვა.

* * *

სამშაბათი ისე დაღამდა, ილიკო არ გამოჩენილა. უცნაური იყო.

„დასვენების დღე - სამშაბათი“ - აბრაზე დამატებით მიაწერინა მხატვარს.

შვიდი საათიც გახდა და ილიკო მაინც არ ჩანდა. იქნებ, რა საქმე გამოუჩნდაო.

მაგრამ მაინც მსუბუქად აღელდა. ფანჯარას მიეკრა. აღარც ნივთები გადაუდგილებია როგორც სჩვეოდა. საქმეც ვერაფერი გამოიჩინა - რასაც ხელი მოჰკიდა, ან ხელიდან გაუვარდა, ან ისე ვერ გამოუვიდა, როგორც უნდოდა.

ამას უყურე ერთიო, თავის თავს მკლავზე უჩქმიტა. რა ექნა. ელოდა. ორი წელი გადიოდა და ილიკოს ასე არასდროს დაუგვიანია.

ის დღე ისე დაღამდა, ოცე არავის გახსენებია.

უჩვეულოდ გვიან გაეღვიძა. დიდი ხნის გათენებული იყო. იმ თავის ყვავილებიან გადასაფარებელზე ზემოდან მიწოლილს დასძინებოდა.

სიზმარი გაახსენდა - ვითომ, მისი მაღაზია იწვოდა. ხელი აუქნია, სიზმარი რა სათვალავში ჩასაგდებიაო.

ილიკო ოთხშაბათს მოვიდა.

ეს წესების დარღვევა კი იყო, მაგრამ ოცეს ისე გაუხარდა, რომ ჭიშკარზე ჩამოკიდებული თავისი მუშაობის აღმნიშვნელი გრაფიკის აბრა სასწრაფოდ შეატრიალა არ ვმუშაობისკენ და ილიკოს ეზოშივე შემოეხვია.

ილიკომ კისერი უკან წაიგრძელა - თითქოს მოერიდა ოცეს, მაგრამ ხელები მაინც მოხვია მხრებზე, ცოტა უხერხულად და აცალა, სანამ საყვედურებს ამოთქვამდა.

მერე ძონძების მაღაზია დაათვალიერებინა.

საზეიმოდ გახსნა კარი და შიგნით შეუძღვა. ცოტა გაოცება კი დაეტყო ილიკოს, თითქოს წყენაც იგრძნო, მარტომ, მის დაუხმარებლად მართლა რომ შეძლო ოცემ რაღაცის გაკეთება - უფრო სწორედ, სურვილის ასრულება.

აი, ეს კი, შენო. სათუთად დაკეცილი შარვალ-პერანგი მიაწოდა ოცემ. წამო, მოიზომეო.

უხალისოდ აჰყვა მეორე სართულზე.

ოცეს ტვინის რაღაც ნაწილი გრძნობდა ცვლილებას, რომლითაც ილიკო ოთხშაბათს გამოცხადდა და არა სამშაბათს. საწოლს დახედა, არც მისი გადასაფარებელი ეფარა. არც ოცეს ასდიოდა ვარდის საპნის სუნი.

საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. სახლში მოვისინჯავო. ცოტა ხანი იჯდა და მერე უცებ ადგა და ახლა საქმე მაქვს და შემდეგ სამშაბათს შემოვივლიო. შარვალ-ხალათი იღლიაში ამოიდო და წავიდა.

ასეთი ილიკო ოცეს არ ახსოვდა.

იტირა და იტირა. ხან იმის გავლილ გზას გაჰყურებდა ფანჯრიდან, ხან იმ ადგილს, სადაც ცოტა ხნის წინ იჯდა.

გული ავს მეუბნებაო, გაზეთების კიოსკის გამყიდველს, კლავდიას უთხრა იმ დღეს.

იმას კიდევ გაეცინა. სად გაქვს შენ გულიო.

* * *

ეს ყველაზე გრძელი კვირა გამოდგა ოცესთვის.

და შემდეგი კიდევ უგრძელესი, იმიტომ, რომ ილიკო არც შემდეგ და არც შემდეგის შემდეგ სამშაბათს არ მოვიდა.

თავს იიმედებდა. იქნებ სახლში რა საქმე გამოუჩნდაო. იქნებ შორეულ რეისში წავიდაო. უარა გარშემო ავტობუსების მძღოლების ბირჟას, ბოლოს მიადგა, ვერ მოითმინა და ილიკოს ამბავი იკითხა.

უცებ ყველა რომ გაჩუმდა, გულში სიცივე იგრძნო ოცემ, თითქოს წყალი ჩაუდგაო, რაღაც ეგეთი, ჭის ძირივით ცივი გაუხდა შიგნით ყველაფერი.

ჩვენ არაფერი ვიცითო ერთმა ამოღერღა და თავი მიატრიალა.

ეცა და დაეჯაჯგურა, თვალები დაუბრიალა, ხო არ მოკვდაო, მითხარიო.

მოკვდა არა ისო, ზიზღით მოიშორა ოცე. გამოჩნდება, სად წავა ეგ შენი ილიკოო. და მერე მეორეს, სხვას, ფხუკუნი წასკდა.

წამოვიდა ოცე. არავისთვის შეუხედავს, ჩქარა იარა და ჭიშკარიც ისე მიაბრახუნა, აბრა ტრასაზე გადაუვარდა. არ მიბრუნებულა. შევიდა მაღაზიაში, ყუთებს შორის ჩამოჯდა და თვლა დაიწყო.

სადამდეც იცოდა, თვალა. მერე თავიდან, მერე ისევ.

დიდხანს იჯდა, ფეხმოუცვლელად. იჯდა, ითვლიდა, იქვე დაეძინა, შესცივდა და რაც ხელში მოხვდა მიიფარა...

და შემდეგის შემდეგის შემდეგ სამშაბათს ჭიშკართან ილიკო გამოჩნდა.

მარტო არ იყო. მაგრამ კარგად არც დააკვირდა, ლამის გადააფრინდა კიბეებს ოცე და კარში კი არა, ქუჩაშივე შეეგება.

ილიკოს მისი ნაჩუქარი შარვალ-ხალათი ეცვა. ორი ნაბიჯით უკან კი ქალი მოჰყვებოდა.

ოცე, ეს იზოა. აურჩევ რამეს შენს მაღაზიაში?

აურჩევს აურჩევს, მოხვევა მოერიდა, მაგრამ დაუფარავი სიხარულით შეუძღვა ძონძებში და ხან რა კაბას სტაცა ხელი, ხან რა კოფთას.

ილიკო ერთხანს ჩუმად იდგა და რომ შეატყო ოცე ძალიან შეიჭრა როლში,

ოცე თავისკენ მოატრიალა და,

ოცე, იზო ჩემი ცოლია. უთხრა.

ოცემ თავისი ცოტა შტერული თვალებით შეხედა ილიკოს.

მერე იზოს გახედა. ისიც რაღაცნაირად აწურული იდგა, თითქოს დანაშაულში გამოიჭირეს.

ესა? ეს არის შენი ცოლიო? თითი გაიშვირა იზოსკენ, ცოტა ხანი ასე ეჭირა და მერე მოწყვეტით ჩამოუვარდა მთელი მკლავი. მოჭრილი ტოტივით, ერთბაშად.

მერე ილიკოს მივარდა, დაუშინა და რა დაუშინა. შენ ხო მე გიყვარვარო, მეო. მარტო მეო.

შენ როგორ მეყვარები, შენ ხომ ბოზი ხარო, ილიკომ უთხრა.

მერე ოცეს ცრემლები მოსწმინდა, იზოს ხელი ჩაჰკიდა, შეტრიალდა და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილვია პლათი

მერი ვენტურა და მეცხრე სამეფო

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



„მერი ვენტურა და მეცხრე სამეფო“ სილვია პლათმა (რომელიც იმხანად სმითის კოლეჯში სწავლობდა) 1952 წელს დაწერა. მან მოთხრობა შესთავაზა ჟურნალ „მადემუაზელს“, მაგრამ ჟურნალმა გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მოთხრობა ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა პლათის არქივში (ინდიანას უნივერსიტეტში) და მკითხველები მხოლოდ ახლახან, 2019 წელს გაეცნენ მას.

ცნობილია, რომ 1952 წლის ნოემბერში პლათმა წაიკითხა დანტე, რამაც გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. კერძოდ, მოთხრობაში „მერი ვენტურა და მეცხრე სამეფო“ აშკარად შეიმჩნევა ალუზიები დანტეს „ჯოჯოხეთთან“. მერის იდუმალი თანამგზავრი ქალი (რომლის პროტოტიპად შეიძლება ვერგილიუსი ვიგულისხმოთ) შემთხვევით როდი ახსენებს „წრეებს“. მატარებელი თითქმის შეუჩერებლად მიდის ჩაბნელებულ გვირაბებში (მიწისქვეშეთი), რომლებიც სიმბოლურად ჯოჯოხეთს განასახიერებს, ხოლო როდესაც დღის სინათლეზე გადის, ეს სინათლე პირქუშია, უღიმღამო, მზე კი - ავბედითი ნარინჯისფერი ან მოწითალო ფერისა. საგულისხმოა ისიც, რომ რაც უფრო შორს მიდის მატარებელი, მით უფრო მატულობს სიცივე, გვირაბის კედლების ნაპრალებში ყინულის ნაღვენთები მოჩანს და მერის აჟრჟოლებს, ისევე, როგორც ჯოჯოხეთის მეცხრე წრისკენ, „მარადიულ ყინულის გზაზე“ მიმავალ დანტეს. ამგვარად, მეცხრე სამეფო ალეგორიულად განასახიერებს ჯოჯოხეთის მეცხრე წრეს, სადაც „აჩრდილნი უკვე სავსებით ყინულის ლოლუებს შეემოსათ და გაეთოშათ“. ესაა „გაყინული ნების“ სამეფო. მატარებლის მგზავრებიც აჩრდილებს ჰგვანან - არაფერს არ ხედავენ და არაფერზე რეაგირებენ. მატარებლის ფანჯრიდან მოჩანს ხრიოკი მინდვრები, უკაცრიელი სადგურები, გადამწვარი ტყეების კვამლი - აპოკალიფსური სურათები. მოთხრობის პროტაგონისტი თავს აღწევს საბედისწერო, თითქმის გარდაუვალ პერსპექტივას, ახერხებს გაიქცეს, და აღმოჩნდება აყვავებულ წალკოტში, სადაც გაზაფხულია, ბავშვების სიცილი ისმის და თანამგზავრი ქალი „სიყვარულით აღსავსე ცისფერ მზერას შეაგებებს“ მერის. დღეს, როდესაც ვიცით ავტორის ბიოგრაფია, მერის გაქცევას მატარებლიდან „ჰეფი-ენდად“ ვერ მივიჩნევთ. ეს, უფრო, თვითმკვლელობის ალეგორიაა. 1952 წელს სილვია პლათს რამდენიმე თვე აშორებდა თვითმკვლელობის პირველი მცდელობიდან და 11 წელი - თვითმკვლელობიდან (1963 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურში წითელი ნეონის უამრავი ნათურა ციმ-ციმებდა. რეპროდუქტორი გაჰყვიროდა:

- მატარებელი გადის მესამე ლიანდაგიდან. . . მატარებელი გადის. . . მატარებელი გადის. . .

- ეს შენი მატარებელია, - უთხრა დედამ მერი ვენტურას. - დარწმუნებული ვარ, საყვარელო. იჩქარე. ბილეთი თან გაქვს?

- ჰო, დედა, თან მაქვს. რატომ უნდა ვიჩქარო? განა ადრე არ არის?

- ხომ იცი, მატარებლები ზუსტი განრიგით მოძრაობენ. - თქვა მერის მამამ. რუხი ფეტრის ქუდი მის სახეს უპიროვნო გამომეტყველებას ანიჭებდა - ისეთს, ინკოგნიტოდ მგზავრობისას რომ აქვთ ხოლმე ადამიანებს. - მატარებელი არ დაგიცდის.

- ჰო, მამა, ვიცი.

კედლის საათის გრძელმა შავმა ისარმა კიდევ ერთი დანაყოფით გადაინაცვლა. მგზავრები მატარებლისკენ გარბოდნენ. მათ თავზე რკინიგზის სადგურის კამარა უზარმაზარი ტაძრის გუმბათივით აღმართულიყო.

- მატარებელი გადის მესამე ლიანდაგიდან. . . მატარებელი გადის. . . მატარებელი გადის. . .

- იჩქარე, საყვარელო.

მისის ვენტურამ მერის ხელი ჩაჰკიდა. მათ სწრაფი ნაბიჯით გაიარეს სადგურის შენობის დარბაზები, რომელთა კედლები მოლაპლაპე მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. მამა უკან მიჰყვებოდა და ჩემოდანი მიჰქონდა. უამრავი ხალხი გარბოდა ბაქანზე გამავალი კარისკენ, რომელზეც ნომერი სამი ეწერა. იქვე მდგარ, შავ ფორმაში გამოწყობილ გამყოლს სახეს ქუდის წინაფრა უფარავდა.

- დედა, - თქვა მერიმ. და გაჩუმდა, როდესაც ორთქლმავლის ხმამაღალი შიშინი შემოესმა. შემდეგ კი გაბაგრძო. - დღეს გამგზავრება არ შემიძლია, უბრალოდ, არ შემიძლია. მზად არა ვარ სააამისოდ.

- რა სისულელეა, მერი, - შეაწყვეტინა მამამ მხიარულად. - უბრალოდ, ღელავ. ჩრდილოეთისკენ გამგზავრება მძიმე განსაცდელი როდია. უბრალოდ, ჩაჯექი მატარებელში და, სანამ დანიშნულების ადგილას ჩახვიდოდე, ნურაფერზე იღელვებ. შემდეგ კი გამყოლი შეგატყობინებს, საით უნდა წახვიდე.

- წამოდი, ჩემო საყვარელო. - მერის დედამ ქერა თმა შავი ხავერდის ქუდქვეშ შეიკეცა. - მგზავრობა სიამოვნებას მოგანიჭებს. გარდა ამისა, ოდესმე ყველამ უნდა დატოვოს მშობლიური სახლი. ადრე თუ გვიან ყველა უნდა წავიდეს.

მერი დაიღალა და მშობლებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა.

- კარგი, თანახმა ვარ.

მან თავი აიძულა, გაევლო რკინის კარი და გასულიყო ბაქანზე, სადაც ჰაერი ორთქლს შეესქელებინა.

- იყიდეთ გაზეთის საგანგებო გამოშვება! - გაზეთის გამყიდველები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ვაგონის კართან. - იყიდეთ... ბრალდებულია ათი ათასი ადამიანი... კიდევ ათი ათასი ადამიანი...

- დიდი ამბავი! - წაიბუზღუნა მერის დედამ. - ამაზე ფიქრით თავი არ აიტკივო.

ის მოფუსფუსე ბრბოში გზას იკვლევდა. მერი უკან მიჰყვებოდა, სანამ მატარებლის ბოლო ვაგონთან მივიდოდნენ. ვაგონში წითელი პლუშის სავარძლები ორ რიგად იყო ჩამწკრივებული. ჭერზე მიმაგრებული ნათურების კაშკაშა შუქზე მათ ღვინის ფერი გადაჰკრავდა. ვაგონის კედლებზე სპილენძის ლურსმნები ელვარებდა.

- აი, აქ ხომ არ დაჯდები?

მისტერ ვენტურამ თავისი ქალიშვილის პასუხს არ დაუცადა და ჩემოდანი სავარძელთან დადგა. შემდეგ უკან დაიხია. მისის ვენტურა ცხვირსახოცით შეეხო თავის წითლად შეღებილ ტუჩებს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. სათქმელი არაფერი ჰქონდა.

- მშვიდობით, - უთხრა მერიმ მშობლებს მექანიკურად.

- მშვიდობით, საყვარელო. - მისის ვენტურა დაიხარა და, ფიქრებში წასულმა, მერის აკოცა.

მისტერ და მისის ვენტურა შეტრიალდნენ, გასასვლელისკენ გაემართნენ, ბაქანზე ჩავიდნენ და სადგურის შენობაში შევიდნენ. მერიმ ხელი დაუქნია, მაგრამ მშობლებს უკან აღარ მოუხედავთ. შემდეგ მერიმ თავისი წითელი პალტო გაიხადა, სპილენძის კაუჭზე ჩამოკიდა და ფანჯარასთან დაჯდა. ვაგონი ნელ-ნელა გაივსო მგზავრებით. რამდენიმე მათგანი დადიოდა და ცარიელ ადგილებს ეძებდა. ლურჯ ჟაკეტში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ჭუჭყიან თეთრ საბანში გახვეული ბავშვი ჰყავდა ატატებული, მერის სავარძელთან წუთით შეჩერდა, შემდეგ კი ვაგონის უკანა ნაწილისკენ გაემართა, სადაც მეტი სიხალვათე იყო.

- ეს ადგილი დაკავებულია? - ქოშინით ჰკითხა მერის სახეაწითლებულმა მსხვილტუჩებიანმა ქალმა და გაუღიმა. დანაოჭებულ სახეზე ლურჯი თვალები უციმ-ციმებდა. ხელში ყავისფერი ჩანთა ეკავა.

- არა, აქ არავინ ზის, - საპასუხოდ გაუღიმა მერიმ და ფანჯრისკენ მიიწია. ქალმა თავის გაქუცული ყავისფერი ქუდი მოიხადა და ყავისფერი ლაბადა გაიძრო. შემდეგ „უჰო“, ამოიხვნეშა და მძიმედ დაეშვა წითელი პლუშის სავარძელზე. - მეშინოდა, ვაითუ მატარებელს ვერ მივასწრო-მეთქი. საცაა, დაიძვრება.

ლოკომოტივმა ამოიქშინა, შეჯანჯღარდა და შეჩერდა. ვაგონის კარმა გაიჯახუნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველანი ვაგონში იყვნენ გამოკეტილნი.

- ესეც ასე, - თქვა ქალმა. - დავიძარით.

მატარებელი ნელა ამოძრავდა ლიანდაგზე. ფანჯარაში აღარაფერი ჩანდა, კვამლის ბოლქვების გარდა.

ქალმა ჩანთიდან საქსოვი ამოიღო. რბილი მწვანე შალის ძაფისგან ქსოვდა რაღაცას.

- ოჰ, რა ლამაზია, - წამოიძახა მერიმ. - ბოლოს რა გამოვა?

- ბოლოს კაბა გამოვა, - ქალმა მოჭუტული თვალები შეავლო მერის. - დაახლოებით თქვენი ზომების მქონე ახალგაზრდა ქალისთვის.

- დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მოეწონება.

ქალმა მერის გაუღიმა, იმედი მაქვსო, მიუგო და მეტი არაფერი უთქვამს.

მატარებელი ჩაბნელებულ გვირაბში მიდიოდა, როდესაც მერის წინ მსხდომ მგზავრებს შორის აყალმაყალი დაიწყო. აქ ორი ბიჭუნა კალის პაწაწინა ჯარისკაცებით თამაშობდა. მათი დედა მოშორებით, სავარძლების მეორე რიგში იჯდა და ჟურნალს კითხულობდა.

- მომეცი, - უთხრა უფროსმა შავთვალა ბიჭმა თავის ძმას. - ეს ჩემი ჯარისკაცია. რატომ აიღე?

- არ ამიღია, - მიუგო ფერმკრთალმა ქერათმიანმა ბიჭუნამ. - არ ამიღია.

- როგორ არა! დაგინახე. - და უფროსმა ბიჭუნამ სათამაშო ჯარისკაცი თავის ძმას შებლში ჩასცხო. - ესეც შენ! ახია შენზე.

პატარა, რომელსაც შუბლიდან სისხლი გადმოსკდა, აზლუქუნდა.

- მეზიზღები! - კრუსუნებდა ის. - მეზიზღები!

- კარგი, კარგი, გეყოთ, - თქვა მერის გვერდით მჯდარმა ქალმა, წინ გადაიხარა და ბიჭუნას თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბილი თეთრი ტილოს ცხვირსახოცით სისხლი ფრთხილად მოსწმინდა. - გრცხვენოდეთ, ბავშვებო! ეს სულელური სათამაშოები ვერ გაგიყვიათ.

ბიჭუნებმა ქალს შეუბღვირეს და თამაში განაგრძეს.

ქალი საზურგეს მიეყრდნო.

- არ ვიცი, რა ეშველებათ ახლანდელ ბავშვებს. ძალიან ჭირვეულები არიან. - ამოიოხრა მან და კვლავ ქსოვას შეუდგა. უეცრად ფანჯრებში კაშკაშა შუქმა შემოანათა.

- შეხეთ, - თქვა მერიმ. - გვირაბიდან გამოვედით.

მატარებელი პირქუშ, უღიმღამო დღეში გავიდა. ლიანდაგის მინაყრილის ორივე მხარეს შემოდგომის გახრიოკებული მინდვრები იყო გადაჭიმული. ცაში მზის ნარინჯისფერი დისკო ეკიდა.

- როგორი კვამლიანი ჰაერია, - წამოიძახა მერიმ. - არასოდეს მინახავს ასეთი უცნაური ფერის მზე.

- ტყეები იწვის. - მიუგო ქალმა. - წელიწადის ამ დროს ქარს ყოველთვის მოაქვს კვამლი ჩრდილოეთიდან. მოგვიანებით ჰაერი კიდევ უფრო კვამლიანი იქნება.

ლიანდაგის მახლობლად გამოჩნდა და შემდეგ გაუჩინარდა ხის ქოხი. ფანჯრები აჭედილი ჰქონდა.

- ნეტავ რისთვის ააგეს ეს სახლი, ასეთ უკაცრიელ ადგილას?

- საცხოვრებელი სახლი არაა. უწინ აქ ამ ხაზის პირველი სადგური იყო. ახლა აღარ იყენებენ, ამიტომაცაა დაკეტილი. ამ ხაზზე ახლა მხოლოდ ჩქარი მატარებლები დადიან.

ბორბლების რიტმული ხმაურით გაბრუებული მერი კვლავ ფანჯარაში იყურებოდა. ერთ-ერთ ნაყანევში მან დაინახა გადაჯვარედინებული ძელებისგან გაკეთებული საფრთხობელა. მის ძირში სიმინდის ფუჩეჩი ლპებოდა. საფრთხობელას შავ დაგლეჯილ პალტოს ქარი არხევდა. ამ უცნაური ფიგურის ქვეშ ყვავები მიწაზე მიმობნეულ სიმინდის მარცვლებს კენკავდნენ.

მატარებელმა სვლას მოუმატა.

- ვაგონ-რესტორანში ერთ ფინჯან ყავას დავლევ. - უთხრა ქალმა მერის. - ხომ არ წამომყვებით?

- სიამოვნებით, - მიუგო მერიმ. - თან მუხლსაც გავმართავ.

ისინი წამოდგნენ და წინა ვაგონისკენ გაემართნენ. ეს მწეველთა ვაგონი იყო და გაბოლილმა ჰაერმა მერის თვალები აუწვა. ფანჯრებთან ბანქოს სათამაშო მაგიდები იდგა. მამაკაცები პოკერს თამაშობდნენ. თეთრხალათიან ოფიციანტებს სასმელი დაჰქონდათ. ხმამაღალი სიცილი და ყინულის კუბურების წკრიალი ისმოდა.

- შემდეგი ვაგონ-რესტორანია, - უკანმოუხედავად ჩაილაპარაკა ქალმა. კარი გააღო, მოქანავე პლატფორმა გაიარა და მომდევნო ვაგონში შევიდა. მერი უკან მიჰყვებოდა,

ვაგონ-რესტორანში პრიალა ხის მაგიდებზე ვაშლი, ქლიავი და სათბურში მოყვანილი კენკრა ეწყო, რომელთაც წითელი პლუშის სავარძლებზე მსხდარი მგზავრები შეექცეოდნენ. რეპროდუქტორიდან ჩუმი მუსიკა გაისმოდა.

ქალი ორადგილიან მაგიდასთან შეჩერდა და მერის შესთავაზა, დაჯექიო.

- რას შეუკვეთავთ? - იკითხა თეთრ კოსტიუმში გამოწყობილმა შავკანიანმა ოფიციანტმა, რომელიც შეუმჩნევლად მოსულიყო მათ მაგიდასთან. ხელში ფანქარი და ბლოკნოტი ეჭირა. მან ყინულიანი წყალი მოუტანა ორივეს.

- ჯანჯაფილის ლუდს დავლევდი, - თქვა მერიმ.

- მე კი ყავა, ნაღები და შაქარი მომიტანეთ. - გაუღიმა ქალმა ოფიციანტს, რომელმაც თეთრი კბილები გააელვა და თავის ბლოკნოტში რაღაც იეროგლიფები ჩაწერა.

შეკვეთილი სასმელები მოიტანეს: ყავა - მოჭიქული მწვანე კერამიკული ფინჯნით და ჯანჯაფილის ლუდი, რომელსაც თავზე პაწაწინა ვერცხლისფერი ქაფი ეხურა. მაღალი ჭიქის ფსკერზე წითელი ალუბალი იდო.

- რა გემრიელია! - წამოიძახა მერიმ, - ვაგონ-რესტორანში უწინ არასდროს ვყოფილვარ. შესანიშნავია.

-ჰო, - დაეთანხმა ქალი, რომელსაც ყავის ოხშივრიანი ფინჯნისთვის თითები შემოეჭდო. - სარკინიგზო ხაზის მფლობლები ცდილობენ, რომ მგზავრობა სასიამოვნო იყოს.

უჩინარი დინამიკიდან განუწყვეტლივ იღვრებოდა მუსიკის ხმები. მერიმ ჯანჯაფილის ლუდის უკანასკნელი წვეთები დალია, ჭიქა გადააბრუნა და პეშვში ჩავარდნილი ტკბილი ალუბალი პირში ჩაიდო.

გარეთ, ფანჯრის ჩარჩოების მიღმა, ნარინჯისფერი მზე ჩადიოდა. ახლა უფრო პატარა იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც მერიმ ის უკანასკნელად დაინახა. ნარინჯისფერს მოწითალო ფერი შერეოდა.

- მალე დაღამდება, - შენიშნა მერიმ და თვალი შეაღლო უსიცოცხლო პეიზაჟს, რომელიც ნელ-ნელა ბნელში ეფლობოდა.

- მგზავრობისას დრო შეუმჩნევლად გადის, - თავი დააქნია ქალმა. - მატარებელში ისეთი სიმყუდროვეა, უკვე მეხუთე გაჩერება გავიარეთ, ეს კი ნიშნავს, რომ საცაა, გრძელ გვირაბში შევალთ. ჩვენს ვაგონში ხომ არ დავბრუნდეთ?

- დავბრუნდეთ. ვახშმის საფასური ახლა გადავიხადოთ?

- არა, - მიუგო ქალმა. - უბრალოდ, მგზავრობის ბოლოს ამ თანხას თქვენს ქვითარში ჩაწერენ.

ის წამოდგა და თავისი ვაგონისკენ გაემართა. ფეხებს მძიმედ ადგამდა, ვაგონის ქანაობის გამო ძირს რომ არ დავარდნილიყო.

როდესაც თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, ქალმა კვლავ განაგრძო ქსოვა, მერი კი თვალმოუშორებლად უყურებდა უკაცრიელ მინდვრებს, რომლებიც მის წინ ჩნდებოდნენ და მალევე ისევ ქრებოდნენ. ვაგონის ბოლოში ვიღაცის ნებიერა ბავშვი ატირდა. სამი კომერსანტი წამოდგა და კოქტეილ-ბარისკენ გაემართა. ტორტმანებდნენ და იცინოდნენ. ჭერზე მიმაგრებული ნათურები უძრავ მოციმციმე ვარსკვლავებს ჰგავდნენ.

- გაანყალა გული ამ ნაბიჭვარმა, - თქვა ერთმა მათგანმა.

- გეთანხმები. - თქვე მეორემ. სამივეს ერთნაირი ფეტრის ქუდები ეხურათ და ერთმანეთს ჰგავდნენ. ვაგონი ბორძიკით, ქანაობით გაიარეს. ბავშვი კვლავ ტიროდა, ისე, თითქოს არასოდეს დაწყნარდებოდა. მატარებელი კიდევ ერთ გვირაბში შევიდა. გვირაბის ჩამუქებული კლდოვანი კედლები სწრაფად გარბოდნენ. ბორბლები უზარმაზარი საათის კბილანებივით ხმაურობდნენ.

ვაგონის კარი გაიღო და წვრილმანმა მოვაჭრემ ტორტმანით გაიარა ვაგონი, თან გაიძახოდა:"კანფეტები, ბატი-ბუტი, თხი-ლი... იყიდეთ კანფე-ტები, ბატი-ბუტი, თხი-ლი...

- შოკოლადს ვიყიდი, შევექცეთ. - თქვა ქალმა, თავისი ყავისფერი ჩანთა გახსნა და გაცვეთილი ხელჩანთა ამოიღო.

- არა, არა, - შეეპასუხა მერი. - გთხოვთ, მე გადავიხდი საფასურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

- არაფრის გულისთვის, ძვირფასო, - თქვა ქალმა. - მე დაგპატიჟებთ. თქვენ კი ფული დაზოგეთ, რომ მგზავრობის საფასურის გადახდა არ გაგიჭირდეთ.

გამყიდველი მათ სავარძელთან შეჩერდა, წითელი ქუდი კეფაზე გადაიწია და ცერა თითები წითელ და თეთრზოლებიანი აბრეშუმის ჟილეტში შეიყო.

- რა გნებავთ? - თქვა მოწყენით. - შემიძლია შემოგთავაზოთ... - ის გაჩუმდა, ქალს ყურადღებით დააკვირდა და ხრინწიანად გაიცინა.

- ისევ ამ ხაზზე მგზავრობ? - ხმადაბლა, თითქოს საიდუმლოდ თქვა მან. - ამ ჯერზე ვერავითარ სარგებელს ვერ ნახავ. ხელშეკრულება ხელმოწერილია, დაბეჭდილი და საჭირო ადგილას მიტანილი.

- ძალიან დარწმუნებულიც ნუ ხარ, ბერტ, - გაუღიმა ქალმა. - დროდადრო ბუღალტრებიც კი ცდებიან.

- ბუღალტრები შეიძლება შეცდნენ, მაგრამ ჩვენი უფროსი არ ცდება. - ეშმაკურად ჩაიცინა ბერტმა. - ყველაფერი მოაგვარა. პირადად. ამჯერად - პირადად.

ქალმა ხმამაღლა გაიცინა.

- ჰო, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით იმ შეცდომის გათვალისწინებით, რომელიც მან ბოლოს დაუშვა: მატარებლები ზედა ხაზზე გადაიყვანა და მგზავრები მოხვდნენ წალკოტში, სადაც ბავშვებივით ლაღობდნენ და ტოროლებივით ბედნიერნი იყვნენ. გგონია, მის სურვილს დაემორჩილებოდნენ და ქვედა ხაზზე დაბრუნდებოდნენ? არავითარ შემთხვევაში.

ბერტი მაიმუნივით დაიმანჭა.

- ჰო, - თქვა მან მორჩილად. - ვფიქრობ, მოგებიდან გარკვეულ პროცენტს იმსახურებ.

- სწორედ ამიტომ ვიმყოფები აქ ახლა, - თქვა ქალმა, - შოკოლადის ფილას ავიღებ.

- დიდს თუ პატარას?

- დიდს, - მიუგო ქალმა და ოცდახუთი ცენტი გაუწოდა.

-აბა, კარგად იყავი, - უთხრა ბერტმა და დამშვიდობების ნიშნად ქუდს შეეხო. - იღბლიან ნადირობას გისურვებ, - და გასასვლელს გაჰყვა, თან მონოტონურად იმეორებდა: კანფე-ტები, ბატი-ბუტი, თხი-ლი...

- საწყალი ბერტი, - უთხრა ქალმა მერის და შოკოლადის ფილას ქაღალდი მოაძრო, ისე, რომ ფოლგა არ გაუხსნია. - მარტოობით იტანჯება, როდესაც არავინ ელაპარაკება. ეს მგზავრობა იმდენ ხანს გრძელდება, რომ, ალბათ, მეორედ ამ მატარებელში არავინ ჩავჯდება.

ქალმა შოკოლადი გატეხა და დიდი ნატეხი მერის გაუწოდა. შოკოლადი მსუყე და არომატული იყო.

- მმმ!- - წაიდუდუნა მერიმ. - რა სურნელოვანია.

მან მოკბიჩა და მოწუწნა შოკოლადი. ტკბილი სითხე ყელში ჩაეღვარა.

- მგონი, ბევრი რამ იცით ამ მატარებლით მგზავრობის შესახებ, - უთხრა მერიმ ქალს. - ხშირად მგზავრობთ ხოლმე?

- ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! რაც თავი მახსოვს, ვმგზავრობ. ყველაზე უფრო ხშირად - ამ ხაზზე.

- გასაკვირი არაა. მართლაც კომფორტული მატარებელია. როგორ ზრუნავენ მგზავრებზე! საუზმე, სასმელები, ბანქოს სათამაშო ვაგონი, სავარძლები ვაგონ-რესტორანში. თითქმის ისეთივე დონის მომსახურებაა, როგორც - კარგ სასტუმროში.

ქალმა მერის ალმაცერად გადახედა.

- დიახ, ჩემო კარგო, - ცივად თქვა მან, - მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყოველივე ამის საფასური უნდა გადაიხადოთ. ბოლოს უნდა გადაიხადოთ. მატერიალურად დაინტერესებულნი არიან, რომ მგზავრობა სასიამოვნო იყოს. რკინიგზის კომპანია მხოლოდ მეგობრული გრძნობებით როდი ხელმძღვანელობს.

- ალბათ, მართალი ხართ, - გაეცინა მერის. - ამაზე არ მიფიქრია. მაგრამ მითხარით, რა მოხდება, როცა მატარებლიდან ჩავალთ? ტურისტულ რეკლამებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი ჰავაა ქვეყნის ჩრდილოეთში და როგორი ადამიანები ცხოვრობენ იქ. სრულიად არაფერი.

ქალი თავის საქსოვზე დაიხარა, განსაკვული ძაფი გაასწორა და ქსოვა განაგრძო.

- მგონი, ბოლომდე მგზავრობთ, - თქვა მან.

- კი, ბოლომდე. მამამ მითხრა, რომ გადაჯდომა არ დამჭირდება და რომ გამყოლი მეტყვის, სად უნდა წავიდე შემდეგ.

- ბოლო სადგური, - წაიჩურჩულა ქალმა. - დარწმუნებული ხართ?

- დიახ. ყოველ შემთხვევაში, ასე წერია ჩემს ბილეთში. უცნაური ბილეთია. შავ ფონზე წითლად წერია „მეცხრე სამეფო“. რა უცნაური სახელწოდება აქვს რკინიგზის სადგურს.

- დროთა განმავლობაში ყველაფერს ეჩვევი, - თქვა ქალმა, ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, - ეჩვევი სივრცის აბსურდულ პატარა დანაყოფებს, ქვედანაყოფებს და სახელწოდებებს. მაგრამ საკმარისია ერთი პატარა მოძრაობა, ერთი ჟესტი, რომ მთელი ეს კონსტრუქცია დაინგრეს, ნაწილებად დაიშალოს.

- კარგად არ მესმის, რას გულისხმობთ. - თქვა მერიმ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო. დამავიწყდა, რომ ამ საკითხებში საკმარისად გარკვეული არა ხართ. წრეებზე ვლაპარაკობდი. მაგრამ მითხარით, ჩვენი მატარებლის მგზავრებს რამე უჩვეულოს ხომ არ ატყობთ?

- დიახაც ვატყობ. - უპასუხა მერიმ და მიიხედ-მოიხედა. - დიახაც ვატყობ, - გაიმეორა მან დაბნევით. - ჩემი აზრით, კარგად გამოიყურებიან.

- მგონი, ზედმეტად მფრთხალი ვარ. - ამოიოხრა ქალმა.

ფანჯრის მიღმა წითელი ნეონის ნათურები აციმციმდა და მეექვსე სამეფოს სადგურთან მატარებელმა სვლას შეუნელა. ვაგონის კარი გაიღო. გამყოლი მივიდა ქერათმიან ქალთან, რომელსაც წითლად შეღებილი ტუჩები ჰქონდა. ქალი გაფითრდა, ქურქში გაეხვია და მოიკუნტა.

- ჯერ არა, - თქვა ქალმა, - გთხოვთ, ჯერ არა. ეს ჩემი სადგური არაა. ცოტა მაცალეთ.

- თქვენი ბილეთი მიჩვენეთ, - თქვა გამყოლმა. ქალმა სისხლისფერი ტუჩები მოილოკა.

- დავკარგე. ვერ ვპოულობ. - თქვა ქალმა.

- მარჯვენა ხელთათმანშია, - მშვიდად უთხრა გამყოლმა. - იქ გაქვთ დამალული.

ქალს გაბრაზება დაეტყო. მან მკვეთრი მოძრაობით გაიძრო ხელთათმანი მარჯვენა ხელიდან, წითელი მუყაოს ნაჭერი ამოიღო და გამყოლს მიაჩეჩა. გამყოლმა ბილეთი გახია და ქალს მცირე მონაჭერი მისცა.

- უნდა გადაჯდეთ, რომ მდინარეზე გადახვიდეთ, - თქვა გამყოლმა. - ჯობია, ახლავე გაემზადოთ.

ქალი არ შერხეულა. გამყოლმა მას ხელი სტაცა.

- მაპატიეთ, უნდა წახვიდეთ. ამ მატარებელში თვითნებური ქცევა დაუშვებელია. მგზავრების მხოლოდ გარკვეული რაოდენობა გადაგვყავს.

- მივდივარ, - ამრეზით თქვა ქალმა. - ხელი გამიშვით. მტკივა.

ის წამოდგა. ამაყად თავაწეული მიდიოდა. მისი ჟო-

ლოსფერი შალის ქვედატანი გამომწვევად ირხეოდა. ბაქანზე ორი მცველი ელოდა. ნეონის წითელ შუქზე მერიმ დაინახა, რომ მცველები ქალს ორივე მხრიდან ამოუდგნენ და ჭიშკარში გაიყვანეს.

გამყოლი ვაგონში დაბრუნდა. შუბლს წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით იმშრალებდა. როდესაც მერის საკარძელს ჩაუარა, მის მეზობელ ქალს გაუღიმა. ღრმა შავ თვალებში სიცილის ცივი წინწკლები უკრთოდა.

- ჩვეულებრივ, მგზავრები არც ისე ბევრ პრობლემას გვიქმნიან, როდესაც მატარებელი მათ სადგურთან ჩერდება, - თქვა მან.

ქალმაც გაუღიმა, მაგრამ მისი ხმა სევდიანად ჟღერდა.

- ჰო, ისინი, ძირითადად, არაფერს აპროტესტებენ. როდესაც მათი დრო დგება, ყველაფერს ეთანხმებიან.

- რას ეთანხმებიან? - მერიმ ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი ორივეს და გაახსენდა ქერათმიანი ქალის შეშინებული სახე, ნამიანი, სისხლისფერი ტუჩები.

გამყოლმა ქალს თვალი ჩაუკრა და ვაგონი გაიარა. კედლებზე ნათურები სანთლებივით ენთო. ვაგონს მომრგვალებული ჭერი ჰქონდა. სადგურის წითელი შუქი ფანჯრებში იჭრებოდა და მგზავრების სახეებს ალისფრად ღებავდა. შემდეგ მატარებელი კვლავ დაიძრა.

- რას ეთანხმებიან? - კვლავ იკითხა მერიმ. უნებურად შეაჟრჟოლა, თითქოს ცივმა ქარმა დაუბერაო.

- გცივათ, ძვირფასო?

- არა. - შეეპასუხა მერი. - რას ეთანხმებიან?

- იმას, რომ დანიშნულების ადგილას მატარებელი უნდა დატოვონ. - მიუგო ქალმა და მარჯვედ გაუყარა ჩხირი საქსოვს. მერი მის ხელებს აკვირდებოდა.

- მგზავრები ბილეთებს ყიდულობენ, - განაგრძო ქალმა, თან თვლებს მდუმარედ ითვლიდა, - ისინი ირჩევენ მატარებელს, მარშრუტს, ყიდულობენ ბილეთებს და ამიტომ დანიშნულების ადგილას უნდა ჩავიდნენ...

- ვიცი. მაგრამ ის ქალი... ისეთი შეშინებული იყო...

- დიახ, ზოგჯერ ასეთი მგზავრებიც მინახავს. ბოლო წუთს შიში შეიპყრობთ ხოლმე. ძალზე გვიან ხვდებიან ყველაფერს. და ნანობენ, რომ ბილეთი იყიდეს. სინანულით ვერაფერს გააწყობენ. ყველაფერი წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინათ.

- არ მესმის, რატომ არ შეიძლება, გადაიფიქრო და ვაგონში დარჩე. ხომ შეეძლო, დამატებითი თანხა მგზავრობის ბოლოს გადაეხადა.

- რკინიგზის კომპანია მგზავრებს ამის უფლებას არ აძლევს. - თქვა ქალმა. - ეს არეულობას გამოიწვევს.

მერიმ ამოიოხრა.

- რას იზამ. ყოველ შემთხვევაში, დანარჩენი მგზავრები კმაყოფილნი არიან.

- კმაყოფილნი არ არიან. საშინელება სწორედ ესაა.

- საშინელება? - მერიმ ხმას აუწია. - რას გულისხმობთ? საშინელება? ისე ლაპარაკობთ, თითქოს ძალზე იდუმალი რამ ხდება.

- გაუგებარი არაფერია. მგზავრები იმდენად გულგრილნი, იმდენად განურჩეველნი არიან, რომ არ ადარდებთ, სად მიემგზავრებიან. არ აინტერესებთ, სადაა დანიშნულების ადგილი. და ასეთ მდგომარეობაში იქნებიან, სანამ მეცხრე სამეფოში ჩავლენ.

- კი მაგრამ, რა არის მეცხრე სამეფო? - მოუთმენლად წამოიძახა მერიმ და სახეზე ისეთი ტანჯვა გამოეხატა, თითქოს, ეს-ესაა, ატირდებაო. - რა არის ეს საშინელი მეცხრე სამეფო?

- ნუ ტირით, - დაუყვავა მას ქალმა. - შოკოლადი მირთვით. მე ამხელა ფილას ვერ ვერ შევჭამ.

მერიმ კვლავ ჩაკბიჩა ერთი ნაჭერი. შოკოლადს მომწარო გემო ჰქონდა.

- უფრო ბედნიერი იქნებით, თუკი არაფერი გეცოდინებათ, - ალერსით მიმართა მას ქალმა. - როცა მეცხრე სამეფოში მოხვდებით, ნახავთ, რომ ის არც ისე ურიგოა. მგზავრობა დიდხანს გასტანს და ჰავა ნელა, ძალიან ნელა შეიცვლება. როდესაც ადამიანი გაკაჟებულია, სიცივე არც ისე ძნელად ასატანია. ფანჯარაში გაიხედეთ. გვირაბის კედლებს ყინული მოედო, მაგრამ ამას არავინ ამჩნევს და არავინ წუწუნებს.

მერიმ შეხედა შავ კედლებს, რომელთა შორისაც მატარებელი მოძრაობდა. ლოდების ნაპრალებში, ყინულის თეთრი ნაღვენთები მოჩანდა. გაყინული ლოდები, რომლებზეც მატარებლის შუქი ირეკლებოდა, ისე ლაპლაპებდა, თითქოს ვერცხლისა იყო.

მერი შეკრთა.

- რომ მცოდნოდა, არ წამოვიდოდი. აქ არ დავრჩები. არ დავრჩები! - წამოიძახა მან. - მომდევნო მატარებლით შინ დავბრუნდები.

- რკინიგზის ამ ხაზზე საპირისპირო მიმართულების მატარებლები არ დადიან, - ჩუმად თქვა ქალმა. - როდესაც მეცხრე სამეფოში მოხვდებით, უკან ვეღარ დაბრუნდებით. ის გაყინული ნების სამეფოა. მრავალი სახელი აქვს.

- ჩემთვის სულ ერთია. მომდევნო გაჩერებაზე ჩამოვალ. არ დავრჩები მატარებელში, სადაც ეს ამაზრზენი ადამიანები იმყოფებიან. განა არ იციან, სად მიემგზავრებიან? განა არ ანაღვლებთ ეს?

- ბრმები არიან. - თქვა ქალმა და მერის ჩააშტერდა. - ბრმები!

- კი მაგრამ, თქვენ? - წამოიძახა მერიმ და რისხვით მიუბრუნდა ქალს. - ალბათ, თქვენც ბრმა ხართ!

ხმამაღლა ლაპარაკობდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. არავინ მობრუნებულა, რომ შეეხედა, რა ხდებაო.

- არა, - თქვა ქალმა მოულოდნელი ალერსით. - ბრმა არ ვარ... არც ყრუ... მაგრამ ვიცი, რომ მატარებელი არსად შეჩერდება, სანამ მეცხრე სამეფოს არ მივაღწევთ.

- არაფერი გესმით! - მერი ატირდა. - ჩემი ბრალი არაა, რომ ამ მატარებელში ჩავჯექი. მშობლებმა მაიძულეს.

- კი, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ, როდესაც ბილეთი იყიდეს, - მიუგო ქალმა. - წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ, როდესაც ამ მატარებელში ჩაგსვეს. ასე არაა? ხომ დაეთანხმეთ მათ?

- ეს დანაშაული არაა, - წამოიძახა მერიმ სასოწარკვეთით, მაგრამ ქალი საყვედურით უყურებდა და მერიმ იგრძნო, რომ რცხვენოდა. დანაშაულიო, ყურისწამღებად ჭახჭახებდნენ მატარებლის ბორბლები, მრგვალი შავი ფრინველებივის მსგავსად. დანაშაული, დანაშაული, დანაშაული...

დანაშაულიო, წკარუნებდნენ საქსოვი ჩხირები.

- თქვენ არ გესმით... - კვლავ დაიწყო მერიმ. - ნება მომეცით აგიხსნათ... ვცდილობდი, შინ დავრჩენილიყავი. მართლა არ მინდოდა წამოსვლა. სადგურზეც კი ვცდილობდი, დავბრუნებულიყავი.

- მაგრამ არ დაბრუნდით, - თქვა ქალმა და მწვანე ძაფი ჩხირზე დაახვია. სევდიანი თვალები ჰქონდა. - გადაიფიქრეთ... და ახლა ვერაფერს გააწყობთ.

მერი უეცრად წელში გაიმართა, ცრემლიანი თვალებით შეხედა ქალს და გამომწვევად უთხრა: - ჯერ კიდევ შემიძლია ყველაფერი გამოვასწორო. მატარებელს გავაჩერებ. საავარიო მუხრუჭით.

ქალს სახე უეცარმა ღიმილმა გაუნათა. მერის აღტაცებით უყურებდა.

ეროვნული

- ოჰ, - წაიჩურჩულა მან. - რა კარგია! როგორი გაბედული ყოფილხართ. თქვენ გაუმკლავდებით მათ. თავისუფალი ნების მხოლოდ ერთი გამოვლინების საშუალება გაქვთ. მეგონა, თქვენი ნება გაყინული იყო. ახლა გადარჩენის შანსი არსებობს.

- რას გულისხმობთ? - ეჭვით დაეკითხა მერი. - რა შანსი?

- გაქცევის შანსს ვგულისხმობ. მისმინეთ, ახლა მეშვიდე სადგურს ვუახლოვდებით. ამ მარშრუტს კარგად ვიცნობ. დრო ჯერ კიდევ გვაქვს. გაცნობებთ, როდის ჯობია დამუხრუჭება, რომ გაქცევა შეძლოთ. სადგურის ბაქანი უკაცრიელი იქნება, რადგან იქ მატარებელში არავინ ჯდება და არც მატარებლიდან ჩამოდიან.

- სადან იცით? ვითომ, უნდა გენდოთ?

- როგორი ეჭვიანი ხართ, - ქალის ხმაში ალერსი ისმოდა. - მე ყოველთვის თქვენს მხარეზე ვიყავი. მაგრამ ამას ვერ გიმხელდით. ვერ დაგეხმარებოდით, თუკი თვითონ არ მიიღებდით გადაწყვეტილებას. ეს ერთერთი აუცილებელი წესია.

- რა წესებზე საუბრობთ?

- რკინიგზის კომპანიის წესებს ვგულისხმობ. ხომ იცით, ყოველ ორგანიზაციას თავისი წესდება აქვს, იმისთვის, რომ მისი საქმიანობა შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. ახლა მეშვიდე სამეფოს ვუახლოდებით, - განაგრძო ქალმა. - ვაგონის ბოლოსკენ წადით, ვერავინ დაგინახავთ. დაამუხრუჭეთ და რაც უნდა მოხდეს, ყურადღება არ მიაქციოთ. გაიქეცით.

- კი მაგრამ, თქვენ? - იკითხა მერიმ. - განა არ წამომყვებით?

- მე? ვერ წამოგყვებით. გარდატეხა თქვენში უნდა მოხდეს - თვითონ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და შესაბამისად მოიქცეთ. მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ მალე მნახავთ.

- როგორ? ვერ ვხვდები. ხომ მითხარით, რომ მატარებლები საპირისპირო მიმართულებით არ დადიან... ხომ მითხარით, რომ ვერავინ ახერხებს თავის დახსნას მეცხრე სამეფოდან.

- გამონაკლისებიც არსებობს, - უთხრა ქალმა ღიმილით. - მე ყველა წესს როდი ვემორჩილები. ახლა კი უნდა იჩქაროთ. საცაა, სადგური გამოჩნდება. უკვე დროა.

- ერთი წუთით მაცადეთ. ჩემი ჩემოდანი უნდა ავიღო. ჩემი ნივთები...

- ჩემოდანი დატოვეთ, - დაარიგა ქალმა. - არ დაგჭირდებათ, მხოლოდ ხელს შეგიშლით. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, უსწრაფესად უნდა გაიქცეთ. - მან ხმას დაუწია. - განათებულ ჭიშკარს დაინახავთ. მასში არ შეხვიდეთ. კიბეზე ადით, თუნდაც შავი საფეხურები ჰქონდეს. თუნდაც იქ ხვლიკები დაინახოთ. დამიჯერეთ და კიბეზე ადით.

- კარგი, - დაეთანხმა მერი, წამოდგა, ქალს ჩაუარა და ვაგონის ბოლოსკენ გაემართა. - კარგი.

ნელა, დაბნეული მიდიოდა. ყურადღებას არავინ აქცევდა. ვაგონის ბოლოს მან ხელი გაიწვდინა და მოქაჩა ზონარს, რომელზეც „საავარიო მუხრუჭი" ეწერა. უეცრად სიჩუმე სირენის შემზარავმა ხმამ გაარღვია. მერიმ კარი გააღო და გავიდა მოქანავე პლატფორმაზე, რომელიც ვაგონებს ერთმანეთთან აკავშირებდა. გაისმა დაკბილული ბორბლების საშინელი ღრჭიალი და მატარებელი გაჩერდა.

ეს მეშვიდე სამეფოს უკაცრიელი ბაქანი იყო. მერი ერთი ნახტომით გადააფრინდა მატარებლის სამ საფეხურს და ცემენტის ბაქანზე აღმოჩნდა. ტერფები სტკიოდა. მატარებელში გამყოლები აყვირდნენ.

- ჰეი, რონ, რა მოხდა? - ხრინწიანად იკითხა ვილცამ. ვაგონებში წითელი ნათურები აინთო.

-არაფერი ვიცი. მეგონა, მატარებელი შენ გაჩერე, ელ.

წინ მოჩანდა წითელი ნეონის ნათურებით გაჩრაღდნებული ჭიშკარი. საიდანღაც ჯაზმუსიკის სინკოპები მოისმოდა. არა, ჭიშკარში გასვლა არ შეიძლებოდა. მერიმ მარჯვნივ ჩაბნელებული ვიწრო კიბე დლანდა, შეტრიალდა და კიბისკენ გაიქცა. ქვის კედლები მისი ნაბიჯების ექოს გამოსცემდნენ. სუნთქვა ეკვროდა.

- შეხეთ! ეს ქალია. მირბის!

- დაიჭირეთ, სწრაფად!

წითელი შუქი სულ უფრო უახლოვდებოდა.

- თუ მგზავრი გაგვექცევა, სამსახურს დავკარგავთ.

მერი კიბესთან წამით შეჩერდა და უკან მიიხედა. დაინახა მატარებლის ფანჯრები - უღიმღამო, ულიცოცხლო ოქროსფერი კვადრატები. გამყოლები ვაგონებიდან ჩამორბოდნენ და მერის მისდევდნენ. ჭიშკრის წითელი ნეონის შუქზე მათ სახეებს სისხლისფერი ედო. გამყოლების ფარნები ირხეოდნენ და ბოლავდნენ.

მერის ყვირილი ყელში გაეჩხირა. ის შეტრიალდა, რათა შავი ციცაბო საფეხურები აერბინა. ლოყაზე აბლაბუდა მოედო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ბორძიკობდა, ხორკლიან კედელს ეყრდნობოდა და თითები ეკაწრებოდა.

ბოლოს გამყოლთა ყვირილი მიწყდა. შემდეგ მერიმ გაიგონა, რომ მატარებელი დაიძრა და რახრახით გააგრძელა გზა გაყინულ ლიანდაგებზე.

მერი წამით დაიხარა გამჭვარტლული კედლისკენ. სულის მოსათქმელად. ქოშინებდა. პირში მომწარო გემოს გრძნობდა. თავისუფალი იყო.

შემდეგ ის კვლავ აუყვა ჩაბნელებულ კიბეს. ახლა საფეხურები უფრო ფართო და გლუვი იყო, ჰაერი კი - უფრო სუფთა და გამჭვირვალე. საიდანღაც გაისმა ზარების რეკვის ხმა. როგორც ჩანს, მახლობლად საათიანი კოშკი იყო.

როდესაც მერიმ კიბის მორიგ ბაქანს მიაღწია, მზის სხივებში გაეხვია. ჰაერის, მინისა და ახალგათიბული ბალახის დავიწყებული ტკბილი სურნელი იგრძნო. ნინ მოჩანდა თაღი, რომელიც ქალაქის პარკში გადიოდა.

მერი კიბის თავზე ავიდა. მზის კაშკაშა სხივებისგან მზერადაბინდული, მათ ოქროსფერ ქსელში გახვეული, თვალებს ახამხამებდა. მინიდან თეთრი და ლურჯი მტრედები აფრინდნენ და მის თავზე დაიწყეს ტრიალი. სადღაც, ბუჩქებში, ბავშვები თამაშობდნენ და იცინოდნენ. პარკის ირგვლივ მოჩანდა თეთრი გრანიტის წვეტიანი მაღალი კოშკები, რომელთა ფანჯრები მზეზე ლაპლაპებდა.

თითქოს მკვდრეთით დაბრუნებული მერი ბილიკს გაჰყვა. ბილიკზე თეთრი, ქათქათა კენჭები ეყარა. გაზაფხული იყო. ქუჩის კუთხეში ქალი ყვავილებს ყიდდა და ღიღინებდა. მერიმ დაინახა თეთრი ვარდებითა და ნარგიზებით გავსებული კოლოფები, რომლებზეც მწვანე ფოთლები იყო შემოვლებული. ყავისფერლაბადიანი ქალი ყვავილებს თითქოს ეალერსებოდა.

როდესაც მერი ქალს მიუახლოვდა, მან თავი ასწია და მერის სიყვარულით აღსავსე ცისფერი მზერა შეაგება.

- გელოდებოდით, ჩემო საყვარელო. - თქვა მან.

The Hudson Review
22 იანვარი, 2019

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე ფ. ა. ოლივიერი

წყლულის თავდები

გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ბელა ჩეკურიშვილმა



ხოსე ფ.ა. ოლივიერი (1961) ესპანური წარმოშობის გერმანელი პოეტია. ქალაქ ჰაუსახში დაიბადა და იქვე ცხოვრობს.

მამამისი ანდალუზიიდან ჩამოვიდა ბადენ-ვუტენბერგის მიწაზე და შვილები ბილინგვად გაზარდა, რასაც დაემატა შვარცვალდის ალემანური დიალექტი. ამგვარი მრავალენოვანება უკვე ბევრი გერმანელი მწერლისთვის არის დამახასიათებელი, ვინც გერმანიაში გადმოსახლებულ უცხოელთა მეორე თაობას წარმოადგენენ.

ხოსე ოლივიერი პირველ რიგში ცნობილია როგორც პოეტი, წერს ასევე მოთხრობებს და ესეებს კულტურის პოლიტიკის საკითხებზე. საკუთარ ლექსებს ხშირად სიმღერით წარმოადგენს. სიდნეის ოპერაში კი მისი ლექსების საცეკვაო ვარიანტი შექმნეს, რომლის სასიმღერო ნაწილში ოლივიერი გერმანელ რეპერ Doppel-U -სთან ერთად გამოვიდა.

იგი 1998 წლიდან ჰაუსახში ლიტერატურულ ფესტივალს კურატორობს და ახალგაზრდებში პოეზიის პოპულარიზაციის მიზნით, შტუტგარტის ლიტერატურულ სახლთან ერთად, სკოლის მოსწავლეებისთვის ლიტერატურულ სახელოსნოებს აწყობს. ბავშვებთან მუშაობა მისი ჰობია. ბოსტონში, კაიროსა და ლიმაში ყოფნისას ქუჩის ბავშვებს ასწავლიდა.

ხოსე ოლივიერის ორენოვნება მის ლექსებშიც აისახება: ავტორი თამამად მიმართავს ახალი სიტყვების შექმნას და მათი ორმაგი მნიშვნელობით გამოყენებას არ ერიდება. ამბობს, ორ ენაზე ფიქრი იგივეა, ორი დედა რომ გყავდეს და მე სწორედ ეს ბედნიერება მხვდა წილადო.

იგი განათლებით ფილოსოფოსია. ფილოსოფიურია მისი პოეზიისადმი დამოკიდებულებაც. წერა მისთვის სამყაროსთან დიალოგში ყოფნაა. „ვწერდი მაშინ, როცა რაღაცას ვერ გავიგებდი“ - ამბობს თავის ადრეულ ლექსებზე დღეს უკვე 20-მდე კრებულის ავტორი. მისი თქმით, ლექსის წერა არჩევანი არ არის, ეს არსებობის ფორმაა, უწყვეტი პროცესია. „პოეტი მაშინაც ვარ, როცა ვსაუზმობ და როცა არ ვწერ, ესეც ჩემი შემოქმედებითი საქმიანობის ნაწილია“.

ხოსე ოლივიერს ბოლო კრებული 2018 წელს გამოვიდა ბერლინში, სათაურით „წყლულის თავდები“ ეს ლექსები ამ კრებულიდან არის ნათარგმნი.

მონიშნული ორშაბათი, სულთმოფენობა 3

სასიყვარულო ღამეები
დავიწყებას მიეცა უკვე
მხოლოდ 1 ღამე გადარჩა
ჩამსხვრეული ფანჯარის იქით
ბზარები რომ ისევ ისეა
და 1 ცეკვა თითისწვერების გარშემო
ფეხშიშველი სრულ სიჩუმეში
არავითარი ფეხსაცმელი დიდი პატარა
გამოგორდება ეს სურათი კამათელივით
და მოთმინებით ელოდება კარი გაუღო
და უხმაუროდ დაემსხვრევა ჭიქა
იატაკს
ერთდროს პრიალას
საგულდაგულოდ დაგვილ-გაწმენდილს
ვლაპარაკობდით
არ გვჭირდებოდა ამისთვის ენა
არც ბინაში რეგისტრაცია.



El mar no canta * / არასდროს *(jay!* ლორკა)*

ზღვა ადგილზე ველარ ჩერდება,
1000 რუსი სალდათია უკრაინაში.
ეს რა თქმა არის, იტყვით, ეს ხომ
მეტად უხეში შეცდომაა, ბარბარიზმია!
თუმცა კი ფხვნილი, ჯარისკაცთა მკერდი რომ აფრქვევს,
რძედ არ იქცევა. ხოლო
ტანკების ხორთუმებმა (სპილოებისას ნუ შეადრით),
კადნიერად რომ აბრექილან,
ჭიანჭველების კოლონები გააცამტვერეს.

**El mar no canta - ზღვა არ მღერის (ესპ). მექსიკელი მომღერლის, ენრიკე გუზმანის (*1943) ჰიტი*
**jay! - შეძახილი ფლამენკოს ცეკვისას.*

Pro logo

თუ prólogo უფრო სწორია?

ე

მიგრაცია ლექსად

მეუბნებოდნენ ოცნებაა, არ ღირს წვალებად
ესპანეთში ინატრო შატო. მამა კი ამ დროს
ყველა სასახლეს ჰა-ს ციხის ნანგრევს ანაცვალებდა.

დავბადებულვარ ერთ მიყრუებულ სოფელში ოთახს
შირმითა ჰყოფდნენ. დედაჩემმა

მაწოვა ძუძუ
და დარდიანი
მხარში მედგა სუსტსა და უძლურს.

როგორც კი ჩემით წავდგი ნაბიჯი,
პირველ ცდაზევე
ხელი დავიწვი.

ოცნებებიდან
მყისვე ვფხიზლდები
თუ ჩემს წინ რუკა გადაიშლება.



გლეხური პური

და ჯვარი
(ხნული საკვეთელის
წყალობა) იყო

წმინდა ნიშანი და მაღალი
ღმერთის
დასტური

თავთავის შეკვრა
სამადლობელი / სუფრა და პურის
ცხობის დღეც იდგა

ლოცვის დროს
საქმე / გარჯა
ბეღლიდან პირგაუტეხლად

იგზავნებოდა
ის მუშახელი / პურს ვინც
აცხობდა

თვეში ერთხელ და ყოველ ჯერზე
სტუმარი ერთით
მეტი იჯდა
იმ მაგიდასთან



~~საღამო, black out~~
„0,10“ (უფლის მინიშნების ქვეშ)

ვ: წერ ლექსს
ტუა
როგორც შენ
ლეტის ქაღალდზე
იქნებ
სირბილემ გახადოს ის უფრო მსუბუქი?
მეტ ფენიანი მეტ სტროფიანი მეტ
ხმოვანებით? ნეტავ დამცინებენ
ამაზე სხვანი? როგორც
ქსენია ბოგუსლავსკაიას
1916 ში
16 იანვარს
ფუტურისტული ლექსების კითხვისას?

კურიერში ვკითხულობ რომ ევროკავშირის
28 ქვეყანას
გადაუწყვეტია დადოს თურქეთთან ხელშეკრულება

არც ერთი მსახური
არა ჩანს დარბაზში („შავი კვადრატი“)
ვისაც ვუყვირებდი
„ჩააქრეთ შუქი. დაასრულეთ ეს
~~კომედია~~ ტრაგედია“.

16 იანვარი 2016

განმარტება:

Blackout - ასე ერქვა მე-19 საუკუნეში მომენტს, როცა თეატრში შუქს აქრობდნენ. დღესაც ასე ეუბნებიან განათების მექანიკოსს, როცა სიბნელე სჭირდებათ. სიბნელეს თეატრში დაძაბულობა შემოაქვს, თუმცა დაკარგულობის შეგრძნებასაც იწვევს. მერე კი ფარდა ინევა. როცა ქსენია ბოგუსლავსკაია 1916 წლის 16 იანვარს „0, 10“ -ს გამოფენაზე თავის ფუტურისტულ ლექსებს კითხულობდა, პუბლიკამ მას დასცინა. როცა მისკენ მიმართული ხუმრობები მეტისმეტი გახდა, ქსენია ბოგუსლავსკაიამ დარბაზის მსახურს გასძახა: „ჩააქრეთ შუქი, ბოლო მოუღეთ ამ კომედიას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთა ხედვა, 4 სურათად
(სცენისათვის)

ზის
ზის მეზობლის ქალი
პალმის ქვეშ ჩალის ქუდით
ზის მთელი დღე
ზის მთელი დღე მეზობლის ქალი
ქსოვს
ქსოვს თვალებით
ქსოვს თვალებით საკუთარ
ბიოგრაფიას
(ზეცის ბაწარი, მიწის ხელი)
კემსავს
კემსავს შალის ძაფი
კემსავს შალის ძაფი ყურებს
იხშობს ყურთასმენას ამგვარად
წუთისოფლით გაავებული



II

დადის
დადის მისი ქმარი
დათბილულ ჟილეტსა და ველვეტის შარვალში
მოაქვს ერთი თეფში
მოაქვს ერთი თეფში სუპი
დუმს
დუმს სავსე კოვზი
დუმს სიბნელით სავსე კოვზი
ქალის სახესთან
(მჭრელი, ბარსი მზერა)
ჰკვეთს
გაჰკვეთს(გაჰკვეთს ფილებიან იატაკს
იხშობს ყურთასმენას ამგვარად
წუთისოფლით გაავებული

III

ბარბაცებს
ბარბაცებს მათი ვაჟიშვილი
არყით გაჟღენთილ ტანზე
ბარბაცებს ჭიქა
ბარბაცებს არყის ჭიქა ვაჟიშვილი (თვალს უკრავს
თვალს უკრავს ცხიმის რგოლებს
თვალს უკრავს ცხიმის რგოლებს სუპზე
არწყევს
(სტომატიტიანი, ტუჩებმოფლაშული)
იღიმება
იღიმება გასუფთავებული
შეჰლიმის არყის ჭიქას
იხშობს ყურთასმენას ამგვარად
წუთისოფლით გაავებული

IV

აქიცინებს
აქიცინებს ძაღლი
აქიცინებს ძაღლი მეგობრულად კუდს
აქიცინებს
აქიცინებს

(ფარდა ეშვება)

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge